

## ბიძინა ივანიშვილი:

„სააკაშვილი და მისი ხელისუფლების წარმომადგენლების მუქარებს ბოლო არ უჩანს. ხმამაღლა ბედავენ იმის თქმას, რომ მე ქართული სახელმწიფოს მტერი ვარ და რუსეთის სამსახურში ვდგავარ.

ეს უტიფარი ტყუილია, რომელიც ერთადერთ მიზანს ემსახურება: ხალხს ჩემი ნდობა დააკარგვინოს და ქვეყნის მტრად გამომაცხდონ.

აქამდე მეცინებოდა მათ ტყუილებზე, მაგრამ ახლა უკვე ჩვენს მრავალრიცხოვან მხარდამჭერებსაც მოღალატეობას აბრალებენ და ამით საშინელ შეურაცხყოფას აყენებენ.

ნათლად ვხედავ სააკაშვილის ბოროტ განზრახვას - თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად მზად არის, ადამიანები სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდოს ერთმანეთს.“



# საერთო გაზეთი

№37 (221) ● 29.VIII-4.IX.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

`raWa, leCxumi, qvemo svaneTi saqarTvelos kuTxeebia, magram guli da Suagulia yvelgan, sadac saqarTveloa~



## SurisZieba nacionalurad



როგორ შეიძლება თამაზ თამაზაშვილს კრიმინალებთან კავშირი დააბრალონ, როცა მისი ლიკვიდაციისთვის „მხედრიონს“ და კრიმინალურ სამყაროს ფულადი ჯილდო ჰქონდათ დაწესებული

## kaxelebo, Tqven xom ar gamoSluvdiT, Sah abass kaxeTSi Tqveni xeliT rom udgamT taxts?



ISSN 2233-3983

### მამუკა არეშიძე:

ხელისუფლება იქამდე მივიდა, რომ გარდაბანში სოფლის მღვდლებსაც კი დაერია

### გიორგი ნაჭყებია:

gagecinebaT, magram dRes iseT situaciaSi var, rogorc Tavis droze utu miqava iyo...

### ჯემალ დავლიანიძე:

სამეგრელოს თავისუფლება ეოცნებება

### კობა კაპანაძე:

kargad daimaxsovros saakaSvilis garemocvam: roca faraons marxaven, msaxurebsac Tan Caayoleben xolme...

### გუგული მაღრაძე:

სააკაშვილმა თქვა — ამათ სურთ არჩევნებში „შემითრიონო“... „შევითრევთ“ და მოვუგებთ კიდეც!

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# qudze kaci! saarCevno ubnebs mteri Semoesia! iSiSvleT yalbi biuletenebi da daicaviT mefe mixeili!

— ქუდზე კაცი! მტერი მოგვდგომია კარს! — ასე მიმართავდნენ ძნელბედობის ჟამს ქართველი მეფეები ქართველებს.

— ქუდზე კაცი! მტერი მოგვდგომია საარჩევნო უბნებთან! — ასე მიმართავს მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მოსახლეობას და ძალთა მობილიზებისკენ და სრული საბრძოლო მზადყოფნისკენ მოუწოდებს.

— ისე მაგრად უნდა დავამარცხოთ ეს მტერი, ისე მაგრად, რომ ეს იყოს მისი უკანასკნელი გაფართხალება! — ხმალივით იქნევს მარჯვენას პრეზიდენტი სააკაშვილი.

არა, არ არის ეს პრეზიდენტი, ეს კაცი მეფეა, ოღონდ უგვირგვინო მეფე.

ამბობენ, მეუფე კალისტრატე საღორიის ტყეში განთავსებულ საიდუმლო სამჭედლოში მეფე მიხეილისთვის გვირგვინს აჭედინებს მჭედლებსო.

გვირგვინი 1 ოქტომბრისთვის იქნება მზად და ქუთაისში, პარლამენტის პირველ სხდომაზე, მეუფე კალისტრატე საკუთარი ხელით დაადგამს თავზე მეფე მიხეილს.

თუმცა მანამდე მთელი ერთი თვეა და ჯერ მტერია დასამარცხებელი.

— ქუდზე კაცი! მტერი მოგვდგომია საარჩევნო უბნებთან! გადავდივართ თავდაცვაზე! — გვრგვინავს მეფე მიხეილი — წამოყარეთ მკვდრები საფლავებიდან და თხოვეთ, კიდევ ერთხელ დაგვეხმარონ. მართალია, ხშირად კი ვაწუხებთ, მაგრამ ამ ერთხელაც დაგვეხმარონ და მერე მე ვიცი მათი პატივისცემა. კაციტაძეს უთხარით, რაც შეიძლება მეტი მიწერები, რაც შეიძლება მეტი არარსებული პირები არარსებულ მისამართებზე. დააზუსტეთ საზღვარგარეთ წასულების სია — უკლებლივ ყველა ემიგრანტს ხუთიანი „შემოახაზინეთ“. ნებივრობენ, გენაცვალე, ესენი საზღვარგარეთ, ჩვენ კიდევ



აქ მტერს ვებრძვით. კეთილი ინებონ დ აღასრულონ ამ ემიგრანტებმა თავიანთი მამაშვილური ვალი. ქუდზე კაცი, ანუ რაც შეიძლება მეტი ყალბი ბიულეტენი საარჩევნო ყუთებში! დატრიალდით ახლა! — ცეცხლს ყრის პირიდან მეფე და მაგიდაზე მიმოფანტულ ქაღალდებს იატაკზე ყრის.

მეტი დამაჯერებლობისთვის, რომ ნამდვილად მეფეა, მეფე მიხეილი დანგრეულ ძველ ციხეებს მეციხოვნე ვანოს ხელახლა აშენებინებს და გარედან ჟანგისფერით ფერავს — ვითომ ნამდვილად ძველი, ძველისძველი ციხეა და მეც ნამდვილი მეფე ვარ — საფეოდლებოებიცა მაქვს, ფეოდალებიც მყავს, მონებიც მყავს, ჰარამხანაც მყავს, კალისტრატე მყავს — მეფე ვარ, აბა, ვინ ვარო?

მოკლედ რომ მოვჭრათ, მეფე მიხეილი ფეოდალური ხანის მეფეა და მისი ცხოვრებაც ერთი გაბმული ლხინი და ნადიმი იყო, ეს ჭორვილელი ფეოდალი რომ არ აჯანყებოდა.

რას იზამ, მძიმეა ქუდი მონომახისა, ტო ესტ, მეფისა.

— ქუდზე კაცი! საარჩევნო უბნებს მტერი შემოესია! ქუდზე კაცი! იშიშვლეთ ყალბი ბიულეტენები და დაიცავით მეფე მიხეილ!

# miSam Txara, Txara, Txara da lenini gamoTxara...

— თქვენს საარჩევნო კამპანიაში ცოტა ლენინიზმი ურევიაო, — ბრძანა ბატონმა რიკარდომ, ეუთოს ასამბლეის პრეზიდენტმა.

— ასე და ასე ითქვა ჩვენს საარჩევნო კამპანიაზე და თქვენ რა აზრის ბრძანდებითო, — ჰკითხა ჟურნალისტმა ნიკა რურუას, კულტურის, ფიზკულტურის და კიდევ სხვა კულტურების მინისტრს.

— რა აზრის ვარ და სისულელეაო, — უპასუხა ბ-ნ ნიკამ.

— ეუთოს ასამბლეის პრეზიდენტმა თქვაო, — შეაპარა ჟურნალისტმა მინისტრ ნიკას.

— რა მნიშვნელობა აქვს ვინ თქვა, სისულელე სისულელეა, — იხტიბარი არ გაიტეხა მინისტრმა ნიკამ.

ბევრი რომ არ შეგაწუხოთ, მინისტრი ნიკას კომენტარიდან ერთადერთი დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ: ბატონი რიკარდო სულელია და სისულელეებს ამბობს.

არადა, ეს ბატონო რიკარდო, როგორც გითხარით, ეუთოს ასამბლეის პრეზიდენტია.

გამოდის, რომ ეს ეუთოს მრავალრიცხოვანი ასამბლეაც სულელებით არის გატენილი.



აბა, ჭკვიანები რომ იყვნენ სულელს პრეზიდენტად აირჩევდნენ?

მინისტრი ნიკას კომენტარმა პარლამენტარი კაკოს (ბობოხიძის) კომენტარი გამახსენა, აშშ-ს ადმინისტრაციას რომ დაუცაცხანა — თქვენ ხომ არ დაგავიწყდათ, სუვერენული სახელმწიფო რომ ვართ, რა ინსტრუქციებს და დირექტივებს გვაძლევთ, ჩვენ არ ვიცით არჩევნები როგორ უნდა ჩავატაროთო?!

ბოდიშს ვიხდით, რომ ზუსტად ციტირებას ვერ ვახდენთ, თუმცა შინაარსი აბსოლუტურად ზუსტია.

მინისტრი ნიკა და პარლამენტარი კაკო — აი, ორი ბურჯი საქართველოს დამოუკიდებლობისა.

ეს ორი ბურჯი და ერთიც დედაბოძი — ჩიორა.

დედაბოძმა ჩიორამ ბრძანა, ბატონმა რიკარდომ ლენინიზმი ჩვენთან, ნაციონალებთან, დაკავშირებით კი არა ოპოზიციასთან დაკავშირებით თქვაო...

ქალბატონო ჩიორა, ძვირფასო დედაბოძო, უტიფრობა კი გამიგია, მაგრამ ასეთი უტიფრობა არ მსმენია. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა თქვა ბატონმა რიკარდომ.

— თქვენს საარჩევნო კამპანიაში ცოტა ლენინიზმია... ამ ქვეყანაში არ არიან მტრები, აქ არიან განსხვავებული აზრის ადამიანებიო.

მტერზე და მტრებზე ვინ ლაპარაკობს დღედაღამე, ქალბატონო ჩიორა, თქვენი ბელადი ხომ არა, რომელმაც ლამისაა არჩევნები საომარ ბატალიებს გაუთანაბროს, სადაც მტერი უნდა დაამარცხო და გაანადგურო, თუმცა თქვენგან არავინ უფიქრდება იმას, რომ არჩევნებში მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოსახლეობა მონაწილეობს.

ე.ი. რა გამოდის, საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილია მტერი, რომელიც „ნაცმოძრაობისთვის“ ხმის მიცემას არ აპირებს და ეს მტერი უნდა დაამარცხოთ, ანუ საკუთარი მოსახლეობისთვის აპირებთ ომის გამოცხადებას?

უფრო მეტი კი არაფერი უთქვამს ამხანაგ ლენინს — კლასობრივი მტერი უნდა გავანადგუროთო, თქვა.

ლენინია თქვენი ბელადი სააკაშვილი, ქალბატონო ჩიორა, სიმაღლეში დაგრძელებული ლენინი, რომელიც დემოკრატიის ნიღბით ქართულ ბოლშევიზმს აშენებს.

ქართული ბოლშევიზმი — თავისი კომპარტიით, კომკავშირით და პიონერიით უკვე სახეზეა და სწორედ ეს დაინახა ბატონმა რიკარდომ.

ზრდილი კაცია ბატონი რიკარდო და ამიტომ თქვა, ცოტაო, თორემ მან მშვენივრად იცის, რომ მთელი ეს სისტემა, რაც ნაცმოძრაობამ ამ რვა წლის განმავლობაში მოახლაფორთა, თავიდან ბოლომდე ლენინურია, რომელსაც ცოტა სტალინური და ცოტაც გორბაჩოვისეული აქვს შერეულ-შეუნელებელი.

— ვიღაც-ვიღაცებს სურთ უკან, წარსულში, უკან, საბჭოთა კავშირში დაგვაბრუნონო — ჭექდა და ქუხდა ამასწინათ ამხანაგი მიშა.

საბჭოთა კავშირს განსაკუთრებით მის ბოლო ათწეულს კიდევ რა უშავს, საბჭოთა კავშირში კი არა, კიდევ უფრო უკან გასული საუკუნის 20-30-იან წლებში აბრუნებს საქართველოს „ნაცმოძრაობა“ და თუ ვინმე ამაზე ხმის ამოღებას გაბედავს, სულელს ეძახის.

ესეც ბოლშევიკების სტილია, მათი ლექსიკაა.

სააკაშვილმა თხარა, თხარა და ლენინიზმი გამოთხარა.

ასვენია ახლა ეს დაუმარხავი ლენინი „ნაცმოძრაობის“ კარებთან და ხან ჩიორა დაჰქვითინებს და ხან — ხათუნა...

არ არიან „ნაცელები“ ლენინიზმის დამმარხავნი, ის ქართველმა ხალხმა უნდა მიაბაროს მიწას და ერთხელ და სამუდამოდ იქ გაისტუმროს, საიდანაც მოვიდა...

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# `raWa, leCxumi, qvemo svaneTi saqarTvelos kuTxeebia, magram guli da Suagulia yvelgan, sadac saqarTveloa~

## ბიძინა ივანიშვილის გამოსვლის ტექსტი 27 აგვისტოს აქციაზე, ამბროლაურში

**ჩემო საყვარელო ხალხო, მოგესალმებით! მოგესალმები ჩემო რაჭავ, ლეჩხუმო, ქვემო სვანეთო! მოგესალმები, საქართველოვ!**

ვახუშტი ბატონიშვილი აი, ასე აღწერდა რაჭას: „შინაგან არს რაჭა, ფრიად მაგარი მთითა, კლდითა, ხრამითა, ხევითა და ტყითა, შეუალი გარე მტრისაგან".

უსმინეთ, რა სიტყვებია: „ზაფხულ გრილი, ზამთარ თბილი და უქარო, მოსავლიანი, ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი". აი, რა უბოძა უფალმა რაჭას!

რაჭა, ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი საქართველოს კუთხეებია, მაგრამ გული და შუაგულია ყველგან, სადაც საქართველოა.

თურმე, ხალხო, შეუძლებელია იდგე ამ ქვეყნის მიწაზე და არ იყო ამავე დროს მის გულში. აი, ასეთი ქვეყანაა ჩვენი საქართველო.

კავკასიონის ციცაბო ფერდობებზე ცხოვრებას საოცარი სიმტკიცე სჭირდება და არც საკუთარი თვალუწვდენელი ისტორიის ღირსეულად ტარებას უნდა ნაკლები ამტანობა.

დაუსრულებლად დუხჭირი ცხოვრება და გაჭირვებასთან გათენებიდან დაღამებამდე ბრძოლა ძალაუნებურად ავიწყებს კაცს თავის ნამდვილ, ჭეშმარიტ წარმომავლობას... ეს უნდა შეწყდეს, ბოლო უნდა მოეღოს ამგვარ ყოფა-ცხოვრებას და ჭაპანწყვეტას.

რაჭველებო, ლეჩხუმელებო, სვანებო, თქვენი მწვერვალები „ქართული ოცნების" მწვერვალებია, და ჩვენ ერთად დავიპყრობთ მათ, სიტყვა მომიცია!

„ქართული ოცნებისა" და ყველა ჩვენგანის მიზანია, რომ თანაბარი ყურადღებით და მთელი ძალ-ღონით ვიზრუნოთ საქართველოს გულზე, ყველგან, სადაც ის ფეთქავს.

ასე იქნება პირველი ოქტომბრის არჩევნებში ჩვენი გამარჯვების და ხელისუფლებაში „ქართული ოცნების" მოსვლის პირველივე დღიდან. მე გპირდებით ამას!



განსაკუთრებული სიდინჯე და თავდაუზოგავი შრომის უნარი გამოგარჩევთ თქვენ, ამ კუთხის შვილებს და ესეც ამ მთებში ცხოვრებამ გასწავლათ.

საუკუნეებმა მოიტანა, ალბათ, ეს სიდინჯე და სიდარბაისლე, სამშობლოს დაცვის პასუხისმგებლობამ და საკუთარი მიწის სიყვარულმა და ერთგულებამ შემოგვინახა რაჭაც, ლეჩხუმიც და ქვემო სვანეთიც. დღეს, ამდენ განსაცდელს გამოვლილ კუთხეებს, დაცლის საფრთხე ემუქრება.

ჩვენ ვერ ვეღირსეთ ისეთ ხელისუფლებას, რომლისთვისაც თავისი ქვეყნის მოვლა-პატრონობა და თავის ხალხზე ფიქრი მთავარი საზრუნავი იქნებოდა.

კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე გადაშლილ რაჭას, ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს ბუნებისგან უამრავი სიმდიდრე ერგო. ამ მხარეში თითქმის არ არის სოფელი, საკუთარი ძვირფასი ბუნებრივი რესურსი რომ არ ჰქონდეს.

თუმცა, ყველამ კარგად იცის, როგორი მოვლა-პატრონობა სჭირდება ყველა ასეთ სიმდიდრეს. ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ასეთი რესურსის პატრონია, მიხედავდა, გამოიყენებდა და, სულ ცოტა, მშიერი და დაუსახლებელი მაინც არ ეყოლებოდა მოსახლეობა.

ალბათ, არსად სხვაგან არ იღვრება ასე უმოწყალოდ სასმელი წყალი, როგორც ჩვენში, მაშინ როცა ჩვენს მოსახლეობას უწყლობა სტანჯავს, აღარაფერს ვამბობ, მინერალებით გაჯერებულ სამკურნალო მჟავე წყლებზე, რომელიც ასე უხვადაა ჩვენს ქვეყანაში და მიმხედავი არავინ ჰყავს.

არსად სხვაგან არ იჩეხება ასე დაუნდობლად ტყე, როგორც ჩვენში, ნადგურდება უნიკალური ბუნება, რასაც ეკოლოგიური კატასტროფები მოსდევს თან.

გლეხს ტყე წაართვეს, ხალხო! საქართველოს ტყეების უდიდესი ნაწილი ხელისუფლების ნება-სურვილით ერთი ჯგუფის ხელშია მოქცეული. ყველაზე დიდი სიმდიდრით - ტყის რესურსით ვეღარ სარგებლობს ადგილობრივი მოსახლეობა.

აქ, რაჭაში, იშვიათი სოჭი იზრდება, ჩვენია, ენდემური ჯიშია, ულამაზესი ვერცხლისფერი წიწვებით. ამ სოჭით კარგა ხანია ევროპელებიც დაინტერესდნენ და უკვე რამდენიმე წელია, რაც გააქვთ ქვეყნიდან.

მაგრამ ვისგან ყიდულობენ ამ სოჭს, ვინაა ახლა ტყის მეპატრონე? რა თქმა უნდა, აქ დამსწრეთაგან არავინ იქნება...

როცა ასეთი სიმდიდრეა სოფელ თლუღში, რატომ უნდა ჰქონდეს ამ მცხოვრებ გლეხს ლუკმა-პურის გასაჭირი?! მონოპოლისტებს აქვთ ხელში ჩაგდებული და იმიტომ, აბა, ადგილობრივს და გლეხს ვინ გააკარებს მაგ საქმეს?! ჩვენი მოსახლეობა მხოლოდ მოჯამაგირედ სჭირდებათ! რამდენი ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე შეეწირა სოჭის თესლის მოპოვებას, ვინ მოსთვლის.

ამ ქვეყნის დარდი რომ არა აქვს ამ ხელისუფლებას და პირადი კეთილდღეობისთვის რომ ზრუნავს მხოლოდ, იმითაც კარგად ჩანს, რომ 1 კილო სოჭის თესლიდან ბიუჯეტს 6 ლარი შესდის, მაშინ როცა ევროპაში საშუალოდ 100 დოლარად იყიდება.

ან კიდევ, რა გვჭირს ასეთი, ხალხო, რომ უნიკალური ჯიშის ყურძენი - ალექსანდროული და მუჯურეთული გქონდეს, საქვეყნოდ აღიარებულ ხვანჭკარას აყენებდე და მაინც არაფერი ეტყობოდეს ამ ხალხს, მაინც სიდუხჭირეში ცხოვრობდეს.



რატომაა, რომ 2001 წელს 1 კილოგრამ ყურძენს უფრო ძვირად იბარებდა სახელმწიფო, ვიდრე ახლა.

ან რატომ გააუქმეს კანონი, რომელიც ასეთ ღვინოს გაყალბებისგან იცავდა იმით, რომ ღვინის დამზადება მხოლოდ ადგილზე იყო შესაძლებელი. ამით ხვანჭკარისა და სხვა ძვირფასი ღვინოების ფალსიფიკაციის საფრთხე ხომ ახლანდელთან შედარებით მნიშვნელოვად იყო შემცირებული.

2008 წელს ამ ხელისუფლებამ ამოიღო ეს ნორმა და ახლა ხვანჭკარას თუ გინდა აქ, რაჭაში, ჩამოასხამ და თუ გინდა, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში - კაცი არ არის გამკითხავი.

ხელისუფლება ამ კუთხეშიც აპირებს გიგანტური ჰესების მშენებლობას და ეს გადაწყვეტილებაც ისევე ნაჩქარევად და ნაუცბათევად აქვს მიღებული, როგორც საერთოდ სჩვევია.

ჰესების მშენებლობის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ ეს თქვენ, სპეციალისტებთან ერთად უნდა გადაწყვიტოთ, მცირე ჰესების მშენებლობა უფრო წაადგება ამ კუთხეს და მთლიანად ჩვენს ქვეყანას, თუ გიგანტური ჰესების, რომლებსაც უამრავი პრობლემა სდევს თან, იქნება ეს ეკოლოგიური თუ მიგრაციული.

ერთ დროს სოფელი ურავი, ლუხუმის ხეობაში, დარიშხანის მომპოვებელი იყო და დედამიწის ერთი მეექვსედის - მაშინდელი საბჭოთა კავშირის - მძიმე მრეწველობას ამარაგებდა. ახლა საბადო მიტოვებულია, დარიშხანის საცავი დაზიანებულია, რაც საფრთხეს უქმნის ბუნებას და, რაც მთავარია, ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

კიდევ უფრო უარესადაა საქმე ლენტეხში, სოფელ ცანაში, სადაც დარიშხანის საბადოს მხოლოდ მავთულხლართები იცავს. ამიტომ ხალხი იწამლება და დღითიდღე მატულობს ონკოლოგიურ დაავადებათა რიცხვი.

იმდენი პრობლემა ჩამოვთავლე, კაცი იკითხავს, არაფერი გაუკეთებია, აბა, ამ ხელისუფლებასო?!

დიახ, ამ ხელისუფლებამ გააკეთა ის, რომ გაუთვლელი და უგუნური გადაწყვეტილებების შედეგად ახლა მამისონის უღელტეხილს რუსები აკონტროლებენ. მამისონზე, საქართველოს მეტეოროლოგიურ სადგურზე, ახლა უკვე რუსული საგუშაგოა გახსნილი.

ჩვენი მესაზღვრეები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მამისონის უღელტეხილის საკონტროლო პუნქტი და ქვეყნის სიღრმეში 20 კილომეტრით უკან დაეხიათ, თუმცა ამას უტიფრად უარყოფს ეს ხელისუფლება.

ასე ჩააბარა სააკაშვილმა კავკასიონის საზღვარი... ასე ფლანგავს საქართველოს!

რაც სხვამ, უცხომ ვერ დაგვაკლო, ამ ხელისუფლებამ თავისი უგუნური პოლიტიკით მოახერხა. მას ყველა ღონე უნდა ეხმარა საკუთარი მოსახლეობის ადგილზე დამაგრებისათვის, ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნისათვის, რომ ამით მაინც შეეჩერებინა საუკუნეების განმავლობაში ბუნებრივი მესაზღვრეებისგან - ამ კუთხის მკვიდრებისგან ამ მიწების დაცლა.

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში ოფიციალურად ამჟამად 47 ათასი ადამიანია დარეგისტრირებული, რაც 2002 წელთან შედარებით 4 ათასი ადამიანით ნაკლებია.

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ უფრო მეტმა ადამიანმა დატოვა მთა და ქვეყანა. ისეთი პირობებია შექმნილი, რომ ადამიანებს ამ მიწიერი სამოთხიდან წასვლა უწევთ.




უმუშევრობა ჩვენი ხალხის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ამ ხელისუფლებამ არა თუ არ აღმოფხვრა უმუშევრობა, როგორც გვპირდებოდა, არამედ ამ მხრივ ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. და ეს განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში იგრძნობა.

განახევრებულია სკოლების რაოდენობა. ბავშვი აღარ დარჩა სოფლებში. არადა, ბავშვი ხომ სიცოცხლეა, სოფლისაც და მთელი ქვეყნისაც.

სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხელისუფლება იმ უდიდეს პოტენციალს გამოიყენებდა, რითაც ასე ცნობილია რაჭა. ეს მისი უნიკალური კურორტებია. ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ასეთი რეგიონი ნამდვილად წელგამართული იქნებოდა.

რაჭის ტურისტული პოტენციალი ნაწილობრივადაც არ არის გამოყენებული. ხელისუფლების დაპირება, რომ შაორი და შოვი ტურისტული ცენტრი გახდებოდა, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, მხოლოდ დაპირებად დარჩა.

რაჭაში მიწისძვრამ დაანგრია არა ერთი სახლი. ამდენი წელი გავიდა და სტიქიით დაზარალებული ხალხი ახლაც ელოდება სახელმწიფოსგან დახმარებას.

რამდენი გაჭირვება, რამდენი პრობლემა ჩამოვთვალე, რამდენია კიდევ, რომელსაც არ შევხებივარ. ჩვენ გამოსავალი უნდა ვიპოვოთ, ყველამ ერთად.

ჩვენ ამ გაჭირვებიდან ამოსვლა სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ და ამას მხოლოდ თავდაუზოგავი შრომითა და ბრძოლით შევძლებთ.

ჩვენი ერთობლივი ბრძოლა 1-ელ ოქტომბერს უნდა მოვიგოთ!

შემოდგომაზე, თითქმის ერთ თვეში, საპარლამენტო არჩევნებში ჩვენ დიდი არჩევანი გვაქვს გასაკეთებელი. ეს არჩევნები იქნება ბრძოლა ჩვენი სამშობლოსათვის, ჩვენი ხალხისათვის, და ჩვენ ამ ბრძოლაში აუცილებლად გავიმარჯვებთ!

გამარჯვებისთვის საჭიროა და გვაქვს კიდეც კარგად გააზრებული და მკაფიო გეგმა, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა განვახორციელოთ.

ამ ბრძოლაში ყველანი ჯარისკაცებად უნდა ვიქცეთ, თანამებრძოლებად, და ყველას უნდა ესმოდეს, რომ მის გარეშე საერთო გამარჯვება ვერ მიიღწევა. ჩვენ ეს ვიცით და ამიტომ ჩვენ გავიმარჯვებთ!!!

(პაუზა)

აქ მრავლად ხართ სვანები შეკრებილი - ქვემო სვანეთიდან. ამიტომ რამდენიმე სიტყვა მინდა გითხრათ სვანეთზე. ვიცი, თავდაჭერილი ხალხი ხართ და ზედმეტად ქება არ გიყვართ. მაგრამ რის თქმასაც ვაპირებ, გადაჭარბებული ნამდვილად არ უნდა იყოს.

თუმცა რა უნდა გითხრათ, სვანებო, სვანეთზე... მთელ ჩვენს ქვეყანას ზემოდან დაჰყურებთ - მედიდუ-

4 gv.

# xelisufleba iqamde mivida, rom gardabanSi soflis mRvdlebsac kidaeria

***გვესაუბრება კოალიცია „ქართული ოცნების“ გარდაბნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მამუკა არეშიძე:***

**— ბატონო მამუკა, გარდაბანი საკმაოდ პრობლემური რეგიონია, რა სიტუაცია დაგხვდათ ადგილზე, რა აწუხებს ყველაზე მეტად ადგილობრივ მოსახლეობას?**

— დავიწყებ იმით, რომ მთელ საქართველოში გარდაბნის რაიონი უნიკალურია თავისი ეთნიკური, რელიგიური და კუთხური შემადგენლობით. გარდა იმისა, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი არაქართველი, ძირითადად, აზერბაიჯანელები არიან, ასევე ცოტა სომხები, რუსები, ბერძნები და ა.შ. აზერბაიჯანელებიც ხომ ორ რელიგიურ ჯგუფად სუნიტებად და შიიტებად იყოფიან, ქართველებში კუთხური შემადგენლობა უაღრესად ჭრელია. არის სოფლები, სადაც საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებია ჩასახლებული — ქართლელი, იმერელი, გურული, მეგრელი, გარდა ამისა, ლტოლვილები სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან. ასევე, ეკომიგრანტები — სვანები და აჭარლები, რომლებიც სხვადასხვა ეკოლოგიური კატასტროფის გამო ამ რეგიონში აღმოჩნდნენ.

**წარმოიდგინეთ, როგორი სიჭრელეა, ყველას თავისი პოზიცია, ტრადიცია, ცხოვრების წესი აქვს. ამ თვალსაზრისით, ეს რაიონი მართლაც უნიკალურია, მაგრამ მას აქვს უდიდესი საუკუნის პრობლემა, რითაც გამორჩეულია — ესაა უწყლობა. არადა, იგი, საბჭოთა პერიოდში, სახელმწიფოს წელიწადში 3-4 მოსავალს აძლევდა და ორ დიდ ქალაქს რუსთავს და თბილისს კვებავდა, ასევე, საბჭოთა კავშირის რამდენიმე დიდ ქალაქს.**

დღეს ეს საწარმოები ყველა გაჩერებულია. მთლიანად მოშლილია სარწყავი სისტემა. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მოშლილია სასმელი წყლის სისტემაც. სწორედ ამის გამოა, რომ ადამიანები დაბინძურებულ წყალს სვამენ და შედეგად ძალიან მაღალია სხვადასხვა ტიპის დაავადებათა რიცხვი. კატასტროფულია ეკოლოგიური ვითარებაც. იქ განლაგებულია ქარხნები, რომელთაც ფილტრები მოშლილი აქვთ, მათი მფლობელები ფილტრს შეგნებულად არ ამუშავებენ, რადგან ეს ძვირი ჯდება და, პრაქტიკულად ხალხს წამლავენ. მაგალითად, ასეთი სოფელია თაზაკენდი, რომლის მოსახლეობა ცემენტის ქარხნის გამონაბოლქვის გამო კატასტროფულ მდგომარეობაშია. კატასტროფულ მდგომარეობაშია გაჯის დამამუშავებელი კარიერების გვერდით არსებული სოფლებიც. მაგალითად, ახალი სამგორი. გაჯს ღია წესით ამუშავებენ, არ სრულდება კანონი, რომელიც გახსნილი კარიერის ამოწურვის შემდეგ მის დამარხვასა და მწვანე ნარგავის გაშენებას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, სოფლები — გამარჯვება და ახალი სამგორი მთლიანად მტვერშია. მარტყოფსა და საკაძეს შორის რადიაქტიული ნარჩენების სამარხია. მართალია, ეს სამარხი სარკოფაგშია მოქცეული და გარკვეულწილად დაცულია, მაგრამ საქმე შემდეგ უყაირათობასთან, დანაშაულთან გვაქვს — დაკარგულია სპეციალური ჟურნალი. აქედან გამომდინარე, არავინ იცის, რა წერია იქ და რა არის დამარხული ამ სარკოფაგში.

**ამ სამარხის თავზე ძროხები ბალახს ძოვენ, პატრონი არ ჰყავს ამ ადგილს. შესაბამისად, მარტყოფის მოსახლეობას ონკოლოგიური დაავადებების კუთხით სერიოზული პრობლემები აქვს. წყლის პრობლემის გამო დაიწყო გარდაბნის სამხრეთის ზონის გაუდაბნოება. თუ ასე გაგრძელდა 15 წელიწადში მთელი გარდაბანი უდაბნო იქნება. ეს გლობალური პრობლემაა.**

ასევე არის სხვა ტიპის პრობლემებიც, ძირითადად, სოციალური, მაგალითად, უმუშევრობა, ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმებული არაა და ამ დროს ამა თუ იმ მშენებლობაზე სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოყვანილი მუშები მუშაობენ. სოფლებში არ არის ამბულატორიები, ეს რეგიონი ღვთისგან მიტოვებულია. სამედიცინო მომსახურების სისტემა იმდენად არეულია, ადამიანებმა არ იციან, სად და ვის მიმართონ. მარტივი, სამედიცინო ცნობის ასაღებად უზარმაზარი მანძილის გავლა უხდებათ. რაც შეეხება განათლებას, ხელისუფლება კი ტრაბახობს აშენებული სკოლებით, მაგრამ აქეთ მგონი, არც გამოუხედავს. გარდაბანი სპორტული რეგიონია, ჭიდაობაში უამრავი ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს. ამ დროს კი უმეტესი სპორტული დარბაზების მდგომარეობა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.



**— ურთულესი პრობლემები ჩამოთვალეთ, თავად როგორ აპირებთ ამ საკითხების გადაჭრას გამარჯვების შემთხვევაში?**

— თანდათან ვრწმუნდებით, რომ ივანიშვილმა ამ რეგიონში ჩემი წარდგენით სწორი გადაწყვეტილება მიიღო. იმიტომ, რომ ეს ურთულესი რაიონია და აქ მოგება პრესტიჟის საქმეა, რათა შემდგომში მისი პოტენციალის რეალიზაცია მოხდეს. სირცხვილია, თბილისიდან 15 კილომეტრში მდებარე რაიონი ასეთ დღეში იყოს. გარდაბანი საქართველოში ყველაზე დიდი რაიონია, მაგრამ სიგრძეში სულ 80 კმ-ია. ანუ მისი მოვლა არ იყო რთული, თბილისის გარეუბნიდან პირდაპირ გარდაბანი ებმება და ამ დროს იმდენად რთული, განსხვავებული ვითარებაა გეგონება, სხვა ქვეყანაში მოხვდი. ამ რაიონს წლების მანძილზე ერთი და იგივე წურბელები ერთი და იგივე კუთხიდან ასხდნენ კისერზე. კლანი, რომელიც მრავალი წელია რაიონს კისერზე აზის, მას სისხლს წოვს. გარდაბანი ვისაც არ ეზარება, ყველას განაწილების თემაა. ასეულ ჰექტრობით მიწები აბსოლუტურად უკანონოდაა დაკანონებული.




**— გარდაბნის რაიონში ბევრი ეთნიკური უმცირესობა ცხოვრობს. ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისთვის ხელისუფლება არაფერს აკეთებს. როგორ გესახებათ ამ პრობლემის მოგვარება?**

—უნდა გითხრათ, რომ ეროვნული უმცირესობის სახელმწიფოებრივი ინტეგრაციის პროგრამა ფასადურია. შეიძლება, ქაღალდზე კარგია, მაგრამ რეალურად არ სრულდება. როგორც ვატყობ, შეგნებულად არ სრულდება. იმიტომ კი არა, რომ არ შეუძლიათ, არამედ შემდეგი პრინციპის გამო —

**რაც შეიძლება მეტ სიბნელეში უნდა ამყოფო ადამიანები, რომ მორჩილი იყოს. ამას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება, რაც აზერბაიჯანელების მაგალითზე ნათლად ჩანს. აზერბაიჯანლების დიდი ნაწილისთვის, ეს მიწა მათი სამშობლოა, რადგან აქ სამ საუკუნეზე მეტია ცხოვრობენ. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის მათი ინტეგრაცია ქართველ საზოგადოებაში მომგებიანია.**

რაც შეეხება ქართული ენის სწავლებას შემდეგი პრინციპით ხდება — დაიწყება პროგრამა, 6-7 თვე ასწავლიან სკოლაში ქართულს და მერე უცებ ეს პროგრამა გაუგებარი მიზეზებით წყდება. მასწავლებლები უკან ბრუნდებიან, ბავშვები კი უსწავლელნი რჩებიან. შედეგად, გარემო მათ აიძულებს მხოლოდ ერთი ენა — მშობლიური იცოდნენ, მან არ იცის არც რუსული, არც ქართული და არაფერი, ამის გამოა უსწავლელი და ბნელი. აზერბაიჯანელები ითხოვენ, ჩვენ შვილებს ქართული ენა ასწავლეთო. იმის მაგივრად, რომ ამ პროექტის გააქტიურება მოხდეს, ამის ნაცვლად ეს ხალხი ღვთის ანაბარაა მიტოვებული. რაც შეეხება კადრებს, რომლებიც სახელმწიფო აპარატში — ძალოვან თუ ადმინისტრაციულ სტრუქტურებშია დასაქმებული, — ეს კადრები შერჩეულია ლოიალობის და არა კანონის მიხედვით სადაც წერია, რომ სახელმწიფო ენა უნდა იცოდე. მიუხედავად იმისა, რომ სოფლებში სახელმწიფო ენის სწავლების თვალსაზრისით, მძიმე მდგომარეობაა, გარდაბანში ქართული ენა ბევრმა იცის. უმაღლესი ქართულ ენაზე თბილისში დაამთავრეს, მაგრამ ქართულ ენას არ იყენებენ იმიტომ, რომ თბილისში განათლებამიღებული ახალგაზრდა ხელისუფლებისთვის პოტენციურად საშიშია. ხელისუფლებას ადგილზე უენო აზერბაიჯანელი სჭირდება, რომელიც ადმინისტრაციაში სიმბოლურად იქნება, მაგრამ ბრძანებას უსიტყვოდ შეასრულებს. აი, ესაა ინტეგრაციის პროცესი, რომელსაც ხელისუფლება ქვემო ქართლში, გარდაბნის რაიონში ავითარებს. ასე რომ არავითარი ინტეგრაცია, პირიქით, დეზინტეგრაცია ხდება. მაგალითად ავიღოთ, როგორი ტიპის პროპაგანდას ეწევიან ხელისუფლების წარმომადგენლები კულუარულად — აზერბაიჯანელებს ეუბნებიან თუ ოპოზიციას მისცემთ ხმას, მაშინ 90-იანი წლები დაბრუნდება, ქართველები თქვენს ძარცვას, შევიწროვებას, სახლებში შემოვარდნას, თქვენი ცოლების გაუპატიურებას დაიწყებენო და ა.შ. ასევე, აზერბაიჯანელებს, ეუბნებიან — ოპოზიციას რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა მის ბაზარზე თქვენი პროდუქციის გასატანად კი არ უნდა, არამედ იმიტომ, რომ სომხებს გზა გაუხსნანო. პრინციპში, ეს ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივებაა და რომელ ინტეგრაციაზეა საუბარი. ჩვენ, პირიქით, ბევრი ადამიანი გვჭირდება, რომელიც საქართველოს საზოგადოებაში მთლიანადაა ინტეგრირებული და რომელსაც მატერიალური დოვლათის შექმნის საშუალება აქვს. ამ ადამიანების ჯგუფს საშუალო კლასი ჰქვია, ანუ თავისუფალი ადამიანები. რაც უფრო თავისუფალი, ინტეგრირებული იქნება ადამიანი საქართველოს საზოგადოებაში, მით უფრო სერიოზული დასაყრდენია სახელმწიფოსთვის. ესაა ჩვენი ამოცანა.

**— თქვენ ზემოთ თქვით, ხელისუფლებას ეშინია ეთნიკური უმცირესობებისო, მაგრამ ისინი ეთნიკურ უმცირესობებს, როგორც საარჩევნო ხმას, ისე უყურებენ. მათ ხან ალიევი დაუტატანებს — ხელისუფლებას მიეცით ხმაო, ხან — სარქისიანი. ფაქტობრივად, ჩვენი ამომრჩეველი მეზობელი სახელმწიფოების პრეზიდენტებისგან იმართება. მაშინ ვისი არჩევნებია ეს?**

— არ არის ასე საქმე, დამთავრდა ეგ ამბავი. ერთი კვირის წინ ალიევი აზერბაიჯანის სახელმწიფო ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა, რომ არავის საქმეში არ ერევა და საქართველოს ხელისუფლება თავად მოელაპარაკოს საკუთარ ხალხსო.

**კულუარულად ვფლობთ ინფორმაციას, რომ ალიევმა ჩვენი ხელისუფლების ემისრებს განუცხადა — დიდხანს ვატყუეთ ეს ხალხი, ბევრჯერ გავეცით დაპირებები და ვერ შევასრულეთ, ამიტომ ამ საქმეში აღარ ჩავერევიო.**

ახლა შეიძლება სიტუაცია შეიცვალოს. შეიძლება პოლიტიკურმა კონიუნქტურამ თავისი როლი ითამაშოს და ალიევის პოზიცია შეიცვალოს, მაგრამ სხვა რამ მინდა გითხრათ — სოფელი ქესალოს აზერბაიჯანელ მოსახლეობას, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინა, რომ მისი მიწა, რომელიც არენდით ჰქონდა აღებული, ჩუმად გაიყიდა, სხვისია და ზამთარში საკვების გარეშე დარჩნენ, ამიტომ, მას არც ოფიციალური თბილისი აღელვებს და არც ბაქო. პირიქით, დღედაღამ ოფიციალური ბაქოს გინებაშია იმის გამო, რომ არ ეხმარნენ. ქესალო უზარმაზარი სოფელია სამი საარჩევნო უბნით. მას აინტერესებს არა ის, ბაქოდან რას ეტყვიან, არამედ ის, რომ ხელისუფლება შეიცვალოს და სამართლიანობა აღდგეს. ასევე მოექცნენ იორმუღალოელ გლეხებს — ხედავენ, რომ მათ მიწას დღეს მეზობელი ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანები ამუშავებენ, თან მათთვის მიუღებელი ქვეყნიდან. ამ სოფელში 12 ათასი მაცხოვრებელია. ამ ხელისუფლებამ თავად გაუკვალა გზა გამარჯვებისკენ ამ რეგიონში წამოყენებულ ჩვენს მაჟორიტარ კანდიდატს.

**— თუ არის თქვენთვის ცნობილი, რა რაოდენობას შეადგენს ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო ხმები?**

— ზუსტ ოდენობას ვერავინ იტყვის, უამრავი ადამიანია ქვეყნიდან წასული. საქართველოში, საერთოდ, ეროვნული უმცირესობები 17-18 პროცენტს შეადგენს. ეს ოფიციალური ციფრებია, მაგრამ რიგი სოფლებდან მოსახლეობის ნახევარი გასულია. მაგალითად, გარდაბნელებით სავსეა მინსკი, მაგნიტოგორსკი, მოსკოვი, იგივე მდგომარეობაა სომხებთან დაკავშირებითაც. ჯავახეთში, დაახლოებით, მოსახლეობის ორი მესამედია დარჩენილი. ზუსტად ამ ხმებით მანიპულირებას ცდილობს ხელისუფლება. ამიტომ ჰქვია ჯავახეთსა და ქვემო ქართლს ხმების ბეღელი. ვიცი, რომ ხელისუფლებამ საქართველოს რიგი რეგიონები საერთოდ მიატოვა და ბრძოლას აღარ აპირებს. მთავარი

6 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

3 gv.

# `raWa, leCxumi, qvemo svaneTi saqarTvelos kuTxeebia, magram gulida Suagulia yvelgan, sadac saqarTveloa~

რად. მკაცრები და სამართლიანები ხართ. ანტიკურ ხანაში ცნობილი იყო, რომ სვანებს ასი ათასი მეომრის გამოყვანა შეეძლოთ. ეს იმ დროს წარმოუდგენლად დიდი ჯარი იყო.

აი, რა შორიდან მოდიხართ, აი, რა დიდია თქვენი ისტორია, რომელიც ჩვენი, ქართველების, ისტორიისა და კულტურის არა თუ განუყოფელი ნაწილია, არამედ ერთ-ერთი უღრმესი ფესვია.

მისახედია ახლა სვანეთიც, ისევე როგორც ყველა მაღალმთიანი რეგიონი.

ჩვენ ავამოქმედებთ მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონს, რომელიც რეალურად შეუწყობს ხელს მთის სოფლების აღორძინებასა და მოსახლეობის დაბრუნებას.

ჩვენ ავამოქმედებთ განსაკუთრე-



ბულ საგადასახადო შეღავათებს ინვესტორებისათვის, რომლებიც რეალურ სამუშაო ადგილებს შექმნიან მთიან და მაღალმთიან რეგიონებში.

ხელისუფლების ამოცანა იქნება თანაბრად იზრუნოს ქვეყნის კუთხეების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ქვეყანის არც ერთი კუთხე არ უნდა ვითარდებოდეს დანარჩენი მხარეების ხარჯზე.

„ქართული ოცნება“ დაამკვიდრებს თვითმმართველობას - ჩვენი მოქალაქეები თვითონ მიიღებენ გადაწყვეტილებებს თავიანთ სოფლებში, რაიონებსა და ქალაქებში, თავად დაგეგმავენ ბიუჯეტს და თავად იქნებიან მისი განმკარგველები.

კანონით იქნება განსაზღვრული, ცენტრიდან რა თანხა გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. აღარასოდეს იქნება დამოკიდებული ამ თანხის ოდენობა და გადაცემა-არგადაცემის საკითხი რომელიმე ჩინოვნიკის ნება-სურვილზე.

თვითმმართველობის სიკეთეს ყველანი იგრძნობთ. ჩვენ ამას გპირდებით!

სოფელს ეყოლება პატრონი და ეს პატრონი მისი მოსახლეობა იქნება!

„ქართულ ოცნებას“ დაგეგმილი აქვს, ააღორძინოს ქართული სოფელი და ამისათვის შექმნას ერთმილიარდიანი ფონდი. ეს ასე იქნება, მე ამას გპირდებით!

ჩვენი გეგმის მიხედვით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოქალაქეები შეძლებენ გრძელვადიანი, ხელმისაწვდომი და შეღავათიანი სესხების აღებას და ამით სარგებლობას; მოწესრიგდება მიწის დაკანონების საკითხები და შეიქმნება სათანადო გარანტიები; გლეხებს ხელი შეეწყობათ თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებაში, დაფუძნდება კერძო საწარმოები, რომლებიც მომხმარებელს შესთავაზებენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს - ტრაქტორებს და ყველა საჭირო აღჭურვილობას, ეს საწარმოები ხელს შეუწყობენ მათ მოსავლის აღებაში, დაბინავებაში და, საჭიროების შემთხვევაში, დასაწყობებაში, ბაზარზე გატანასა და გასაღებაში.

ჩვენ შევცვლით არსებულ პოლიტიკას და ქართულ სოფელს თავის ნამდვილ მნიშვნელობას დავუბრუნებთ, ქართულ ბაზარზე კვლავ დაბრუნდება ჩვენს მიწაზე მოყვანილი მოსავალი.

გპირდებით, 1-ელი ოქტომბრის შემდეგ, როცა ჩვენ ვიქნებით ხელისუფლებაში, მხარში ამოგიდგებით და რთველი ისე ჩაივლის, თქვენ რომ გაგიხარდებათ. ამ კუთხეში მოყვანილი უნიკალური ყურძნის ფასიც ისეთი იქნება, ამ ყურძენს რომ ეკადრება.

ჩვენ ავაღორძინებთ რაჭა-ლეჩხუმში სახელგანთქმული ღვინოების წარმოებას. “ხვანჭკარა”, “უსახელაური”, “თეთრა”, “ალექსანდროული”, “ტვიში”, “ოჯალეში” და “ციცქა” მზადდება უნიკალური ყურძნის ჯიშებისაგან. აღნიშნული დარგის განვითარება შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო გახდება როგორც რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, ისე მთლიანად საქართველოსთვის.

ჩვენ გვჯერა, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინების სიკეთე შეხვდება ყოველ ადამიანს, ყოველ ოჯახს. ამას იგრძნობს ყოველი თქვენგანი, და თქვენს წვლილს შეიტანთ ქართული სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში.

არავის ეგონოს, ლეჩხუმი დავივიწყე. არის კი ერთი გასაჭირი მაინც ამ ქვეყანაში, ლეჩხუმს რომ არ აწუხებდეს? არა მგონია. ლეჩხუმი ის მხარეა, რომელიც, ვინ იცის, უამრავ გასაოცარ საიდუმლოს ინახავს და დღემდე არავის უმხელს.

მიხვდით ალბათ, რომ ხვამლის მთაზე მოგახსენებთ. ისტორიული წყაროების მიხედვით, სწორედ ხვამლის მასივში, მისი გამოქვაბულების სიღრმეში ინახებოდა ქართველ მეფეთა საგანძური, რომელიც ჯერაც არ არის გამოკვლეული. ამ მთას, სხვათა შორის, თურმე, ანტიკური ავტორებიც იცნობდნენ.

უამრავი ლეგენდაა ხვამლის მთასთან დაკავშირებული. ამ ლეგენდების მიხედვით, ამირანი მის სიღრმეში, კლდეზე იყო მიჯაჭვული. ლეგენდებს რომ თავი დავანებოთ, არა ერთი ფაქტობრივი დასტური არსებობს, რომ ხვამლის მთის მასივი საფუძვლიან არქეოლოგიურ გამოკვლევას საჭიროებს.

აქ, როგორც ჩანს, მართლაც საოცარი აღმოჩენები გველოდება საქართველოს უძველესი ისტორიიდან. არა ერთი ქართველი მეცნიერი-არქეოლოგი დაინტერესებულა ამ პრობლემით, მაგრამ საკმარისი სახსრების უქონლობის გამო სასურველის გაკეთება ვერ შეძლო. მათი მთავარი ოცნება ხვამლის მთის შესწავლა იყო.

ასეთი კეთილშობილური ოცნებების ასრულებაზე თუ არ ვიზრუნეთ, რაღა „ქართული ოცნება“ ვიქნებით. გპირდებით, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ქართველ მეცნიერებსა და მკვლევრებსაც მიხედავს.

თორემ ხომ ხედავთ, უსახსრობის გამო საკუთარ ისტორიასაც კი ვერ ჩავწვდომივართ. არადა, ისტორია განათლების ერთ-ერთი მთავარი საყრდენია. განათლების გარეშე კი უკეთეს მომავალს ვერ ვეღირსებით.

დიახ, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ჩვენი ხელისუფლებისთვის იქნება განათლება.

ჩვენ ყველა სოფელში, სადაც ბავშვები ცხოვრობენ, აღვადგენთ სკოლას, ყველა მოსწავლეს ექნება ხარისხიანი განათლების მიღების საშუალება და აღარ მოუწევთ სოფლიდან სოფელში ფეხით სიარული. ოჯახებს აღარ ექნებათ სახელმძღვანელოების შეძენის პრობლემა. მასწავლებლები დაფასებული იქნებიან, მასწავლებლობა პრესტიჟული პროფესია გახდება, თავისი შრომის შესატყვისი ხელფასით და სოციალური დაცვის გარანტიებით.

ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ყოველი ჩვენგანისთვის არის ჯანდაცვის საკითხი.

თითქოს ჯანდაცვას მიხედეს, ახალი საავადმყოფოები ააშენეს, მაგრამ ამ საავადმყოფოებში სათანადო პროფილის ექიმების ნაკლებობაა და ამიტომ ადამიანს თუ რამე სერიოზული დახმარება დასჭირდა, ან ქუთაისში უნდა ჩავიდეს ანდა, - თბილისში.

ჩვენ მივხედავთ თქვენს ჯანმრთელობას, გპირდებით!

„ქართული ოცნება“ გპირდებათ, რომ 1-ელ ოქტომბერს არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, სახელმწიფო იზრუნებს უკლებლივ ყველა მოქალაქის ჯანმრთელობაზე!

„ქართული ოცნება“ გპირდებათ, რომ მიწისძვრით დაზარალებული ოჯახები აუცილებლად მიიღებენ სახელმწიფოს დახმარებას, რომელსაც წლებია ელოდებიან.

„ქართული ოცნება“ გპირდებათ, რომ ჩვენ გავიყვანთ გზას, რომელიც ასე სჭირდება რაჭის მოსახლეობას. ეს გზა რიკოთის უღელტეხილის გარეშე, საჩხერის გავლით, დააკავშირებს რაჭას დედაქალაქთან.

ჩვენ ყველა დანაპირებს შევასრულებთ, ამის სიტყვას მე გაძლევთ!

მე გპირდებით, რომ საქართველოში კანონი იკანონებს. სწორედ კანონი მოსთხოვს პასუხს იმათ, ვინც დღეს უკანონობას სჩადის.

უკანონობა და უზნეობაა ის, რაც ამ დღეებში იკადრა ამ ხელისუფლებამ - უკვე ბავშვებთან დაიწყო ანგარიშსწორება.

იცით ალბათ, აქ, ამბროლაურში, 15-16 წლის ფეხბურთელ ბიჭებს, იმის გამო, რომ „ქართული ოცნების“ მაისურები ჩაიცვეს და ისე გავიდნენ რაიონულ ჩემპიონატში, ფინალში მონაწილეობის უფლება აღარ მისცეს.

ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი ლიდერის ნამდვილი სახე - ყველას უპირისპირდება, ვინც გაბედავს და რამე ფორმით საკუთარ პოზიციას გამოხატავს, და ყველა ჩათრეული ჰყავს უკანონობაში, ვისზეც ჯერ კიდევ შეუძლია გავლენის მოხდენა.



ყველამ ვიცით, რომ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების გარდა, უბრალო და, მათი აზრით, უმწეო ხალხის დაშინებაში სხვებიც მონაწილეობენ. ისიც ვიცით, რომ უშუალოდ არჩევნების პროცესისა და შედეგების გაყალბებაში ხელისუფლება სოფლის მამასახლისებისა და მასწავლებლების ჩათრევას აპირებს.

სწორედ ამ ადამიანებს ვაფრთხილებ ახლა: არ დაემონონ ხელისუფლებას და არ მიიღონ მონაწილეობა არჩევნების, ანუ ჩვენი სახელმწიფოს მომავლის გაყალბებაში!

თუ ისინი უარს არ იტყვიან ამ ძალიან მძიმე დანაშაულში მონაწილეობაზე, კანონის წინაშე აგებენ პასუხს, რადგან ჩვენს ქვეყანაში, ერთხელ და სამუდამოდ, კანონის უზენაესობა უნდა დამყარდეს! და დამყარდება კიდეც! ამის სიტყვას მე გაძლევთ!

სააკაშვილი და მისი ხელისუფლების წარმომადგენლების მუქარებს ბოლო არ უჩანს. ხმამაღლა ბედავენ იმის თქმას, რომ მე ქართული სახელმწიფოს მტერი ვარ და რუსეთის სამსახურში ვდგავარ.



ეს უტიფარი ტყუილია, რომელიც ერთადერთ მიზანს ემსახურება: ხალხს ჩემი ნდობა დააკარგვინოს და ქვეყნის მტრად გამომაცხდონ.

აქამდე მეცინებოდა მათ ტყუილებზე, მაგრამ ახლა უკვე ჩვენს მრავალრიცხოვან მხარდამჭერებსაც მოღალატეობას აბრალებენ და ამით საშინელ შეურაცხყოფას აყენებენ.

ნათლად ვხედავ სააკაშვილის ბოროტ განზრახვას - თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად მზად არის, ადამიანები სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდოს ერთმანეთს.

აი, ეს განზრახვაა მიუტევებელი დანაშაული ქვეყნის წინაშე, რომელიც, არა მგონია, გონიერმა და ღირსების მქონე ხალხმა დაუშვას!

არ შეგეშინდეთ, ხალხო, ჩვენს მხარესაა ცივილიზებული სამყარო, ამ დღეებში მათ მკაფიოდ გამოხატეს თავიანთი პოზიცია და ლენინიზმად შეაფასეს ამ ხელისუფლების საქციელი. ამაზე მწვავე შეფასება რა უნდა იყოს!

დიახ, აღარავინ დახუჭავს თვალს არჩევნების გაყალბებაზე! აღარ გაუვათ!

ჩვენ სიმართლეს გავუკვლევთ გზას და სამართლიანობას დავამკვიდრებთ ჩვენს ქვეყანაში.

1-ელ ოქტომბერს „ქართული ოცნება“ აუცილებლად გაიმარჯვებს არჩევნებში, შეცვლის ამ ხელისუფლებას და გპირდებით, რომ:

ჩვენ ერთად შევქმნით ისეთ ქვეყანას, რომლითაც ვიამაყებთ ჩვენ და იამაყებენ ჩვენი მომავალი თაობები!

ჩვენ ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც ვეღარავინ წაართმევს ხალხს თავის არჩევანს!

ჩვენ ღირსებას დავუბრუნებთ ჩვენს ქვეყანას!

ჩვენ ღირსებას დავუბრუნებთ ჩვენს ხალხს!

ჩვენ გავაერთიანებთ ჩვენს ხალხს!

ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას!

ჩვენ ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც აღარავის დასჭირდება ლუკმაპურის საშოვნელად სამშობლოდან გადახვეწა.

მე გპირდებით, რომ ჩვენ შევამცირებთ გაუმართლებლად მაღალ კომუნალურ გადასახადებს, პენსია არანაკლები იქნება, ვიდრე საარსებო მინიმუმია. თავად საარსებო მინიმუმის ოდენობაც გადაიხედება, შეიცვლება და რეალურ ოდენობას გაუტოლდება.

ჩვენ გავაორმაგებთ სოციალურ დახმარებას და ამას მიიღებს ყველა, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება. სოციალური დახმარება აღარასოდეს აღარავის არ ექნება მოსაპოვებელი ღირსების შელახვისა და დამცირების ხარჯზე, მე ამას გპირდებით!

მე გპირდებით, რომ „ქართული ოცნება“ თქვენთან ერთად იბრძოლებს და უკეთესობისკენ შეცვლის ყველა ადამიანის ცხოვრებას!

საქართველოში დაცული იქნება ადამიანის ყველა უფლება, აზრისა და სიტყვის თავისუფლება; სასამართლო იქნება სამართლიანი, მედია - დამოუკიდებელი, ბიზნესი - ხელშეუხებელი!

ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც ჩვენს საამაყო ჯარისკაცებსა და პოლიციელებს მიეცემათ იმის შესაძლებლობა, რომ ღირსეულად ემსახურონ სახელმწიფოს!

თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ხალხი იცხოვრებს, რომელსაც აღარ ექნება პოლიტიკური დევნის შიში! მე ამას გპირდებით!

ქართველები, ოსები, აფხაზები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, ბერძნები და სხვები ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, რომელიც სამშობლო იქნება ყველასთვის!

საქართველო გახდება თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყანა, ევროპული თანამეგობრობის ღირსეული წევრი!

ამ ბრძოლაში ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით, და ჩვენ ერთმანეთი გვჭირდება. მხოლოდ ერთად დგომით მოვიგებთ ამ ბრძოლას!

ჩვენ გვწამს და მტკიცედ გვჯერა, რომ გავიმარჯვებთ არჩევნებში, ქართველი ხალხი გაიმარჯვებს, საქართველო გაიმარჯვებს, ჩვენ ერთად შევქმნით უკეთეს მომავალს და ერთად ავისრულებთ ქართულ ოცნებას!

# xelisufleba iqamde mivida, rom gardabanSi soflis mRvdlebsac ki daeria

4 gv.

იმედი ისევ ქვემო ქართლის და ჯავახეთის აქვს. მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ხმების დასაცავად, სერიოზული სქემა გვაქვს მოფიქრებული. შედეგი იქნება ისეთი, როგორიც ჩვენ გვინდა, თუ ხელისუფლებამ თვითონ არჩევნების დღეს ომი, ყუთების გატაცება, ქუჩაში ხალხის დახოცვა, დაპატიმრებები არ დაიწყო.

**— ამის საშიშროებას ხედავთ?**

— რასაკვირველია, საშიშროება არის. ხელისუფლების ქცევიდან, პრეზიდენტის ამას წინანდელი განცხადებიდან — არჩევნებში გამარჯვება ნებისმიერ ფასად — გამომდინარე, როგორც სჩანს, ყველაფერზე წამსვლელია. არჩევნებში გამარჯვება ნებისმიერ ფასად — ასეთ რამეს ჰიტლერი იტყოდა ალბათ. თუ დემოკრატიას ღაღადებ, მაშინ გამარჯვება ნებისმიერ ფასად არ არსებობს. ზღვარი მოხსნილია, ნებისმიერი ფასი ყველაფერია, შეიძლება მეორე დილით ყველა აქტივისტი დახვრიტონ. მანამდე ბოკერიამ თქვა — ჩვენ ყველაფერზე წავალთ, იზოლაციის ფასადაც რომ დაგვიჯდესო. იძულებულნი ვართ, მათ ნათქვამს ყური დავუგდოთ. ხალხი, რასაკვირველია, დაშინებულია, მაგრამ ნაციონალების მიმართ აგრესიულნი არიან. გარდაბნის რაიონში ერთი სოფელია, რომლისაც ნაციონალებს იქით ეშინიათ და ვერაფერს ბედავენ.

**— მიზეზი რა არის?**

— ის, რომ ეს არის ქართული სოფელი, სადაც მოსახლეობას მიწები გაუყიდეს. დღეს, სასწრაფო წესით, ვიღაცებს უკან უბრუნებენ მიწებს, უკანონებენ. მაგრამ ამ სოფელში მიწებს ვერ უკანონებენ იმიტომ, რომ ეს მიწები ისეთ ხალხს აქვს წაღებული, მათ ვერ ართმევენ, რათა ძველ მფლობელებს ისევ დაუკანონონ. ამ სოფელს ვერაფრით დააშინებ, ხალხი მშიერია და ყველაფრისთვის მზადაა. მაგრამ სხვაგან არის დაშინების ფაქტები, ვერ გეტყვით, რომ არჩევნები 100 პროცენტით მოგებულია. სოფელში ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფ ხალხზე ზემოქმედებს შეძახილი თითქოს რუსეთის აგენტები ვართ. გარდა ამისა, ახლახან გარდაბნის ცენტრში ჩვენი ექვსი აქტივისტი (ოღონდ არ იცოდნენ, რომ ისინი „ქართული ოცნებიდან" იყვნენ), გააჩერეს და მანქანიდან გადმოსულმა ადმინისტრაციის წარმომადგენელმა მათ 100-100 ლარი და მაისურები — „მე მიყვარს საქართველო" დაურიგა. აზერბაიჯანელებსაც, ქართველებსაც ურიგებენ 200-300 ლარს, ზოგს წართმეულ მიწებს უკანონებენ, მიმდინარეობს ტოტალური მოსყიდვა. ამას სამწუხაროდ, ვერ ვაძლევთ შესაბამის შეფასებას იმიტომ, რომ ბევრ მათგანს ეშინია ამის თქმის, თანაც ჩვენ არ გვაქვს დაცვის ისეთი მექანიზმები, როგორიც გვინდა, რომ გვქონდეს. თუმცა, რასაკვირველია, შეგვიძლია ამაზე დიდი ამბის ატეხვა, ავტეხავთ კიდეც, გარკვეულწილად ინფორმაციას ვაგროვებთ. უამრავი დაშინების ფაქტებია. ჩვენ ამ დაშინების ფაქტებს უცხოელ დამკვირვებლებს ვაწვდით.

**ერთ ფაქტს გეტყვით, ერთ-ერთი სოფლის მღვდელი, რომელიც ლიადაა ჩვენი მომხრე, შუაღამეზე სახლიდან გამოიყვანეს და ათას სიკეთეს ჰპირდებოდნენ, რათა ჩვენ მხარეს აღარ ყოფილიყო, მაგრამ ამან რომ არ გაჭრა, მუქარაზე გადავიდნენ. ხელისუფლება უკვე იქამდე მივიდა, რომ სოფლის მღვდლებსაც დაერია.**

**— ძირითადად, ოპოზიცია ხელისუფლების 30 პროცენტზე საუბრობს, მაგრამ ეს რომ გაიგო, ამომრჩევლის ზუსტი რაოდენობა ხომ უნდა იცოდე, თანაც ამ პროცენტში ადმინისტრაციულ რესურსს თვლით და არა გაყალბებულ ხმებს, ხომ?**

— რასაკვირველია, გაყალბებული ხმები არ ითვლება, მაგრამ ნაწილობრივ ითვლება. როცა 30-პროცენტიან რესურსზეა საუბარი, ესაა მაქსიმუმი იმისა, რომ ყველა ადმინისტრაციული და ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრები ხმას ხელისუფლებას აძლევენ. სინამდვილეში, სულ მცირე, პარლამენტის 10-12 თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრები ვიცი, რომლებიც ნამდვილად არ მისცემენ ხმას ნაციონალებს ე.ი. არ არის ეს მაქსიმალური რიცხვი. რასაკვირველია, შეიძლება 30 პროცენტიც მიიღონ და 35 პროცენტიც, მაგრამ ეს სხვა მექანიზმია. მხარდამჭერები რომ ჰყავს ნაც. მოძრაობას, ამას რად უნდა ლაპარაკი, მაგრამ მე იძულებაზე ვსაუბრობ.

ხელისუფლება ნაციონალური არხების მეშვეობით ამკვიდრებს აზრს, რომ გამარჯვება მაინც მათ დარჩებათ. ჯერ ერთი, ამას არ უნდა ავყვეთ. მეორე, გვაქვს მექანიზმები, თუ როგორ მოვახერხოთ ადამიანების გააქტიურება არჩევნებამდე, მესამე — ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ხელისუფლება არ გეგმავს არჩევნების მოგებას, არამედ გეგმავს გამანადგურებელ გამარჯვებას. ხალხმა წინასწარ უნდა იცოდეს, ხელისუფლება ყველაფერზე მიდის, რათა დიდი ანგარიშით გაიმარჯვონ. აქედან გამომდინარე, ხალხი საბრძოლველად ღირსების დასაცავად მზად უნდა იყოს.



**თამარ შველიძე**

# saidan ician ojaxis diasaxlebma vin aris saqarTvelos mteri da ruseTis kaci?

ტელევიზორი ჩავრთე და ეკრანიდან ვიღაც ქალბატონი გამოვარდა ყვირილით: — წადით, წადით, მტერია ეგ, მტერი!

ქალბატონს ახალგაზრდა მამაკაცები აშოშმინებდნენ, მაგრამ ამაოდ — ის მაინც ვიდეოკამერისკენ მიიწევდა და — მტერია ეგ, მტერიო, — გაჰკიოდა მთელი ხმით.

როგორც გაირკვა, ქალბატონი მტერში ბიძინა ივანიშვილს გულისხმობდა...

...გზისპირას შეკრებილ ადამიანებს ავტომანქანამ ჩაუქროლა და რაღაც სითხე შეასხურა.

თეთრი ბოლით გადაიპენტა იქაურობა...

შეკრების მონაწილეებში ჩოჩქოლი ატყდა — ზოგს გული ერეოდა, ზოგს თვალები ეწვოდა, ზოგს, ახველებდა და სუნთქვა უჭირდა.



შეკრებილებს, რომლებიც „ქართული ოცნების" მხარდამჭერები აღმოჩნდნენ, ამერიკული პეპლის საწინააღმდეგო შხამ-ქიმიკატის ხსნარი შეასხურეს.

იმავე საღამოს ტელევიზიით ვიღაც ახალგაზრდა კაცი გამოვიდა (მგონი, სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი) და საზოგადოებას აუწყა: — ნუ გეშინიათ, პეპლის საწინააღმდეგო შხამ-ქიმიკატი ადამიანის ჯანმრთელობისთვის აბსოლუტურად უვნებელიაო.

ადამიანს შეფურთხებაც არ კლავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა შეაფურთხო. ადამიანის ჯანმრთელობისთვის შეიძლება არც ტალახი იყოს დიდად სახიფათო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანს ტალახი უნდა ესროლო. თქვენ წარმოიდგინეთ, ადამიანი არც პანღურით მოკვდება, მაგრამ ამის გამო ადამიანს პანღური ხომ არ უნდა ამოარტყა და ბოლოს, ადამიანს შეიძლება პეპლების საწინააღმდეგო ეს თქვენი შხამ-ქიმიკატიც არ კლავს, მაგრამ მაინც არ უნდა შეასხურო, რადგან ის ადამიანია და არა პეპელა, თანაც ამერიკული.

ერთი ჩემი მეგობრის მონაყოლს გიყვებით — კიროკს, რომელიც პროფესიით „ჟეშტიანჩიკი" იყო, მაგრამ იმ არეულ-დარეულ 90-იან წლებში საკმაოდ მნიშვნელოვანი საქმეები ებარა, ჰკითხეს — როდის დაწყნარდება ეს ქვეყანა და როდის გვეშველებაო?

— როდის გვეშველება და მაშინ, მე რომ ისევ სახურავზე ავალ და სარდალი ლოთი კიდევ თავის პურის „ფურგონს" დაუბრუნდებაო.

ეს სიტყვები თითქმის ოცი წლის წინათ არის ნათქვამი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არაფერი შეცვლილა. — სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტას კვლავ „ჟეშტიანჩიკები", დიასახლისები, „გრუზავიკის" მძღოლები ცდილობენ.

ყველა პროფესია დიდებული და საამაყოა, მაგრამ ისიც არ უნდა იყოს საკმათო, რომ პური მეპურემ უნდა გამოაცხოს, ქუდი მექუდემ უნდა შეკეროს, პოლიტიკოსმა პოლიტიკას უნდა მიხედოს.

თქვენ რა, საიდუმლო მასალებზე მიგიწვდებათ ხელი, სადაზვერვო სამსახურებთან გაქვთ კავშირი თუ სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრების კულუარულ ინფორმაციებს გაწვდით ვინმე?

ქალბატონებს რომ თავი დავანებოთ, საიდან იციან, ვინ არის მტერი და ვინ არის რუსეთის კაცი იმ ბატონებმა, ივანიშვილის ხალხის დანახვაზე ქვებს რომ დასწვდებიან ხოლმე?

**ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ქვების სროლა საიდან ისწავლეთ, თქვე დალოცვილებო, პაპუასები ხართ თუ ქართველები ხართ, უძველესი კულტურის და უძველესი ცივილიზაციის ერის შვილები?**

XXI საუკუნეა და იმის ნაცვლად, რომ როგორც ცივილიზებულ ერს ეკადრება, ისე მოვიქცეთ, უკან, გამოქვაბულებისკენ მივდივართ?

პაპუასებიო, ვახსენეთ ზემოთ და პაპუასებიც კი არ ისვრიან უკვე ქვებს და ჩვენ რაღა დაგვემართა?

იცით თუ არა თქვენ, რომ ქართველი კაცისთვის, ვაჟკაცისთვის, უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა, ქვას რომ დასწვდომოდა და კაცისთვის ესროლა?

ქვასროლაა ერის იარლიყს ნუ მივიწებებთ ამ ოცდამეერთე საუკუნეში — სირცხვილია ეს და თავის მოჭრაა...

ჩვენთან კი ყველაფერი ისევ პირიქითაა: პოლიტიკოსები „პრარაბობენ", „პრარაბები" პოლიტიკოსობენ, ქუდს მეპურე კერავს, პურს მექუდე აცხობს, ხოლო ჩემმა თანასოფლელმა ქალბატონმა და მისმა პოლიტიკურმა „დაქალებმა" ზუსტად იციან, ვინ არის საქართველოს მტერი, ვინ არის რუსეთის კაცი, ვინ ვისთან არის შეკრული და ვინ ვისთან გარიგებული.



**ჩემო ძვირფასო და პატივცემულო ქალბატონებო, კარგი ოჯახის კარგო დიასახლისებო ობუჯიდან, კარალეთიდან, დუშეთიდან, მერეთიდან — ძალიან მაინტერესებს, საიდან იცით თქვენ ეს ყველაფერი? საიდან იცით თქვენ, ვინ არის მტერი, ვინ არის ჯაშუში, ვინ ვისთან არის შეკრული და გარიგებული?**

დემოკრატიის მთავარი ნაკლი ისაა, რომ ნორმალურის და არანორმალურის, ჭკვიანისა და უჭკუოს, მოაზროვნის და გონებაჩლუნგის, გენიოსის და ბრიყვის, განათლებულის და უწიგნურის ხმას თანაბარი წონა და ფასი აქვს და არჩევნების შედეგები იმაზეა დამოკიდებული, გონიერები სჭარბობენ ამ თუ იმ საზოგადოებაში თუ უგნურები?

დამოუკიდებლობის მიღების დღიდან საქართველოს წინაშე სწორედ ეს უმთავრესი პრობლემა დგას — რა გადასძალავს — გონიერება თუ უგუნურება?

1 ოქტომბერს გაირკვევა, ადამიანთა რა კატეგორია ჭარბობს ჩვენს საზოგადოებაში...

პირადად ჩემთვის ეს არჩევნები სწორედ ამით არის საინტერესო და ღირსშესანიშნავი...

**ვახტანგ ხარჩილავა**

**გვესაუბრება კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი წალენჯიხის რაიონში ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲭᲧᲔᲑᲘᲐ**



# gagecinebaT, magram dRes iseT situaciaSi var, rogorc Tavis drozeutu miqava iyo...

**— ბატონო გიორგი, თქვენ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ წალენჯიხის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დაგასახელათ, გვიამბეთ ცოტა რამ თქვენს შესახებ — ვინ არის გიორგი ნაჭყებია?**

— დავიბადე ზუგდიდში 1956 წელს. პირველი პროფესიით ინჟინერ-ტექნიკოსი ვარ და სამი წლის განმავლობაში სოფელ ჯვარში ვმუშაობდი ენგურჰესზე. შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავირიცხე და მივიჩნევ, რომ როგორც პირველად, მეორედაც შესანიშნავი პროფესია ავირჩიე. თუმცა იურიდიულზე ჩემი ჩარიცხვა არაჩვეულებრივი პიროვნების, ღირსეული კაცის ბატონ ლადო ჭანტურიას ძალისხმევით მოხდა. გია, შენ უნდა ჩააბარო იურიდიულზე, — შემახსენებდა ხოლმე ხშირ-ხშირად. მეც ავდექი და ჩავაბარე (იღიმება). გავიდა დრო და მე ისანი-სამგორის რაიონის მოსამართლედ დავინიშნე. არ იფიქროთ, თითქოს კარიერაზე ვყოფილიყავი გაგიჟებული. ყოფილა შემთხვევები, როცა ბევრ თანამდებობაზე ვთქვი უარი. მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობაზე, რადგან არასდროს ვყოფილვარ უპასუხისმგებლო და ყოველთვის მეგონა, ამა თუ იმ მნიშვნელოვან პოსტზე ყოფნა იმხელა ტვირთი იქნებოდა, რომლის ზიდვასაც ვერ შევძლებდი და არ მინდოდა, ჩემი აზრით, საქმე გამეფუჭებინა.

სხვათა შორის, 1994-95 წლებში სამეგრელოს გუბერნატორობაზეც უარი განვაცხადე. იგივე მოსაზრებით, რაც ზემოთ მოგახსენეთ. სახელმწიფო სამსახური არასდროს მიმაჩნდა პრივილეგიად, ამას დიდ პასუხისმგებლობად ვთვლიდი.

**— გამოდის, რომ სააკაშვილის შეფასებით, კორუმპირებული სასამართლო სისტემის მოსამართლე ყოფილხართ.**

— მართლაც საინტერესოა, სააკაშვილმა იმ პერიოდის სასამართლო სისტემას კორუმპირებულთა სისტემა რატომ უწოდა. შემიძლია თამამად ვთქვა: იმ პერიოდში მოღვაწეობდა სერიოზული იურისტების კოჰორტა, რომლებიც მართლაც საქმის მცოდნეები იყვნენ. სისტემაში, ალბათ, იყვნენ კორუმპირებულებიც, მაგრამ მთლიანობაში მათზე ცუდი არ ითქმის. მაგალითად, მე არ მახსოვს, რომ ჩემს, როგორც მოსამართლის გადაწყვეტილებაში ვინმე ჩარეულიყო — ვერც ხელისუფლება, ვერც მთავრობა და ვერც ჩემზე მაღლა მდგომი თანამდებობის პირი, ამას ვერ გაბედავდა, მაგრამ მოვიდა 2004 წელი და მე ვიგრძენი ნაციონალური კლანჭების სიმწარე — დაიწყეს „ზაკაზების“ მოცემა, მოსამართლეებს ნელ-ნელა ძალაუფლება ეკარგებოდათ, თუმცა ყველაზე დიდი ტრაგიზმი ის იყო, რომ ხელისუფლებიდან თუ იტყოდნენ — დაიჭირე, უნდა დაგეჭირა, უდანაშაულო ადამიანზე თუ გიბრძანებდნენ — გაასამართლე, უნდა გაგესამართლებინა, ცამდე მართალიც რომ ყოფილიყო. მე დიდხანს ვერ მაკადრეს ასეთი დავალებები, მაგრამ ბოლოს მაინც მომადგნენ და ამ ნიადაგზე მომივიდა კიდეც სერიოზული კონფლიქტი.

ერთ დღეს მეწვია ერთი მეტად პატივსაცემი ადამიანი და მეუბნება: ამა და ამ კაცს 4 წელიწადი უნდა მიუსაჯოო. მე საქმეს არ ვიცნობდი და ვიფიქრე, ალბათ, ახლობელია, 8 წელიწადი ეკუთვნის და ოთხს ამიტომაც მთხოვს-მეთქი და ვუთხარი: გადავხედავ საქმეს და რაც შესაძლებელი იქნება, იმას გავაკეთებ-მეთქი. ჩავიხედე საქმეში და რას ვხედავ — კაცი უკანონო პატიმარია. მეორე დღეს შევხვდი და ვუთხარი: ოთხი წელი კი არა, ეს პატიმარი სასამართლო დარბაზიდან არის გასაშვები-მეთქი. მაშინ ადეიშვილთან წავალ და გავარკვევო. მოკლედ, ბოლოს სამი წელიწადი მაინც მიუსაჯეო, ამ წინადადებით დაბრუნდა.

**— რას ერჩოდნენ, რა უნდოდათ ამ უდანაშაულო ადამიანისგან?**

— ეს უდანაშაულო ადამიანი ჟურნალისტი იყო, რომელსაც დაწერილი ჰქონდა სტატია ოქრუაშვილსა და ქარელზე ერგნეთის ბაზრობის გაუქმებასთან დაკავშირებით — გააუქმეს ერგნეთის ერთიანი ბაზარი, დაქსაქსეს სხვადასხვა ადგილას და შემოსავლებს ინაწილებენო. ეს არ აპატიეს და მიზეზების ძებნა დაუწყეს.

**— მოდით, წალენჯიხას დავუბრუნდეთ. ბატონო გიორგი, ფესვები წალენჯიხის რაიონში გქონიათ. კარგად იცნობთ დღეს რაიონის პრობლემებს? მით უფრო, რომ წალენჯიხამ გასული საუკუნის 90-იან წლებში განსაკუთრებით მძიმე დღეები გადაიტანა...**

— წალენჯიხა სამოქალაქო ომის პერიოდში სამხედრო შენაერთების ბუდე იყო. უვარდებოდნენ ოჯახში, კლავდნენ, ძარცვავდნენ, წვავდნენ სახლებს. ბოლოს, როგორც იქნა, დასტაბილდა სიტუაცია, მაგრამ რაიონში დაისადგურა უდიდესმა ზიზღმა ედუარდ შევარდნაძისადმი. ეს გახდა შემდეგ მიზეზი წალენჯიხიდან „რევოლუციის დაწყების“... ბევრ წალენჯიხელს დღესაც ამიტომ უყვარს სააკაშვილი. მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ სამეგრელოს რაიონები ფასადურად მაინც შეცვლილია, აქა-იქ რაღაც არის გაკეთებული, მაგრამ წალენჯიხა ისევ გაპარტახებულია. რომ იტყვიან, ღმერთისგანაც და კაცისგანაც მიტოვებული და გავერანებულია.

წალენჯიხის ტყეს ჩინელებია შესეული.

ჭანისწყალი საგრძნობლად დაპატარავდა იმის გამო, რომ გაიჩეხა და გავერანდა წაბლის უნიკალური ტყეები.

ერთი შეხედვით ღარიბ წალენჯიხას ტყის სახით უდიდესი სიმდიდრე აქვს, შესანიშნავი საკურორტო ადგილი — სქური უპატრონოდაა მიტოვებული. გამგებლისთვის უთქვამთ — სქურამდე გზა გავაკეთოთ, ტურისტები ჩამოვლენ, რაიონს ეშველებაო. გამგებელს უპასუხია — ჯერ ჩამოვიდნენ ტურისტები და გზას მერე გავაკეთებთო...

**— ბატონო გიორგი, იცოდით, რომ კოალიციიდან დეპუტატობის კანდიდატად დაგასახელებდნენ?**

— ჩემი წარდგენა უცნაურად მოხდა. კანდიდატების დიდი ნაწილი უკვე ცნობილი იყო, როცა მე დამირეკეს და დეპუტატობის კანდიდატობა შემომთავაზეს. მე, პრაქტიკულად, უარი ვთქვი: რაიონში ლადო ჭანტურია იყოს და მე დეპუტატობის კანდიდატად ვიყარო კენჭი-მეთქი? ბატონ ლადოს სამეცნიერო საქმიანობის გამო ელემენტარული დრო და საშუალება არა აქვს, გერმანიაში უნივერსიტეტში კათედრის გამგეა და მისთვის ადვილი არ იქნება პარლამენტის დეპუტატობაო, მითხრეს. ამის შემდეგ დავთანხმდი. ვიცი, ბრძოლა უკომპრომისო და მძიმე იქნება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. წალენჯიხა ჩემი მშობლიური რაიონია. მისი კეთილდღეობისთვის ბრძოლა ნამდვილად ღირს.

**— თუ იცნობთ წალენჯიხის ახლანდელ დეპუტატს? ვინ არის ახლა თქვენი მთავარი კონკურენტი?**

— წალენჯიხის მაჟორიტარი დეპუტატი ბიზნესმენი რომან ფიფია, ძირითადად, რუსეთში მოღვაწეობს და მგონი, კარგად ქართულიც კი არ იცის.

ამ არჩევნებში კი ჩემი კონკურენტი ლევან ქარდავა გახლავთ.

**— ცნობილი მეგის ქარდავას მოგვარე ყოფილა.**

— მოგვარე კი არა, მეჯვარე და ნათესავიცაა. მასაც მოსკოვში აქვს გაშლილი საქმიანობა.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ ძალოვან სტრუქტურებთან დაახლოებულ ადამიანთან გვიწევს კონკურენცია.

რაიონის დღევანდელი გამგებელი ისიც გვარად ქარდავა, ფაქტობრივად, მარიონეტია, მაგრამ შესანიშნავად გამოსდის ადამიანების „შეწამლვა“ ამერიკული პეპლის საწინააღმდეგო საშუალებებით...

მე დღეს იმის უფლება არ მაქვს, რესტორანში დავპატიჟო ახლობელი და ხელისუფლება უსასყიდლოდ უკანონებს წალენჯიხაში გლეხებს მიწებს. ადრე გაეკეთებინათ, მაგრამ ახლა სჭირდებათ და აკეთებენ. დახმარებას უგზავნიან, შეშას ურიგებენ და ა.შ. ეს ჩვენთვის თუ აკრძალულია, მათთვის ნებადართულია.

**— რა გეგმები გაქვთ? რას გააკეთებს „ქართული ოცნება“ და გიორგი ნაჭყებია წალენჯიხისთვის?**

— დაახლოებით 20-25 შეხვედრა უკვე ჩატარებული მაქვს. თითქმის ყველა სოფელში, ყველა ოჯახში შევდივარ, რომ გავიგო, რა უჭირთ, რა ულხინთ.

ძირითადი საპროგრამო დოკუმენტები „ქართულ ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილს აქვს. მაგრამ, ცხადია, მეც მაქვს ჩემი გეგმები და არჩევნებში გამარჯვების შემდეგ დავიწყებ მათ განხორციელებას. მიმაჩნია, რომ მესაქონლეობა წალენჯიხაში ერთ-ერთი პრიორიტეტული უნდა გახდეს, ვფიქრობ, ჩაის კულტურა ისევ უნდა ავაღორძინოთ, მეაბრეშუმეობა და ა.შ.

გაგეცინებათ და, დღეს ისეთ სიტუაციაში ვარ, როგორშიც თავის დროზე უტუ მიქავა იყო — სამართლის აღდგენას ვაპირებ წალენჯიხაში და როგორც უტუ მიქავა ამბობდა: „კოჩის კოჩი“ უნდა მოვსპო, კაცი უნდა კაცობდეს და ყველამ ერთიანი სამართლით უნდა იცხოვროს.

სოფლის მეურნეობა ძირითადი პრიორიტეტი უნდა გახდეს რაიონში. გასაუმჯობესებელია ინფრასტრუქტურა. მსოფლიოში, ალბათ, არსად არ იქნება ისეთი უგზოობა, როგორიც წალენჯიხაშია. მაგალითად, სოფელი საჩინო რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული რაიონული ცენტრიდან და საჩინომდე ცხენის გზაც კი აღარ არის. სოფლიდან სოფელში შეუძლებელია მანქანით გადასვლა. არადა, ულამაზესია ყველაფერი. წალენჯიხაზე ლამაზი ბევრი ადგილი არ იქნება საქართველოში, თავისუფლად შემიძლია ამის თქმა.

**— როგორ მიდის წინასაარჩევნო პროცესი?**

— წარმოიდგინეთ, რომ არც მეგონა, ამდენს თუ შევძლებდი, ხალხთან შეხვედრისას ვცდილობ ბოლომდე ვაჩვენო ამ ხელისუფლების მახინჯი სახე. ისევ შევდივარ აზარტში, ემოციებისგან ლამის ცრემლები წამომივიდეს. ხალხს უჭირს. სხვანაირად არც შეიძლება.



**— ბატონო გია, თქვენ ხართ იურისტი, სამართლისმცოდნე. თქვენი აზრით, შეიძლება კანონიერად „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნებში მოუგო?**

— დიახ, მართლაც ძნელია. ეს ადამიანები სახელმწიფოებრიობანას თამაშობენ და ერთობიან. ბიუჯეტი გადააბარეს ე.წ. ნდობის ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში ბოკერია, კუბლაშვილი და მათნაირები არიან და ჩვენ გვაიძულებენ ამათ გამოვუცხადოთ ნდობა.

დემოკრატიული ბრძოლა ამათთან, რა თქმა უნდა, ძნელია. აქ არც ფსევდოდემოკრატიაა, არც სრული ტოტალიტარიზმი. უსამართლობა ზეიმობს დღეს საქართველოში. საქართველოს თავის დროზე ჰქონდა მოწინავე ევროპული სამართალი. ადამიანის უფლებები მაქსიმალურად იყო დაცული. დღეს რაცაა, ყველა ვხედავთ.

მოკლედ, ყველას გვესმის, რაც ხდება ირგვლივ, მაგრამ უამრავი შემთხვევაა ბოლო ხანებში, როცა „ნაციონალებიდანაც“ კი გადმოვიდნენ „ქართულ ოცნებაში“. მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა გამოაცხადა, არც ერთი პროფესიონალი უმუშევარი არ დარჩებაო, ხალხს მოეხსნა შიში. ზოგიერთი ჩუმად მეუბნება, მხარს „ქართულ ოცნებას“ ვუჭერო. ბრძოლა იქნება, მაგრამ გამარჯვება გარდაუვალია...

**ᲘᲠᲐᲜᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ**

# kaxelebo, Tqven sul xom ar gamoSluvdiT, Sah abass kaxeTSi Tqveni xeliT rom udgamT taxts?



ალბთ გსმენიათ ასეთი ანეკდოტი: სიყვარულის ხასიათზე მოსულმა მარომ მიხო რომ ვერაფრით გააღვიძა, ყურში ჩაჰყვირა: — „ადე, კაცო, ადე, მტერი მოგვადგა, მტერი, გაიღვიძე შე სასიკვდილე! „მტერიოოო?“ — გაახილა თვალი მიხამ და ბალიშისკენ წაიღო ხელი ყვირილით: „ამ შაჰ აბასმა ხო გაატრაკა საქმე, ხმალო, არ მიმტყუნოო“ და ფეხზე წამოხტა მტერთან შესარკინებლად, მაგრამ მტერი მაინცდამაინც თავის საძინებელში რომ ვერ აღმოაჩინა, დაწვა და ხვრინვა ამოუშვა.

დღესაც ასეა კახეთში, მიუხედავად თავს დამტყდარი ათასი „ნაციონალური“ ჭირისა, ბუნებრივი კატაკლიზმებისა და აოხრებულ-გახრიოკებული ყოფისა, „მიხა“ მტერს ანუ მაინცდამაინც გარედან მოსულ დამპყრობელ შაჰ აბასს, ხილულად რომ ვერ ხედავს, მშვიდად სძინავს და ამასობაში სამშობლო უვერანდება! მეტიც, „მიხას“, იმიტომ რომ გულალალია, იმიტომ რომ „შინაური“ დამპყრობელი ვერ წარმოუდგენია, იმიტომ, რომ საკუთარ ეზო-მამულში თავჩარგული ებრძვის მიწას და სარჩო-საბადებლისთვის მუდმივად შრომობს, შესაძლოა, არც ადარდებდეს გლობალური კატაკლიზმები, მაგრამ — ოდეს ყოფილა კახელები, მებრძოლები და ამაყი კახელები ასე თავჩაქინდრული და ასე დამცირებულები ხმას რომ არ იღებდნენ და საკუთარ ნაჭუჭში იკეტებოდნენ შლეგი „მეფის“ შემხედვარე?!

**სიტყვა „შლუ“ — კახეთში გიჟს, ცეტს, სულელს, და ცალტვინა ჭკუამხიარულს ნიშნავს და ვის ვგულისხმობ ამ შემთხვევაში, ადვილი გასაგებია, არა?**

არ ვიცი, რისი ბრალია, მაგრამ ამ ბოლო 20 წლის განმავლობაში კახელები მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიან პოლიტიკური აქტივობით, გნებავთ, აქცია, — მანიფესტაციებზე სიარულით და გნებავთ საარჩევნო ციებ-ცხელებისას, ეს შესაძლოა, იმის ბრალიც არის, რომ კახელები, ზოგადად, დინჯი, მომთმენი, მოფიქრალი ხალხია და „გასცი, თქვენი დედაც“ — ის თქმა ურჩევნიათ, უმრავლეს შემთხვევაში, მაგრამ მათმა სიჩუმემ, მათმა თვითნებობამ და ზოგჯერ თავის მოტყუების მდგომარეობამ, ამასობაში მთელი კახეთი მონებად რომ აქცია, რა ჰქვია ამას?



მეც კახელი, უფრო სწორად კი ქიზიყელი, უბატონო კუთხის შვილი ვარ, მიხააა! მე თუ არ მეშინია, მე თუ არ ვუქინდრავ თავს სააკაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილებს, შენ რა დაგემართა და რატომ ითმენ ამდენს?

აბა, დააკვირდით კახელებო, როდის მერე განგირისხდათ უფალი ასე?

ასეთი სეტყვა, ასეთი ქარიშხალი, ასეთი წყალდიდობები გახსოვთ ოდესმე?

მთელი ჩემი ბავშვობა მესმოდა აღრიალებული ხევის ხმა ლაგოდეხში, მაგრამ ერთი მეტრით არ გადმოსულა მდინარე არც გზაზე და არც ვინმეს ეზოში. სეტყვაც მინახავს და ქარიც, მაგრამ ქარიშხალი და ისიც მთებით გარშემორტყმულ კახეთში, არასოდეს მსმენია. ციდან წამოსულ ყინვის ლოდებზე ხომ საერთოდ ზედმეტია საუბარი და ისიც ივლისსა და აგვისტოს დასაწყისში! მახსოვს, რთველის წინ, სეტყვა თუ წამოაყრიდა, ბებიაჩემი მარო, საცერს გაიტანდა გარეთ: „ასე გაცერი, ასე გაცერი და წვიმად აქციეო“ — ეხვეწებოდა ღმერთს

**აგეეე, შენმა სიჩუმემ რა დამართა ღვთისმშობელ მარიამს მსხალგორში, ხედამ? სისხლის ცრემლებით ატირდა და გონზე მაინც ვერ მოგიყვანა! ვაზის სამამულე რქა გადაგიჭრა ღმერთმა. ჩემი სისხლის ღირსი არა ხარო, მაინც ჩუმადა ხარ?! მიგილეწ-მოგილეწა ზედაშე, ბანი, ჭერი, საქონელი, სარჩო არ დაგიტოვა და არც ჰკითხულობ, რატომ გაგიმეტა ასე? იმიტომ გაგიმეტა, რომ ილიას ყვარელში და ერეკლეს თელავში, ტახტი ეშმაკს დაუდგი და შენი სიჩუმით უკვევ გუნდრუკს მის ხანგრძლივობას, გაიგე?**

და თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენიმე წუთში სეტყვაც კლებულობდა, წვიმად იქცეოდა და ჭირნახულსაც არაფერს უშავებდა. მაგრამ აქ ეს კი არ არის მთავარი, მთავარი ისაა, რომ სტიქიასთან ბრძოლაში, რწმენა იყო მთავარი და დღეს კი კახელების უმრავლესობის რწმენაც, ღმერთიც და იესოც — სააკაშვილთან აქვთ გაიგივებული, რაც არათუ მკრეხელობა, არამედ ყველა ჭირის სათავეა, გამიგეთ?

რო დალაყუნობს მანდ და

**— „უი, მიშა შენ კი გენაცვალეო“ — ეუბნებით, მართლა სულ გამოშლუვდით, თუ რაშია საქმე?**

იქნებ დაგავიწყდათ, როდის მერე დაგერხათ მაგრად? „ნწუ, ნწუ, მიწაა მოსახნავი, 30 ლარიან ვაუჩერებს დაგირიგებთო, გეყოფათ საწვავშიო“— როცა გითხრათ თქვენმა მიშამ, რატომ არ მიუბრუნდით და რატომ არ უთხარით, რომ 30 ლარით ვერც მიწას მოხნავთ და ვერც მტრის დედას მოტ...ვთ? ანდა, რატომ ვერ გაუბედეთ, გეთქვათ ისიც, რომ მეზობელ აზერბაიჯანამდე, ე.ი. 50-60 კილომეტრში „მაზუთი“ ჩალისფრად შეიძლება გეყიდათ, მაგრამ მისი „ნაც.ტამოჟნიკები“ გადმოტანის ნებას არ გაძლევდნენ და თუ მაინც მოისურვებდით გადმოტანას, გართმევდნენ და ღვრიდნენ?

ანდა, მთელმა კახეთმა რო იცოდით, პეტრე ცისკარიშვილის ბიზნესის ამბავი და ისიც, რომ იცოდით — აზერბაიჯანში იაფად ნაყიდი ბენზინ-მაზუთით, მის ბიზნესს რომ აზარალებდით, რატომ ვერ ამოიღეთ ხმა და რატომ არ შესჩივლეთ თქვენს მიშას მაშინ, როცა დიდი ზარზეიმით დაიარებოდა თქვენსას?

ლაგოდეხში, მდინარე ალაზნის პირზე, ჭიაურის ტყე რომ გაგიკაფათ ცისკარიშვილ-ადეიშვილმა, სულ მუხის, წიფლის, წაბლისა და ცაცხვის ხეები რომ გადაგიჭრათ მორებად და უცხოეთის გზას რომ გაუყენეს, რატომ არ იღებდით ხმას?

ტყესა და ღრეში, მთასა და ბარში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრაკონიერები, ირემს, ღორს, ჯიხვს, კაკაბსა თუ ხოხბებს ერთიანად რომ ანადგურებდნენ, რატომ უცქერდით შორიდან და სდუმდით?

მერე ეს გაჩეხილი ტყეები ალაზანმა რომ დატბორა და საერთოდ დააჭაობა იქაურობა, ყველა ჯერზე რომ დიდდებოდა და მიჰქონდა თქვენი სახნავ-სათესები, რატომ ვერ ბედავდით იმის თქმას, რომ — ამ ყველაფრის მიზეზი, სააკაშვილი და მისი გუბერნატორები იყვნენ და არა ადიდებული ალაზანი, რომელიც სულ მოედინებოდა კახეთში?




**კაცოოო, რით ვერ შეიგნეთ, რომ ყვარელში, გურჯაანში, ლაგოდეხში, თელავსა და ახმეტაში ტყეების ჩეხვამ გამოიწვია ეს უბედურებები, „ამათი“ მუცლების გახეთქვამ იმსხვერპლა სოფელიც, ქალაქიც და ტყეც?**

გახსოვთ, დატბორილი ჭალებიდან, მოჭრილი ხეებისგან დარჩენილი მორების გამოტანის უფლებასაც რომ არ გაძლევდნენ?

ისიც გაიხსენეთ, „შეშის ბილეთებს“ როდის გირიგებენ, ნოემბრის ბოლოს, ხომ? ნოემბერში, ტალახსა და წვიმაში, შუშის ტყიდან გამოტანა როგორია, ჰა? ე.ი. რა გამოდის?

ეს თქვენი „ხელისუფლება“ თან გეხმარებათ და თან არა, ხომ?

ახლა ეს ტყეებიც რომ ვიღაც გადამთიელებზე გაყიდა, მაშ, რა ფეხები უნდა შეუკეთოთ „ფეჩებში“ წელს?

კარგი, გაზით გათბებით, მაგრამ არც სამსახური, არც მიწიდან შემოსავალი და არც არაფერი ხომ არ გაგაჩნიათ, კახელებო, აზერბაიჯანულ „სოკარს“ ფულს რით გადაუხდით? რით იყიდით შეშას, რომელიც უკვე დღეს 600-700 ლარი ღირს? ადრე ღვინო-არყით მაინც იქარვებდით დარდს, მაგრამ ახლა ღვინოც რომ აღარა გაქვთ, „ზავოდობები“ რომ აღარ გექნებათ ორი-სამი წელიწადი, რა გეშველებათ?

მე გეტყვით რაც გეშველებათ — მალე ყვარელში, რთველში თავის მამულში, მიშა ღორის მწვადებს რომ დაატრიალებს, საწნახელიდან და არყის ქვაბიდან გადმოსულ ღვინო-არაყს რომ გადაჰკრავს, შორიდან უყურეთ ნერწყვმორეულებმა და ერთხმად შემოსძახეთ: „მიშა, შენ კი გენაცვალე, გავლა- გამოვლაშიაო!“

ვიდრე მიშას დაკრულზე ბუქნაობთ და გუბერნატორ ღვინიაშვილის თვალების ბრიალის გეშინიათ, ვერ ხედავთ, რომ კახელების დედა-ტაძარ ალავერდსაც წყალი მიადგა ძირის გამოსათხრელად?

ვერ ხედავთ, რომ ერეკლეს თელავი ერთიანად მოითხარა და დაინგრა?

რატომ? რატომ და კიდევ ერთხელ გიმეორებთ:

**ეშმაკს სცემთ თაყვანს და მისი ტახტი გიდგათ შუაგულ კახეთში, კერძოდ კი ყვარელში — სააკაშვილის ადგილ-მამულში,**

ხოლო „მიშა გვიყვარხარ“, ამ სიტყვებით აძლიერებთ სატანას და ისიც ყოველი ასეთი შეძახილის შემდეგ, კისკისით გპასუხობთ: „არა, ეს მე მიყვარხართ და ძალიან მეამაყებით“-ო.

კახელებო! შაჰ აბასი ხმლით მოდიოდა ჩვენზე და ვერ გვიმორჩილებდა! საქართველოში შემოსული ყველა დამპყრობელი, თქვენი ხმლების მსხვერპლი ხდებოდა და საქართველოს ფარი, აკი, ამიტომაც გიწოდათ ხალხმა! მაგრამ,

**დღეს ხომ ხედავთ როგორ მოტრიალდა აზრი? „კახელები მთავრობაში თითქმის არ გვყავს, უბრალოდ ისინი კარიერისტები არ არიან და იმიტომ“ — ჩაიკისკისა შლუიმ სტიქი-**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**იდან რამდენიმე დღეში, როცა „ხალხის დასახმარებლად“ ჩაიფრინა რამდენიმე საათი. ეს ფრაზა კი, ჩვენებურად, ე.ი. კახურად იცით რას ნიშნავდა? კახელები მთავრობაში მოსასვლელად არ იბრძვიან, იმიტომ, რომ გამოყ...ბულები არიან და ქვეყნის ბედიც ყ...ზე ჰკიდიაო, გაიგეთ?**

არადა, ამას რო ის გეუბნებათ, ვისაც ეს ქვეყანა მართლა ერთ ადგილზე ჰკიდია, ვისთვისაც ღმერთი, ეკლესია და იესო, მხოლოდ წინასაარჩევნო ლაზღანდარობაა, ვისთვისაც კახელების მიერ სისხლით მორწყული მთა და ველი მხოლოდ „წარსულის ბნელი გადმონაშთია“ და ვისთვისაც ზოგადად ქართული ეთნოსი მხოლოდ საარჩევნო ხმებია — არ უნდა გადმოიღო ფეხებით?

რას შესციცინებთ პირში და რატომ გიბრუნდებათ აზრი მისი წასვლისთანავე, როცა ამბობთ: ამის დედაც მოვ...ნთ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არა გვაქვსო?

ჯოოო! კახელი და ეგეთი ორპროჭობა? შაიგნე და დაიმახსოვრე, თავს ზემოთ ღმერთია, დაბლა კიდევ ის მიწა, რომელიც შენისთანებს კი არ დაუტოვებიათ, არამედ ერთპირშეკრულმა მებახტრიონელებმა დაგიტოვეს და აზრზე მოდი, რა?

კარგით, აიღეთ ის 1500-1200 და 500 ლარი, იანვრიდან თუ დასცალდათ, 1000 ლარიანი ვაუჩერიც გამაართვით, მაგრამ მერე? მერე ხომ სულ თქვენი კისრიდან ამაიღებენ ზარალს? აგე, ბიძინამ 80 მილიონი ჩაუჯიბათ, ხალხს შესაბამისი დახმარება გაუწიეთო, მაგრამ დაინახეთ, სად წავიდა ეს ფული? სად წავიდა და შლუის ბიჭების ჯიბეებში, როგორც „დამსახურებული პრემიები“, კახელებისათვის გაწეული სამსახურის გამო.

ამის შემდეგ, კიდევ გიკვირთ, ათასი უბედურება რატომ დაგატეხათ ღმერთმა თავს?

მთელ საქართველოში იმდენი ეკლესია და იმდენი ციხე-კოშკი არსად არ არის, რამდენიც კახეთშია და ამით, იცით, რა მინდა გითხრათ?

**ეშმაკს მათრახი დროზე გადაჰკარით და ქვეყანაზე იფიქრეთ, თორემ „კრიჭაახდილი“ სააკაშვილი ვერც შიფერს და ვერც კრამიტს ვერ დაგიხურავთ ხარისხიანად, ვერც გზებს დაგიგებთ და ვერც „სამუშაო ადგილებს“ მოგიძებნით, თავისი „დასაქმების“ სამინისტროთი!**



mixeil saakaSvili kaxeTSi

რატომ? რატომ და იმიტომ, რომ მამალი ვირია და როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, „მამალი ვირი და მაკეეე?“ აი, ეგრეა მაგის საქმე და იმიტომ, გაიგეეთ?

ძვირფასო კახელებო! ჩვენ ოდითგანვე „ჩაკრულოს“ და განიერი „მრავალჟამიერის“ მომღერალი კუთხე ვართ! ოდითგანვე მიწასთან და დამპყრობელთან მეომარი კუთხე ვართ და დღეს, როცა ვიღაცამ ეჭვქვეშ დააყენა ჩვენი საბრძოლო შესაძლებლობა „ჰკათ“ მაგათ, რამე რო არ შეეშალოთ და სულ თავ-პირზე დაალეწო ის ბანი, როგორც თავის დროზე მუხრან ბატონს დაალეწეს გმირმა და ამაყმა კახელებმა!

ასე თუ არ იზამთ, ვერც ხილს დადგამთ გოდრით, ვერც დეკეულს გაზრდით და ვერც კალოს გალეწავთ ყანებში!

და ერთიც... **შაჰ აბასი უკვე დიდი ხანია კახეთში დაბოგინობს და ერთიანად აოხრებს მანდაურობას! დღეს მას სხვა სახელი ჰქვია, სხვანაირი იარაღი უპყრია ხელთ და ცხენის მაგივრად „ვერტალიოტით“ დაჰქრის თქვენი ბაღ-ვენახების თავზე! არა გჯერათ? კარგი მაშინ, თუ ჩემი არ გჯერათ, აიხედეთ ზევით, გაიხედეთ გარდიგარდმო და უეჭველად დაინახავთ...**

**ირინე გოგოსაშვილი**

# rva wlis winaT da rva wlis Semdeg

## საქართველო დღეს გაცილებით უარესი ქვეყანაა, ვიდრე რვა წლის წინათ იყო

— საქართველო არის თუ არა უკეთესი ქვეყანა, ვიდრე რვა წლის წინათ იყო? — ამ კითხვას, როგორც რიტორიკულ კითხვას ისე სვამენ ხან სააკაშვილი, ხან უგულავა, ხან მერაბიშვილი, თუმცა კითხვის რიტორიკული პათოსის მიუხედავად, გული არ უთმენთ და პასუხსაც თვითონ მოაყოლებენ ხოლმე: — მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, საქართველო დღეს უკეთესი ქვეყანაა, ვიდრე რვა წლის წინათ იყოო.



იმედი უნდა გაგიცრუოთ, პატივცემულო ნაციონალებო — საქართველო დღეს უკეთესი კი არა გაცილებით უარესი ქვეყანაა რვა წლის წინანდელ საქართველოსთან შედარებით.

არ გჯერათ? ახლავე შევეცდები დაგაჯეროთ...



**რვა წლის წინათ** საქართველოში მხოლოდ 5 000-მდე პატიმარი იყო, დღეს ეს რიცხვი 23 000-ს აღწევს.

**რვა წლის წინათ** ე.წ. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ ადამიანთა რიცხვი 300 000-ს არ აღემატებოდა, დღეს ქართველ პროლეტართა რაოდენობა მილიონამდე გაიზარდა.

**რვა წლის წინათ** აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი სეპარატისტულ რეგიონებად იწოდებოდა, დღეს ორივეს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო ჰქვია.

**რვა წლის წინათ** ცოცხლები იყვნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომში დაიღუპნენ.



**რვა წლის წინათ** აფხაზეთიდან დევნილთა არმიას სამაჩაბლოდან დევნილები დაემატნენ და საქართველოში დევნილთა ახალი „გეტოები“ გაჩნდა.

**რვა წლის წინათ** ცოცხლები იყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც ამ ხელისუფლებამ ქუჩებში უპატრონო ძაღლებივით დახოცა.

**რვა წლის წინათ** ჯერ კიდევ არ იყო 2007 წლის ნოემბერი, 2011 წლის სისხლიანი 26 მაისი და სხვა ავადსახსენებელი თარიღები, როცა ხელისუფლება საკუთარ ხალხს გაუგონარი სისასტიკით უსწორდებოდა.

**რვა წლის წინათ** საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ჯერ კიდევ ცოცხლობდა იმედი, რომ „ვარდების რევოლუციით“ მოსული ახალგაზრდა ხელისუფლება აღადგენდა ტერიტორიულ მთლიანობას, აღმოფხვრიდა უმუშევრობას და სიღატაკეს, შექმნიდა ახალ სამუშაო ადგილებს.




სულ მალე ეს იმედი მოკვდა, მასთან ერთად მოკვდა ტელეკომპანია „იმედი“ და მისი დამფუძნებელი ბადრი პატარკაციშვილი.

**რვა წლის წინათ** ნაკლები იყო შიში და გაცილებით მეტი იყო დემოკრატია.

**რვა წლის წინათ** არსებობდა სასამართლო და არსებობდნენ მოსამართლეები დღეს არც სასამართლოა და არც მოსამართლეები — ისინი პროკურორების ნების აღმსრულებელ თოჯინებად იქცნენ.



**რვა წლის წინათ** არსებობდა კონსტიტუცია, როგორც ქართული სახელმწიფოს ყველაზე მთავარი და წმიდათაწმინდა დოკუმენტი. დღეს ეს დოკუმენტი გაუპატიურებული და დაჩეხილია.

**რვა წლის წინათ** საქართველო იმითაც იყო უკეთესი ქვეყანა, რომ თქვენ, „ნაციონალები“ ღარიბები იყავით, დღეს კი მილიარდები იშოვეთ და ამ მილიარდებით ცდილობთ ძალაუფლების სამუდამოდ შენარჩუნებას...

ასე რომ რვა წლის წინანდელი საქართველო გაცილებით უკეთესი ქვეყანა იყო, ვიდრე რვა წლის შემდგომდროინდელი საქართველოა.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

*„საერთო გაზეთს“ ესაუბრება იურისტი* ***კობა კაკანაძე***

**— ბატონო კობა, მართალია, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ჯერ კიდევ დროა, მაგრამ ყველა ვხედავთ, მიხეილ სააკაშვილი დაჩქარებული ტემპებით „აშენებს“ ქალაქებს, აახლებს ტაძრებს... მას სურს, ისტორიაში მეორე „აღმაშენებლის“ სახელით შევიდეს.**

— გაცვეთილი გახდა უკვე ბატონი სააკაშვილის ფრაზები, რომ მან ააშენა თბილისი, სიღნაღი, ან თუნდაც ბათუმი. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, ვინ რა ააშენა, ვისი ფულით და რის ფასად კეთდებოდა ეს ყველაფერი წლების განმავლობაში. ვიცით, რომ პრეზიდენტს ამ პროცესში უმეტესწილად მხოლოდ ლენტის გამჭრელის ფუნქცია ჰქონდა. თუნდაც განახლებული ბათუმი, რომელიც მეც ძალიან მომწონს, ვაღიაროთ, რომ არ იძლევა აღმშენებლობაზე ყელმოღერებული საუბრის საშუალებას.

**მინდა მივმართო მიხეილ სააკაშვილს: ბატონო პრეზიდენტო, როცა აღმშენებლობაზე საუბრობთ, არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ, თქვენი ინიციატივითა და გაუაზრებელი პოლიტიკით მხოლოდ წეროვანი და გოროვანი „ააშენეთ“ და ეს გახლავთ თქვენი მმართველობის ერთგვარი სიმბოლოც. თქვენი პრეზიდენტობისა და მხედართ-**



**ერთი შეხედვით, გამოდის, ბატონმა პუტინმა ამ განცხადებით ბატონ სააკაშვილს ბოლო სამაშველო რგოლი გადმოუგდო მისივე ოპონენტების კრიტიკისგან თავის დასაცავად.**

# kargad daimaxsovros saakaSvilis garemocvam: roca faraons marxaven, msaxurebsac Tan Caayoleben xolme...

**ვადის ამოწურვისთანავე უნდა დატოვოს პრეზიდენტის პოსტი — ასე ფიქრობს, სავარაუდოდ, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი. თუმცა, ნაკლებად შესაძლებელია, მაგრამ მაინც მასაც უნდოდეს წასვლა. თქვენი აზრით, იქნებ აქვს ვალდებულებები ამერიკასთან, რომლის ხელშეწყობით გაპრეზიდენტებულადაც მიიჩნევს ზოგიერთი, ან რუსეთთან ან სხვა რომელიმე პოლიტიკურ წრესთან უცხოეთში?**

— ძალიან სიღრმისეულ რამეებს მეკითხებით.



**მთავრობის ლოგიკური დაგვირგვინება. სამწუხაროა, მაგრამ თქვენი ეპოქის საქართველო აუცილებლად შევა ისტორიაში არა როგორც თამარისა და დავითის ეპოქა, როგორც ეს თქვენ თქვენსავე ილუზიებში გაქვთ წარმოდგენილი, არამედ, როგორც წეროვანისა და გოროვანის საქართველო.**

მეორე მხრივ, მართლა არ მესმის, რატომ არ რეაგირებს უფრო მწვავედ ქართული საზოგადოება ქსენოფობიურ განცხადებებზე. რატომ ეწინააღმდეგებიან სხვადასხვა აღმსარებლობის საკულტო ნაგებობების აშენებას. ამ ქვეყანაში ხომ იმდენი სინაგოგა, მეჩეთი და მართლმადიდებლური ეკლესია უნდა აიგოს, რამდენის საჭიროება და შესაძლებლობა იქნება.

პრეზიდენტს ძალიან ცოტა დრო დარჩა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას ჯერ კიდევ აქვს შესაძლებლობა, ბოლო გადაწყვეტილება მაინც მიიღოს ისეთი, რომ საქართველოს სახელმწიფოს განვითარების შანსი საბოლოოდ არ მოუსპოს. მხოლოდ მისი როგორც ხელისუფლებიდან, ასევე ძალაუფლებიდან წასვლა იქნება შესაძლებლობა საქართველოს უკეთესი მომავლისთვის.

**— სააკაშვილმა მმართველობის**

ჯერ ერთი, სავალალოა და ტრაგედია, საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მაინც თუ ფიქრობს, რომ ქვეყნის პრეზიდენტს, შესაძლოა, სხვების წინაშე უფრო მეტი ვალდებულებები ჰქონდეს, ვიდრე საკუთარი ამომრჩევლების მიმართ.

მეორეც, არა მგონია, მით უმეტეს, ამერიკაში, გარკვეული ლობისტური წრეების გარდა ვინმე იჯდეს და ტვინს იცხელებდეს იმაზე ფიქრით, როგორ დატოვონ სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებაში.

აი, სულ სხვაა რუსეთის საკითხი. ბოლო დროს ყველა ვხედავთ, რომ მიუხედავად უცენზურო პოლიტიკური რიტორიკისა, თითქოს გარკვეული ძვრები შეინიშნება რუსულ-ქართულ სახელისუფლებო ურთიერთობებში. თუნდაც ის გავიხსენოთ, 2008 წლის ამბებთან დაკავშირებით პუტინმა ახლახან რა განცხადება გააკეთა. ამით ხომ მან, პრაქტიკულად, სააკაშვილის მომხრეებს მისი განცხადების ინტერპრეტაციის საშუალება მისცა. ამ ლოგიკით, თუკი ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ოპონენტები სააკაშვილს ადანაშაულებდნენ ცხინვალში საბრძოლო მოქმედებების დაწყებაში და ხელისუფლება ამას რეალურ კონტრარგუმენტს ვერ უპირისპირებდა, რუსეთის პრეზიდენტის ამ ე.წ. „აღიარებით“ ეს თემა თითქოსდა დაიხურა.

მან ეს განცხადება ხომ მართლაცდა სააკაშვილისთვის ყველაზე საჭირო, მეტად კრიტიკულ დროს, ისე გააკეთა, რომ ერთი შეხედვით რუსეთის ხელისუფლებას ამის პოლიტიკური საჭიროება არც ჰქონია. ამიტომაც ქმნის ეს განცხადება მომეტებული ეჭვების საფუძველს.

**— ანუ სააკაშვილი და პუტინი შეთანხმებულად მოქმედებენ?**

— საქმე ისაა, რომ აუცილებელი არაა ადამიანთან რაიმე სახის კონტაქტი იქონიო, მასთან ურთიერთსასარგებლო პოლიტიკურ თამაშებში რომ შეხვიდე და რაიმე ტიპის რჩევები მისცე. სავარაუდოდ, ამ ტიპის ურთიერთობის ილუზიას უქმნის ახლა ბატონი პუტინი პრეზიდენტ სააკაშვილს. იქნებ რუსეთის იმედით გაბედოს და ხელისუფლებაში დარჩეს. მაგრამ სააკაშვილი არაა ისეთი კაცი პოლიტიკური თამაშების კონსტიტუცია არ ესმოდეს. წესით, მან კარგად უნდა უწყოდეს, რომ თუ იგი ხელისუფლების მშვიდობიან გადაცემას არ მოახდენს, რის შესახებაც ბატონმა ობამამ პირდაპირ და ღიად განაცხადა მისივე თანდასწრებით, არჩევნების დამთავრებიდან მეორე დღესვე არათუ საქართველოს მეგობრებს, თვით ბატონი სააკაშვილის მცირერიცხოვან ლობისტებსაც, თუნდაც დასავლეთში, აღარ ექნებათ არანაირი არგუმენტი, რომ ფორმალურად მაინც ისაუბრონ ქართულ დემოკრატიაზე.

**ეს, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ დასავლეთისა და ცივილიზებული სამყაროსგან ზურგშექცეული საქართველო, რუსეთის მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური მანქანის პირისპირ მარტოდმარტო აღმოჩნდება.**

ეს ბატონ პუტინს, რომელმაც ბოლო კვლევებით კიდევ უფრო დაკარგა შიდა რეიტინგი, საშუალებას მისცემს საქართველოზე ახალი გამარჯვების გზით მეორე სუნთქვა გაიხსნას და სააკაშვილს შეუსრულოს დანაპირები ერთი ადგილით დაკიდების შესახებ. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ საქართველომ ბატონი სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენა არ დაუშვა და ბატონ პუტინს, რომელსაც ჰაერივით სჭირდება მტრის ხატი, როგორც ყურადღების გადასატანად, ასევე ახალი გამარჯვების მისაღწევად, ამის საშუალება არ მისცა. მაშინ რუსეთის ხელისუფლება ველარ მოახერხებს სამხედრო კონფლიქტის მის საზღვრებს გარეთ გატანას, როგორც ეს 2008-ში მოხდა და ჩვენ დიდი ალბათობით სამშვიდობოს გავალთ.

მაგრამ დავუშვათ შეცდომის ალბათობაც. ახლახან ვთქვით, რომ სააკაშვილს, შესაძლოა, პუტინი ამ ტიპის განცხადებებით, ურთიერთსასარგებლო პოლიტიკური თამაშის ილუზიას უქმნიდეს და საქართველოს პრეზიდენტმა არ გაითვალისწინოს სხვა არგუმენტები, დაიჯეროს ის, რომ თითქოს ჩენი მეზობელი ქვეყნის ხელისუფალს დასავლეთთან საუბრისას დამატებით არგუმენტად სჭირდებოდეს მისი ხელისუფლებაში დარჩენა — მარტივი ლოგიკით: რატომაა ხელისუფლებაში დაბრუნებული პუტინი არადემოკრატი და ავტორიტარი, მაშინ, როცა ხელისუფლებაში დარჩენილი „აგრესორი“ სააკაშვილი ჯერ კიდევ დემოკრატიის შუქურად ითვლება?! შესაბამისად, თუ პრეზიდენტი სააკაშვილი ოთხი წლის წინანდელ აგვისტოს გაკვეთილებს არ გაითვალისწინებს, კარგად არ გაიხსენებს, თუ რას ეუბნებოდნენ ამერიკელები, არ გაითავისებს იმას, რომ პუტინი, თუნდაც პოროვნული თვისებებიდან გამომდინარე, მასთან არა ურთიერთსასარგებლო, არამედ მხოლოდ ცალმხრივად სასარგებლო პოლიტიკურ თამაშებში შევა, არ გაითვალისწინებს რუსეთის პრეზიდენტის წინა პროფესიას და ამას არგუმენტად არ ჩათვლის, თუ ისევ წამოეგება პროვოკაციას, სწორედ ეს იქნება მისი მხრიდან დაშვებული იმ ტიპის სტრატეგიული შეცდომა, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, მისი კარიერის კატასტროფულად დასრულებას განაპირობებს.

**ამიტომაც ჩვენს ქვეყანას სხვა არჩევანი არა აქვს. ან ხდება ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარება და საქართველოს მიმართ გრძელდება დასავლური მხარდაჭერა, ან დაახლოებით ვითარდება ჩვენს მიერ ზემოთნახსენები სცენარი, რაც არა მხოლოდ პრეზიდენტ სააკაშვილისთვის იქნება კატასტროფული, არამედ დაასრულებს ქართულ სახელმწიფოებრიობას.**



ამ ყველაფრის შემდეგ „ნურას უკაცრავად“ ხელისუფლებას არავის დავუთმობო, რაც უფრო ხმამაღლა იყვირებს ბატონი სააკაშვილი, ეს მის ნათქვამს უფრო მეტ დამაჯერებლობას შესძენს, ვითომ?! აქვს მას სხვა არჩევანი?! რა თქმა უნდა, არა, და ეს მან შესანიშნავად იცის. ამიტომაც უკვე სახეზე გვაქვს ხელისუფლების გადაცემის თითქმის ყველა სიმპტომი, თუ ეს მისი მხრიდან განხორციელებული სტრატეგიული სიმულაცია არ გახლავთ. თუ ეს ასე არ არის, რატომ შევიდა პრეზიდენტი და მმართველი პოლიტიკური გუნდი თავიდანვე „ქართულ ოცნებასთან“ იმ ტიპის პოლიტიკურ ორთაბრძოლაში, რომელიც იმთავითვე ნათელი იყო, რომ არა მხოლოდ ამომრჩევლებში არ გაზრდიდა “ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ ნდობას, არამედ ცივილიზებული და პროგრესული დასავლეთის გულისწყრომასაც აუცილებლად გამოიწვევდა. ეს ხომ აპრიორი ცნობილი უნდა ყოფილიყო მათთვის. არ შეეძლოთ უმტკივნეულო პოლიტიკური სვლებითა და სამართლიანი გზებით დაებალანსებინათ კოალიცია?! —რა თქმა უნდა, შეეძლოთ! ამისთვის მხოლოდ ფართოდ გახელილი თვალები იყო საჭირო და არა პოლიტიკური ურთიერთობების პირადში გადატანა. მაშინ რატომ არ გააკეთეს ეს? ამიტომაც ვამბობ, პრეზიდენტის განცხადებების მიუხედავად, სახეზეა ხელისუფლების გადაბარების თითქმის ყველა ნიშანი. შესაბამისად, მმართველი პარტიისა და ხელისუფლების წარმომადგენელ ჩემს თანამოქალაქეებს კი ვურჩევ: თუ პოლიტიკურ მომავალზე არ იფიქრებენ და გუნდს არ დატოვებენ, მაინდამაინც უსამართლო და მით უმეტეს უკანონო ბრძანებებს ნუ შეასრულებენ, ძალიან მალე კანონისა და მართლმსაჯულების წინაშე მარტოდმარტონი, პირისპირ რომ არ აღმოჩნდნენ. როცა ფარაონებს მარხავენ, მსახურებსაც თან ჩააყოლებენ ხოლმე, ეს ტრადიცია ძველი ეგვიპტიდან მოდის და უკეთესია, ამ რიტუალს რაც უფრო ნაკლები უბრალო მოკვდავი შეეწირება.

**— ე.ი. თქვენი აზრით, სააკაშვილს წასვლის გარდა სხვა არჩევანი არ აქვს?**

— კი, აქვს კიდევ ერთი არჩევანი — მოემზადოს არა პრემიერობისა და პარლამენტის თავმჯდომარეობისთვის, არამედ, როგორც ერთხელ უკვე გამოვთქვით ეჭვი ამის შესახებ, წავიდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურად. კარგად დავაკვირდეთ, იგი სწორედაც ამისთვის ხომ არ ემზადება?! რაღა თქმა უნდა, იმ პოლიტიკური განლაგების პირობებში, რაც, სავარაუდოდ, მომავალში გველოდება, ამის დაშვებაც არ შეიძლება. ეს, დაახლოებით, იგივე იქნება, ბავშვს ასანთი მივცეთ და სათამაშოდ თივის ზვინთან მარტო დავტოვოთ.

**ირანდა კალანდაძე**

# saakaSvilma Tqva _ amaT surT arCevnebSi `SemiTriono~... `SeviTrevT~ da movugebT kidec!

**ვესაუბრებით კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს, ქალბატონ გუგული მაღრაძეს**

**— ქალბატონო გუგული, არის თუ არა არათანაბარი პირობები წინასაარჩევნოდ, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის?**

— ნათლად ჩანს, რომ წინასაარჩევნო პირობები სრულიად არათანაბარია ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, თუმცა, შეგახსენებთ, რომ ოპოზიციაში ვგულისხმობ „ქართულ ოცნებას“ და არა რომელიმე სხვა ფსევდოოპოზიციურ პარტიას, რომელნიც



საერთოდ არ ჩანან არჩევნებამდე, ხოლო არჩევნების დროს სოკოებივით ამოვლენ ხოლმე. მე სულ მიკვირს, რა ფინანსებით და ადამიანური რესურსებით არსებობენ ისინი წლიდან წლამდე, როდესაც ჩვენს „ქალთა პარტიას“, რომლის საპატიო პრეზიდენტიც მე დღესაც ვარ და საკმაოდ მხარდამჭერებიც გვყავს, არჩევნებში მონაწილეობა დამოუკიდებლად გვიძნელდებოდა ყოველთვის. ცხადია, რომ ასეთ ე.წ. „ოპოზიციურ“ პარტიებს „კვებავს“ ხელისუფლება, რომელიც მათ იყენებს ნამდვილი ოპოზიციის წინააღმდეგ სხვადასხვაგვარად. ძირითადად, მათ ავალებენ ნამდვილი ოპოზიციის ლანძღვას. არათანაბარი პირობები არ არის ის, რომ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ საარჩევნო კოდექსში შეიტანეს ცვლილებები, კონტროლის პალატის მიერ უკანონო დაჯარიმებები, გადაადგილების შეზღუდვა, საოფისე თუ ღონისძიებებისათვის ფართობების დაქირავების შეუძლებლობა, პარტიული ემბლემების დამზადებაში ხელის შეშლა, მხარდამჭერებისა და წევრების დაშინება-დაჭერა და ა.შ. ათასგვარი უკანონო თუ უსამართლო კანონების გამოყენება ხდება იმისათვის, რომ „ქართულ ოცნებას“ მოქმედების საშუალება არ მიეცეს. თუმცა მთელი ეს სახელისუფლო ქმედებანი მალე ფუჭი აღმოჩნდება, რადგანაც მიუხედავად წინასაარჩევნო არათანაბარი პირობებისა, „ქართული ოცნების“ წარმატებული საარჩევნო სვლა გრძელდება. არც იმას აქვს სერიოზული მნიშვნელობა, რა ნომრით მიიღებს ის არჩევნებში მონაწილეობას, მთავარი არის გამარჯვება.

არათანაბარი პირობებისა და საარჩევნო გარემოს შექმნისათვის ხელისუფლებამ გადაკეტა არა მარტო ივანიშვილის ფინანსური წყაროები, არამედ შეეცადა მთლიანად დაებლოკა „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანია იმით, რომ წაართვა უფლება რიგით ადამიანებს თავისი ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში მხარი დაეჭირათ მათთვის სასურველი პოლიტიკური ძალისათვის, რაც დემოკრატიის ანაბანაა. თუმცა, ხელისუფლება ვერაფერს უხერხებს „ქართული ოცნების“ მთავარ კაპიტალს — ხალხს.

ასე, რომ, ხელისუფლების მცდელობამ, გადაეკეტათ ფინანსური რესურსი — შედეგი ჯერ ვერ გამოიღო, რაც შეეხება „თაფლის კვერის“ გამოყენებას, ესეც გაძნელდება მათთვის, რადგანაც ხელისუფლებას აღარ აქვს ამდენი ფინანსური რესურსი. აღარ იციან როგორ გაალატაკონ ხალხი და წაართვან უკანასკნელი კაპიკები. მარტო სატრანსპორტო ჯარიმებით წელს ხალხისგან ამოღებული აქვთ 40 მილიონი ლარი! რთულ მდგომარეობაშია ჯერ კიდევ შემორჩენილი ბიზნესი. მართალია, ისინი მხოლოდ ხელისუფლების ახლობლები არიან, მაგრამ მათაც სერიოზული ხარჯების გაწევა უწევთ იმ გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რასაც მათ ხელისუფლება სთხოვს.

მოგელაძის სამსახური „ნაცმოძრაობის“ მხრიდან ჩადენილი დარღვევებისა თუ დანაშაულის მიმართ — ბრმა და ყრუა!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხელისუფლება ცდილობს სრულად და სრულიად უკანონოდ გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა საარჩევნო უპირატესობა მის მხარეს იყოს.

ხელისუფლების მხარეს არ არის მთავარი — სიმართლე! დღეს ამ სიმართლეს გამოუჩნდა დამცველი ბიძინა ივანიშვილის სახით.

**— რა გაძლევთ იმედს, რა შანსი აქვს „ოცნებას“?**

— „ქართული ოცნების“ შანსები რომ რეალური არ იყოს, ამდენს კი არ ინერვიულებდა ხელისუფლება? ჯერ მარტო შეხვედრებზე მოსული ხალხი ჩვენი გამარჯვების საწყისი საფუძველია. ამას დაუმატეთ ის ხალხი, ვინც შეხვედრებზე ვერ მიდის? იმათ ხომ „ყელში ჰყავთ ამოსული“ ეს ხელისუფლება, თქვენი აზრით, ვის მისცემენ ისინი ხმას?

ყველა წინა არჩევნებზე ოპოზიციის მარცხის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ „ნაცმოძრაობა“ ყოველთვის ახერხებდა იმ 30 პროცენტი ამომრჩევლის საარჩევნო ყუთებთან მოყვანას, რომელიც მისი მომხრე იყო, მოსახლეობის 70 პროცენტიდან კი ვინც ხელისუფლების ოპოზიცია იყო, მხოლოდ 10 პროცენტი მიდიოდა არჩევნებზე იმიტომ, რომ არ სჯეროდათ გამარჯვების. ფიქრობდნენ და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ ხელისუფლება მაინც გააყალბებდა არჩევნებს.

დღეს „ქართულ ოცნებას“ სრულად შესწევს იმის ძალა, რომ დაიცვას ხალხის ხმები!

**— როგორ ფიქრობთ, რამდენი პროცენტის აღებას შეძლებს არჩევნებში „ოცნება“?**

— „ქართული ოცნება“ შეძლებს იმას, რომ მოვიდეს უმრავლესობით, რომ არსებულმა ხელისუფლებამ წააგოს არჩევნები და დასჯერდეს იმ მცირე პროცენტს, რაც შეიძლება მოიპოვოს ცალკეული საარჩევნო უბნებში იმ ადამიანების ხმების ხარჯზე, რომელიც სამკვდრო სასიცოცხლოდ არიან დაკავშირებული „ნაცმოძრაობასთან“? ვიმედოვნებ, მათ ეყოფათ გონიერება, რომ შეეგუონ თავის მარცხს, რამეთუ ხალხის ნებას ვერავინ ვერ აღუდგება.

**— კაციტაძის „გაბერილ“ სიებზე რას იტყვით? ვის დავალებას ასრულებს სიების დაზუსტების კომისია?**

— კაციტაძის კომისიას ჰქონდა ორმაგი დანიშნულება: პირველი — დასაჩუქრება „ახალი მემარჯვენეებისა“ იმ ღალატისათვის, რაც მათ ჩაიდინეს ოპოზიციური რვიანის მიმართ, როცა ახალი მემარჯვენეების მხრიდან საერთო ფორმატიდან გამოსვლამ მისცა შესაძლებლობა ხელისუფლებას გაეფორმებინა ხელშეკრულება ვითომდა ოპოზიციასთან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების შესახებ, რამაც ფაქტობრივად, ძალიან დაგვაშორა საარჩევნო გარემოს რეალური გაუმჯობესებისაგან და მეორეც, ასეთი კომისიის შექმნით მიაწოდეს უცხოელებს ილუზია იმისა, რომ აპირებენ საარჩევნო სიის გასწორებას.

ეს ყველაფერი გათვლილი იყო მოსახლეობის იმ ნაწილზეც, ვისაც ჯერ კიდევ გულუბრყვილოდ სჯერათ „ახალი მემარჯვენეების“ ოპოზიციონერობისა და ჰქონდათ იმედი, რომ კომისია რაიმეს გაასწორებდა. ჯერ ის რად ღირს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელად ერქვათ სახელმწიფო კომისია, მასში მუშაობის მსურველი უსათუოდ უნდა ყოფილიყო ან გამხდარიყო „ახალი მემარჯვენეების“ პარტიის წევრი! თვის არჩევნების გაყალბების ყველაზე დიდი საშუალება და ამ შანსს ისინი ხელიდან არ გაუშვებენ.

რაც შეეხება „ამომრჩეველთა ლიგისა“ და „ქართული ოცნების“ კარდაკარ პროგრამებს, ისინი ბევრად უფრო ზუსტია და სანდო.

ამომრჩეველთა აქტიურობის შემთხვევაში ეს დაუზუსტებელი სიები ხელისუფლებას რაიმე მნიშვნელოვანი გაყალბების საშუალებას ველარ მისცემს!

**— შეძლებს თუ არა ივანიშვილი იმას, რომ მშვიდად მოვიდეს ხელისუფლებაში?**

— „ქართული ოცნება“ მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების გზით აპირებს და მოახერხებს კიდეც გამარჯვებას. რაც უფრო ბოლო ფაზაში გადავა ყველაფერი და „ნაცმოძრაობა“ ნათლად დაინახავს, რომ აღარა აქვს მოგების შანსი, მით უფრო გამძაფრდება მათი მხრიდან რეპრესიები მოსახლეობის



ამომრჩეველთა სიების დაზუსტება არ წარმოადგენს ხელისუფლებისათვის არანაირ სიძნელეს, რომ მათ გააჩნდეთ ამისი ნება! მათ აქვთ ყველა მონაცემი სხვადასხვა დროს არჩევნებში რეალურად მონაწილეობისა, ქვეყნიდან გასულებისა, გარდაცვლილებისა, საცხოვრებელი ადგილის შეცვლისა.

დღევანდელი „გაბერილი სიები“ არის ჩვენი ხელისუფლების და მისი სატელიტი პარტიებისა-

მიმართ, მაგრამ შიშს ხალხში უკვე ველარ დანერგავენ, ეს დრო უკვე წავიდა. ჯინი ამოშვებულია და უკან ველარ დააბრუნებენ.

ჩვენ შევლებთ არჩევნებამდე მშვიდად მისვლას. ყველა ცდილობს იყვნენ მშვიდები და პრინციპულები.

სააკაშვილს წამოსცდა — „ამათ უნდათ არჩევნებში შემითრიონო“ — სწორედაც რომ „შევითრევთ“ და მოვუგებთ კიდეც!

**ეთერ კასრელიშვილი**

## ილია მეორე: არ ვართ ამისი ღირსი, მაგრამ ღვთისმშობელი ჩვენი მფარველია



“ქართველებმა რა დავიმსახურეთ იმის ფასი, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელია საქართველოს მფარველი. რა თქმა უნდა, ამის ღირსი არ ვართ, მაგრამ ეს უფალმა დაუშვა ჩვენზე”, - განაცხადა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ სადღესასწაულო წირვის დასრულების შემდეგ.

კათოლიკოს-პატრიარქმა ვრცლად ისაუბრა ღვთისმშობლის მიერ საქართველოს მფარველობის შესახებ.

“ქართველებმა რა დავიმსახურეთ იმის ფასი, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელია საქართველოს მფარველი. რა თქმა უნდა, ამის ღირსი არ ვართ, მაგრამ ეს უფალმა დაუშვა ჩვენზე”, - განაცხადა ილია მეორემ.

პატრიარქმა ბრძანა, რომ მრავალი ერი დღეს აღარ არსებობს, საქართველოს კი ღვთისმშობელი შეეწევა, ქართველი ერი მრავალჯერ ყოფილა უფსკრულის პირას, თუმცა ღვთისმშობლის შემწეობით გადარჩენილა.

“მთელი მსოფლიო და მათ შორის საქართველო, ბევრი განსაცდელის წინაშე იმყოფება. არ უნდა შეგეშინდეთ, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გადააფარებს კალთას საქართველოს, დაიფარავს განსაცდელებისგან. ჩვენ შევთხოვთ ყოვლადწმიდა ღვთიმშობელ დედას, რომ მეოხი იყოს ჩვენი ღვთის წინაშე”, - ბრძანა უწმიდესმა.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# cxragzis parlamentari rom gaxde, afrasiZeebis codva mainc mogeweva, baramiZe!

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის" ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატად გიორგი ბარამიძე დაასახელა.

რატომ მაინცდამაინც ბარამიძე? იმიტომ, რომ ბარამიძეს საშუალო სკოლა ბათუმში დაუმთავრებია; კიდევ იმიტომო, რომ პოლიტიკაში მან მომიყვანაო; კიდევ იმიტომო, რომ აფხაზეთის ომის დროს ერთად ვმონაწილეობდით ტყვეთა გაცვლის პროცესში და იქ დავახლოვდითო; კიდევ იმიტომ, რომ ჩემი პირველი ნათლობა მისგან მაქვს მიღებული და ეს არასდროს დამავიწყდებაო...

ორივე პერსონამ, ჯობს, რაც დასამახსოვრებელია, ის არ დაივიწყოს, დაწყებული იმით, რომ ნათელ-მირონი არიან; რომ ბარამიძე და ზურაბ ჟვანიას მეუღლე სააკაშვილის უფროსი შვილის ნათლიები არიან, სწორედ იმ ზურაბ ჟვანიასი, რომლის გარდაცვალების რეალური ამბავი მიჩუმა-



თებულია და ბევრს ეგონა, რომ უახლოესი მეგობარი, გია ბარამიძე რაღაც რადიკალურ ნაბიჯებს გადადგამდა, მაგრამ...

რადგან დროის სიმცირის გამო გაკითხვ-გამოკითხვა ვერ მოვასწარი, (რაც მოვასწარი, მთლად დამაბნიეს, რა ბათუმიო) ბათუმის რომელი სკოლა დაამთავრა „მარადმწვანე დიდუბელად" წოდებულმა ბარამიძემ და ინტერნეტს გადავხედე – გიორგი ბარამიძე დაიბადა 1968 წლის 5 იანვარს ქ. თბილისში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი"... და გრძელდება. რა აკადემიური მოსწრებით გამოირჩეოდა „გეპეიში", ამაზე აღარაა საუბარია, მაგრამ რომელი ქალაქის რომელ სკოლაში ან სკოლებში სწავლობდა პატივცემული ბარამიძე, არსადაა მითითებული.

ჯანდაბას, სადღაც, რომელიღაც სკოლას დაამთავრებდა, კომუნისტები ისე არ შეუშვებდნენ უმაღლეს სასწავლებელში-მეთქი და დავანებე თავი, მაგრამ ახლა ის მომხვდა თვალში, რომ ბატონი ბარამიძე 1989 წლიდან „მწვანეთა მოძრაობის" ერთ-ერთი დამაარსებელი ყოფილა. მეხსიერების დეფიციტია თუ სხვა რამ, აქაოდა, ბატონი ჟვანია გარდაცვლილია, ცოცხლად დარჩენილები კი ქონში ცურავენ, ხმას არ ამოიღებენო? – 1985 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბატონმა ჟვანიამ მეცნიერების ხელშეწყობით ჩამოაყალიბა ეკოლოგიური ასოციაცია, რომლის ბაზაზეც 1988 წელს შეიქმნა მოძრაობა „საქართველოს მწვანეები" და მის ხელმძღვანელად აირჩიეს ზურაბ ჟვანია, ანუ, სანამ ბარამიძე 1989 წელს ამ მოძრაობის „ერთ-ერთი დამაარსებელი" გახდებოდა, მოძრაობა 1988 წელს უკვე დაარსებული იყო და ხელმძღვანელიც ჰყავდა...

ბარამიძე, თურმე ლაბრასთან გამართულ ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას – კიდევ ერთხელ ვურჩიოთ ბატონ ბარამიძეს, რომ მეხსიერებას მოუხმოს, კარგად გაიხსენოს ლაბრასთან ომი, ისიც, რომ ტანკთან ბევრს გადაუღია სურათი და საერთოდ, რომელ ბატალიონს დაასახელებს, რომლის მეთაურიც მოყუჩებული არ ჰყავთ ან ვირის აბანოში, ან სულაც საიქიოში?

ბარამიძეს, რომელსაც ბათუმი მხოლოდ „ძველი ინტურისტით" თუ ახსოვს ისიც ბავშვობაში, რისი იმედი აქვს არჩევნებში? (შეიძლება, არასწორად დავსვი კითხვა, „რისი იმედის" ნაცვლად, უნდა მეკითხა „ვისი იმედი" და პასუხი მზად იქნებოდა) იმისი ხომ არა, რომ აჭარაში საკმაოდ გავრცელებული გვარია ბარამიძე?

რაიმეს გავრცელებაზე თუ მიდგა საქმე, აჭარაში ის კადრებიცაა გავრცელებული, როგორ მოაწყო იმ დროს შსს მინისტრმა გია ბარამიძემ პრეზიდენტის ინაუგურაციის ორი თვის თავზე საჩვენებელი სადამსჯელო ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია ე.წ „სვანური დაჯგუფების" წინაღმდეგ, რომელთა ვინაობაც ოჯახის წევრებით შემოიფარგლა: ასაკოვანი ევგენი აფრასიძე, მისი მეუღლე დოდო სიდიანი, გოჩა და ომეხ აფრასიძეები, შმაგი აფრასიძე მეუღლითა და მცირეწლოვანი შვილებით, რომელთაგან უფროსი 13 წლის იყო, უმცროსი 3 წლის...

ის კადრებიცაა გავრცელებული, სადაც ჩანს, რომ აფრასიძეების ოჯახის წინააღმდეგ ჩატარებულ სპეცოპერაციაში მონაწილეობდნენ: შს სამინისტროს გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმი, შს სამინისტროს შინაგანი ჯარის სპეცრაზმი, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის სპეცრაზმი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის მთელი პირადი შემადგენლობა და ამავე დროს სპეცრაზმი, მთლიანობაში 1000-მდე ნიღბიანი, რომელთა შეიარაღებაში იყო: ავტომატები, ყუმბარმტყორცნები, „მუხები," და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნები; სპეცოპერაციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე: 12 ვერტმფრენი–შვეულმფრენი, ამერიკული „იროკეზები" და რუსული Ì ÈÏ -8 – ასეთი შეიარაღება აფხაზეთში არ ჰქონიათ მხარეებს...



ომეხ აფრასიძე

**გიორგი აფრასიძე, შმაგი აფრასიძის შვილი, რომელიც სპეცოპერაციის დროს 13 წლის იყო:** – მე და ბაბუას ერთ ოთახში გვეძინა, გვერდზე ოთახში ჩემი ბიძები იწვნენ. მეძინა და ბაბუამ რომ გამაღვიძა, ვერტმფრენის ხმა გავიგე, რასაც, დაახლოებით ერთ წუთში სროლაც მოჰყვა, სროლით შემოვიდნენ, პირდაპირ სახლს ესროდნენ. მანამდე ისინიც ბაბუამ გააღვიძა. უცბად ჩავიცვით. ბაბუამ თქვა, ბავშვი გაიყვანეთ სახლიდანო და თვითონ ხელებაწეული გავიდა აივანზე, ყვიროდა, არ ისროლოთ, ბავშვია სახლში, გნებდებით, გნებდებითო, ამ დროს ბაბუას უკვე ტყვია მოხვდა და დაეცა. გოჩამ დამიძახა, შემოდი სახლშიო და მეც შევირბინე. დაახლოებით ხუთი წუთი ისროდნენ გაბმით. ცოტა რომ შეჩერდა, გოჩამ მითხრა მეზობელთან გადაგიყვანო და ხელი მომკიდა. ჩვენს ზემოთ არის კოშკი, სადაც სპეცრაზმელები და სნაიპერები იყვნენ და იქიდან დაიწყეს სროლა. ჩვენ რომ გავრბოდით, ხის ბოძებია და იმას ხვდებოდა, ერთმა ტყვიამ შარვალში გამიარა. ბიძაჩემმა მეზობელთან დამტოვა და უკან გაბრუნდა ბაბუას სახლში, ეგება ცოცხალი იყოს და გადარჩესო. სადაც ბიძიამ შემიყვანა, იმ სახლსაც სროლა დაუწყეს და იმ მეზობელმა მეორე მეზობელთან გადამიყვანა და იქიდან ვუყურებდით, რა ხდებოდა. ერთი ყუმბარა ესროლეს ბაბუას სახლს და წამებში ცეცხლი მოეკიდა მთელ სახლს... სროლები რომ დამთავრდა, ბიძაჩემი უკვე გარდაცვლილი იყო... მთელ ოჯახს აგინებდნენ, ეგ გინდოდათ და ეგ გაგიკეთეთ, თქვენი დედაო... ერთი მეზობელი შეეპასუხა და ფეხებში ესროლეს... სახლში რომ შევედი, ბებია და დედა ცუდად იყვნენ. ყველაფერი გადმოყრილი ჰქონდათ სპეცნაზელებს და ბავშვებს ეუბნებოდნენ, იარაღი სად გაქვთ დამალულიო. (ბავშვების ასაკი: 9, 7 და 3 წლის)„შკაფები" გადმოყარეს, დაამტვრიეს, დალეწეს ყველაფერი, მაგრამ იარაღს რას იპოვიდნენ, არაფერი არ იყო სახლში... ბიძაჩემი, გოჩა, დაჭრილი იყო, ორ სპეცნაზელს ხელი ჰქონდა მოკიდებული და მიათრევდნენ, თვითონ ველარ დადიოდა, უკან მამაჩემი, შმაგი მიყავდათ, მაგრამ ის შედარებით უკეთ გამოიყურებოდა, თავისი ფეხით დადიოდა, ჩასვეს ვერტმფრენში და გაფრინდნენ. მეორე ბიძა, ომეხი, უკვე გარდაცვლილი იყო და სახლის წინ, ორღობეში ეგდო სისხლის გუბეში, არაფერი არ ეფარა ზედ. ეზოში რომ შევდიოდი, მიცვალებულთან სამნი იდგნენ და ლაპარაკობდნენ, ნეტა ეხლა ცხელი სვანური კუბდარები გვაჭამაო... მოთხოვით, ქალებს მოთხოვეს მერე, მეზობლის ქალებს, (ტელევიზიით ნაჩვენებ კადრებში კუბდარის „მთხოვნელი" გია ბარამიძეა) აი, ამხელა საქმე გავაკეთეთ, ეს ბანდიტები მოგაშორეთ და კუბდარები მაინც გამოგვიცხვეთო. ერთმა მათგანმა ცივად უპასუხა, მკვდარი კაცი წინ გიგდიათ და თქვენ კუბდარებს გვთხოვთო?"



აფრასიძეების სახლი

**ომეხ აფრასიძე, შმაგი აფრასიძის შვილი (იმ დროს 9 წლის იყო):** – „რომ გავიღვიძე, უკვე ისმოდა ვერტმფრენის და სროლის ხმა. მამამ საწოლის ქვეშ შეგვიყვანა: მე, ჩემი ერთი ძმა, ჩემი და და დედაჩემი. მერე ბებია ჩამოვიდა და ისიც საწოლის ქვეშ შემოიყვანა მამ. მამაჩემი გვერდზე ოთახში დადიოდა, რასაც ნახულობდა ზედ გვაფარებდა. სროლის ხმა ისმოდა, დიდი აფეთქების ხმაც... საწოლის ქვეშ ვიყავით, არ დამინახია, ხმა გავიგე, რომ შემოვიდნენ ბებიამ ჰკითხა, ვინ მომიკალითო. ქმარი და შვილი მოგიკალით და შვილი დაგიჭერითო... ბებია და დედა ვერ გამოვიდნენ, ცუდად იყვნენ... მე რომელ საწოლზეც მეძინა, სულ დაცხრილული იყო... რომ გამოვედი, ბიძაჩემი დავინახე ორღობეში დაგდებული და სამი ჯარისკაცი ედგა თავზე. ბიძაჩემს ყელზე ეკეთა ოქროს ჯაჭვები, ერთმა მკერდზე დაადო ფეხი და მოაგლიჯა ის ოქროები, მერე ერთმა მოიხსნა ავტომატი, მოკლე იყო, გულზე დაადეს და სურათები გადაუღეს, მერე აიღეს ისევ ავტომატი. მე და მეზობლის ბავშვები ვიყავით. გადით იქითო და ჩვენ ცოტა გავიწიეთ, მაგრამ ვუყურებდით მაინც. მეზობლის ქალები ეუბნებოდნენ მიცვალებული მოგვეცითო, მაგრამ ახლოს არ უშვებდნენ არავის. ორღობეში ტალახიანი წყალი მოდიოდა და იმაში ეგდო ბიძაჩემი... რომელმაც მოგლიჯა ჯაჭვები, იმას ნიღაბი ეკეთა, იმ ორს – არა."

ეცერში, აფრასიძეების ოჯახზე ჩატარებული სპეცოპერაციის კვალდაკვალ, საინფორმაციო საშუალებებმა გვამცნეს, რომ აფრასიძეების მიერ დახოცილი ხალხის საიდუმლო სამარხ-სამალავს მიაგნეს და ტელევიზიით გვიჩვენეს კადრები, როგორ ამოჰქონდათ სამარხიდან ადამინის ძვლები, რომელთაგან, ნაწილი, დადასტურებულად, ვითომ ლევან კალაძისა იყო...

როგორც შემდეგ გამოირკვა, „სამარხ-სამალავი" მე-17, მე-18 მე-19 საუკუნის საგვარეულო სამარხი იყო, მაგრამ, როგორც სპეცოპერაციის ამბავი, ისე „სამარხების" ამბავიც ამბად დარჩა...

ღამღამობით რა ესიზმრება კუბდარისმოყვარე ბარამიძეს, თვითონ უკეთ იცის, მაგრამ ცხრაგზის პარლამენტარიც რომ გახდეს, მთელი ცხოვრება ყელზე ექნება შემოჭერილი სპეცოპერაცია, რომელიც ოჯახისთვის უმძიმესი შედეგით დასრულდა – ოჯახის ორი წევრი, დაჩეხილ-დაცხრილული ომეხ აფრასიძე და სახლში ცოცხლად გამომწვარი ევგენი აფრასიძე, ცოცხლად დარჩენილი დაბრმავებული გოჩა და სასტიკად ნაცემ-ნაწამები შმაგი აფრასიძეები ციხეში, ამ სპეცოპერაციის შემსწრე შმაგის მეუღლე – ფსიქიატრიულ კლინიკაში, ხოლო ბებია და ოთხი შვილიშვილი უსახლკაროდ და შემწეობის გარეშე დარჩენილი.

მეტი რაღა უნდა თქვა ბარამიძის გამტკნარებული სახის შემხედვარემ ასე ნაუცბათევად, მაგრამ რაც ითქვა, ის არაა საკმარისი?!...

**მაია ჭელიძე**

**გურამ პეტრიაშვილი:** ,,წინა საპარლამენტო არჩევნებში მე მხარი დავუჭირე და მყავს ამის მოწმეები, მე არასოდეს არაფერს არ ვმალავ, მხარი დავუჭირე ლეიბორისტულ მოძრაობას. ეს იცით, საიდან მოდის? ეს არის არა პარტიული ამბები, ეს არის ჩემი ცხოვრება. ჩემი ცხოვრება ასეთია: მე ვარ სოფლელი ბიჭი. ჩემზე ამიტომაც იყვნენ გაბრაზებული ე.წ. ელიტარული... ვნახე კუბოში ეს ელიტარიზმი... ელიტარული წარმომადგენლები ინტელიგენციის, რომ მე ვარ ხიხო, სოფლიდან გამოსული, როგორ ვბედავ მე... ეს იყო სასაცილო, იმიტომ, რომ მე ერთხელ გამოვიწვიე ეგენი. ახლაც ვიწვევ, ისევ იგივე შემადგენლობით ვიწვევ. დაწყებული იმ ლიანა ისაკაძით, რობერტ სტურუათი და სხვებითა და სხვებით... ახლა რობერტი მოხსნეს და არ შეიძლება მასზე რამის თქმა. მაგრამ რომ არ მოეხსნათ, მე მოვხსნიდი, რადგან მან რუსთაველზე თქვა, რომ შოთა რუსთაველს აქვს სულელური პოემა, რომელიც სავსეა ვეფხვების ხოცვით და ტირილით. შე კაი კაცო, რუსული სკოლა გაქვს დამთავრებული.... ალბათ, დადგმაც იმიტომ უნდა, რომ გაათახსიროს ალბათ. ასე დაწერა მაშინ, მე მინდა ვაჩვენო, რა სისულელეაო.

ჩემზეც ვისაუბრებ... მაგალითად, დღეს, ჯერ არ წამიკითხავს და წავიკითხავ ალბათ დღეს, რომელიღაც გაზეთში, ხაჩილავას გაზეთში ვიღაცა ქალმა დამცხო. რატომ დამცხო, საინტერესოა! ვერ მიაღწიეს თავის მიზანს, ალბათ. მე შიმშილიც გამოვცადე, სიცივეც, უსახლკარობაც გამოვცადე, უმუშევრობაც, ყველაფერი გამოვცადე, ერთადერთი არ გამომიცდია სიკვდილი! ალბათ, უნდა

ლულები რომ შეუღლდნენ, რაც საქართველოში დიდი ცოდვაა...ხო, ეს ლამაზი საუბარი არ არის. იმიტომ რომ მე გამოვდივარ ამ სვეტური რაღაცეებიდან, არა ვარ მე სვეტი...

რაც შეეხება საბურთალოზე დეპუტატობას, მე არაფერს ისე არ გავაკეთებ, რომ წინასწარ არ ვიფიქრო. მე ვიფიქრე წინასწარ და ახლა მე რომ ვთქვა, მე მაქვს დიახაც შანსი, რომ ვაჯობო ანდრო ურუშაძეს და უსუფაშვილს, თქვენ მეტყვით, კვლავ პიროვნებებზე გადახვედიო და... მაქვს, დიახაც, მაქვს შანსი. რატომაც არ მაქვს?! იმათაცა აქვთ და მეც მაქვს!




რაშია იცით, საქმე, მე ჩამოვედი, სამწუხაროდ თქვენც ხართ იმ ადამიანთა რიცხვში, რომლებსაც მაინცადამაინც არა აქვთ კარგად შეგნებული, ვინა ვარ მე. მე ვარ გურამ პეტრიაშვილი, რომელიც, რომ ჩამოვედი, უამრავი ადამიანი მაჩერებდა ქუჩაში, უამარავი, თუ მოგატყუოთ, მომიკვდნენ შვილები და შვილიშვილები, უამრავი ადამიანი მაჩერებდა და მეუბნებოდა, გაგახარათ ღმერთმა, თქვენა ხართ ბატონი გურამიო?! მე ვუთხარი, ბატონისა რა მოგახსენოთ და გურამაი ნაღდად ვარ-მეთქი. ძალიან გვიყვარხართ, რა კარგია, რომ ჩამოხვედითო. ამიტომ მაქვს იმედი! ამას გარდა, მას მერე, რაც მე აქედან წავედი, ბევრი დრო გავიდა და ადამიანებს ჰქონდათ საშუალება, წყნარად დაფიქრებულიყვნენ. თუ რასა ვწერ მე. მე ვარ ამ წუთში, ამას გეუბნებით სრული პასუხისმგებლობით, მე კრიტიკოსიცა ვარ და ამიტომ შემიძლია,



მოვმკვდარიყავი მე და მაშინ იქნებოდა კმაყოფილი ის ქალბატონი, რომელიც ჩემზე წერს. გავაუთოვებ იმ ნაძირალას, დავავიწყებ წერა-კითხვას საერთოდ! გპირდებით მე თქვენ! როცა წავიკითხავ იმ გაზეთს. რა დაბეჭდეს, ჯერ ვნახოთ! გვინდა-არ გვინდა გადავდივართ პიროვნებებზე, იმიტომ, რომ პიროვნებებმა მოახდინეს ეს ამბავი, განა სხვამ მოახდინა. მე, მაგალითად პირადად, არც მინახავს და არც დიდი სურვილი მაქვს ვნახო გია ყარყარაშვილი. გია ყარყარაშვილმა თვის დროზე მოატყუა ზვიადი, მოატყუა მთელი ჩვენი ხალხი. წავიდა ოსებთან უნდა ვიბრძოლოოო, წაუყვანა ხალხი და თბილისს რომ გასცდა, შემოაბრუნა თავისი იარაღი და დაგვიშინა ჩვენ.

არაფერი ბევრ ხალხს არ გადავწვდი... ერთი და იგივე... ახლა მე აქ სალომე ზურაბიშვილიც რომ მოვიხსენიო, თავის ჯანრი კაშიასთან ერთად, ნათლია-ნათ-

კარგად გითხრათ, პირდაპირ გითხრათ, რომ მე ვარ საქართველოში ყველზე კარგი მეზღაპრე. მეზღაპრეობა ეს სასაცილო საქმე არ არის. მეზღაპრე იყო ანდერსენი, ოსკარ უაილდი, და ვინ დაწერა ,,პატარა უფლისწული''?... როგორი მეზღაპრეც ვარ, ისეთივე პოეტი არა ვარ, მაგრამ კარგი პოეტი ვარ. ეს პატარა ამბავი არ არის. ამას გარდა, მე ვიყავი ნაძალადევში მაჟორიტარი. შეგიძლიათ გაიკითხოთ, ყოველ შემთხვევაში მე მოვთხოვ კი არა, ვთხოვ იმ ადამიანებს, ვინც ჩემთან მოსულხართ თქვენი გასაჭირით, ჩემთან სახლში რომ მოსულხართ ბევრი თქვენგანი, ვინც ცოცხლები ხართ, წასულებს - ნათელი. უთხარით ამ ადამიანებს, როგორ შეგხვდით მე თქვენ. მე შემიძლია დავიფიცო, რომ ბევრ ადამაინს ვაშოვნინე ბინა, ბევრი ადამიანი, უსამართლოდ რომ იყო ციხეში — გამოვიყვანე, ბევრს ვაშოვნინე სამუშაო, ზოგს მანქანა ვაშოვეიე, რომელიც ეკუთვნოდა მას. ასე ვმუშაობდი მე. შემიძლია, რომ კარგად ვიმუშაო.

სააკაშვილით დაწყებული უსუფაშვილით დამთავრებული, ყველას ილია ჭავჭავაძის პორტრეტი უკიდია კაბინეტში, ილია უყვართ! ილიამ თქვა ასეთი რამ, ილიას სამება ასეთი არის: ენა, მამული, სარწმუნოება. ენის უკეთესი დამცველი, შეგიძლიათ ჰკითხოთ, ვისაც გინდათ, ენის უკეთესი დამცველი ვიდრე ვიყავი მე, საქართველოში ძნელად მოიძებნება. ავტომატი მე არ ამიღია. თუმცა იმ ნაძირალების საწინააღმდეგოდ, ვინც ჩვენ გვებრძოდა, საჭირო იყო, რომ ამეღო და ცუდია, რომ ვერ ავიღე. მაშინ იქნება მე დამეცვა ბერდია ბერიაშვილი და ჩემი ძმაკაცი - ამირან კალაძე, და ისე ადვილად ვეღარ მოეკლათ ეგენი.

რაც შეეხება ცხოვრების გაუმჯობესებას, ამ წუთში გეტყვით, ჩემს კონკურენტებს არაფერი არ აქვთ ჩამოყალიბებული, რომ ვუსმენ, ახლა იწყებენ ,,მეტი სარგებელი ხალხს'', რას ნიშნავს მეტი სარგებელი? გუშინ რაც ჰქონდათ, იმაზე მეტია დღეს? მეორეც, სარგებელი რა სიტყვაა, ჩარჩული, ვაჭრული სიტყვაა. სარგებელი კი არა, მიეცით ხალხს წესიერი სამუშაო, მიეცით ხალხს წესიერი ხელფასი, და არაფერი არ სჭირდებათ იმათ, რომ, კაფე გახსნან, ის გახსნან. მე არ მითქვამს სამუშაოს შესახებ და მაგაზე პასუხს ვერ გაგცემთ. მაგრამ მე ვიცი, ასეთი მაგალითი დანიის ცხოვრების. დანიში ყველაზე მდიდარ ადამიანს შეუძლია იყოს მხოლოდ 10 000-ჯერ მდიდარი, ვიდრე ყველაზე ღარიბი. ეს იმას ნიშნავს, რომ მე თუ მდიდარი კაცი ვარ, მე უნდა ვეცადო, ისეთი ცხოვრება შევქმნა, მაშინ მექნება მეტი ფულის გაკეთების საშუალება, თუ ამათ რაღაცას მივცემ, ამ ღარიბ ხალხს. რაღაც ასეთი უნდა მოხდეს.''

**,,მაესტრო'', ,,პირდაპირი საუბარი ზაზა ხუციშვილთან'', ფრაგმენტები ინტერვიუდან**

**პატივცემულო გურამ! ის ქალბატონი, თქვენ რომ ნაძირალას უწოდებთ და დაუთოებას უპირებთ, მე ვარ, ირინე გოგოსაშვილი.**

**რადგან თქვენსას არ იშლით, მალე ისეთ დოკუმენტურ მასალებს გამოვაქვეყნებ, ვნახავთ, ვის დაავიწყდება წერა-კითხვა და ვინ დარჩება დაუთოებული.**

**ი. გოგოსაშვილი**

**გოგა ხაინდრავა:** ,,ნიკა რურუა არის კრიმინალი, დამნაშავე და არ ვაპირებ მისი გამონათქვამების კომენტირებას. დარწმუნებული ვარ იგი, როგორც ყველა სხვა დამნაშავე, რომელმაც თავი მოიყარა სააკაშვილის გარშემო, ისევე აგებს პასუხს თავის ნამოღვაწარზე, როგორც სააკაშვილი.

რაც შეეხება ლენინიზმს, ერთ რამეში დავეთანხმები, ძალიან ახლოსაა ამ მდგომარეობასთნ სააკაშვილი. როგორც ისტორიიდან ვიცით, თავის დროზე ლენინისთვის კრემლში გაზეთები შემოჰქონდათ, რომელიც სპეციალურად მისთვის იყო დაბეჭდილი. თვითინ კი დარბოდა და ხეს ხან ერთ კუთხეში რგავდა, მერე ამოიღებდა და მეორე კუთხეში დარგავდა. რეალურად, სააკაშილიც ამ მიჯნაზეა მისული, უბრალოდ, ქალაქებს აშენებს ხეების ნაცვლად.



ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ არ გვინდა სიმართლეს შევხედოთ თვალებში, ვაღიაროთ, რომ ქვეყნის სათავეში დგას ფსიქიურად შეშლილი ადამიანი! ეს არის მთავარი და ამის შედეგია საქართველოში დანერგილი სისტემა, სხვადასხვა უწყებები, რომელთაც ლამაზი სახელები კი ჰქვიათ, მაგრამ სინამდვილეში სადამსჯელო და სრულიად უკანონოა. სანამ ჩვენ ყველანი ერთად, ევროპა იქნება, ამერიკა თუ საქართველო, არ დავეთანხმებით დიაგნოზს, რომ საქართველოს სათავეში დგას წონასწორობიდან გამოსული ადამიანი, რომელიც ვერ აკონტროლებს თავის ქმედებას და რაც მთავარია, ვერ აკონტროლებს თავის ენას. მე ვადასტურებ ამ დიაგნოზს, ხოლო რაც შეეხება პოლიტკურ ოპოზიციას, ძალიან ნაკლებად მახსოვს დღეს პოლიტიკურ ავანსცენაზე მდგომ ოპოზიციას ისეთივე გამონათქვამები ჰქონოდა, როგორც მე. მე ვარ ოპოზიცია, მაგრამ არა პოლიტიკური! შეიძლება ვინმეს რამე უთქვამს პირველ პირზე, მაგრამ რა ვქნათ, ეს რეალობაა, სააკაშვილი რომ ავადმყოფია ეს იცის მთელმა მსოფლიომ. ნებისმიერი ადამიანი, ვინც სამი წუთი უყურებს მის გამოსვლას, ამას ადვილად მიხვდება! ანუ კრიტიკა მტრის ხატის ძებნაზე ნაკლებად ეკუთვნის პოლიტიკურ ოპოზიციას. ჩვენ, დანარჩენ საზოგადოებას, კი არ გვევალება წესების დაცვა. მე ვლაპარაკობ იმას, რაშიც დარწმუნებული ვარ და ამაში ეჭვი არ ეპარება, არა მარტო ოპოზიციას, არამედ სააკაშვილის უახლოეს გარემოცვასაც კი, დედამისის ჩათვლით, რომ ეს ადამიანი აბსოლუტურად არის გასული მოხმარების ზონიდან!

რაც შეეხება ეუთოს საპარლამენტო ანსამბლეის შეფასებას - მცირე ლენინიზმი, ჩემის აზრით ნიშნები კი არ არის მხოლოდ ამის საქართველოში, არამედ გაქანებული ლენინიზმია! ამას ადასტურებს კრიმინალი, არარაობა რურუას განცხადება, რომელიც უფლებას აძლევს თავს ასამბლეის პრეზიდენტს შენიშვნები მისცეს. ეს არსი ლენინიზმის თავი და თავი! ხოლო ჩიორა რას ჭიკჭიკებს, ეს ვისთვის არის საინტერესო, მაგათ თავის წრეში აღარავინ უსმენს! ჩვენ ამ ყველფერს წლების განმავლობაში ვუყურებდით. ევროპამ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, რომ წლების განმავლობაში თვალს ხუჭავდა, რადგან ეს არის საფრთხე თავად ევროპისთვის, როცა ის უშვებს, რომ თუნდაც მის პერიფერიაში არსებობს ქვეყანა, რომლის დემოკრატიასა და რეფორმებზეა ლაპარაკი და სინამდვილეში ის არის ნეობოლშევიკური რეჟიმი. და თუ შენ ამას ეგუები, ეს ნიშნავს, რომ საკუთარ თავს ორმოს უთხრი, რომელშიც ადრე თუ გვიან აუცილებლად ჩავარდები. ამის ნიშანი ყო ავსტრიის პრემიერად რომ აირჩიეს ფაქტიურად, ფაშისტი და მერე შემოჰკრეს განგაშის ზარი! დღეს ქვეყანაში, რომელსაც პრეტენზია აქვს დემოკრატიაზე, არის რეჟიმი, რომლის სათავეშიც დგას ალვირახსნილი ბოლშევიკი! და იგი იმიტომ არის პირველი პირი, რომ ასათიანი აღარ არის თბილისში!

ადამიანის უფლების, თავისუფლების, ღირსების მხრივ დღეს გვაქვს ბევრად უარესი ქვეყანა, ვიდრე რვა წლის წინ. ბიუჯეტია აქვს მეტი! სადაა ეს ინფრასტრუქტურა, მაჩვენეთ? განახლებულ ბათუმში მეორე სართულზე წყალი არ ადის და ქალაქში კანალიზაცია არ არის. თუ გაინტერესებთ განახლებული ბათუმი, მოშორდით იმ კემპინსკებს და გაიარეთ ბათუმში. ასევეა გზებიც, რომელიც თავის დროზე, რვა წლის წინ დაიგო. მე მახსოვს მთავრობის წევრი ვიყავი, როცა მილენიუმის პროგრამას ხელი მოაწრა ზურა ჟვანიამ, როგორც პრემიერმა და 2009 წელს ეს გზა უნდა ყოფილიყო ბათუმში, 2011 წელ - სოხუმში. მახსოვს დიდი ბილბორდები იყო გაკრული და ის ფული, რომელიც ამაში იყო აღებული, ამ პროექტს ითვალისწინებდა. სად არის გაჩერებული ეს გზა? როცა დედაქალაქში პატარა წვიმის გამო ადამიანები იღუპებიან, სადაც სანიაღვრე სისტემა არ არსებობს, რომელ ინფრასტრუქტურაზე ვლაპარაკობთ?!''

**,,მაესტრო'', ფრაგმენტები ინტერვიუდან**

# SurisZieba nacionalurad

## როგორ შეიძლება თამაზ თამაზაშვილს კრიმინალებთან კავშირი დავაბრალოთ, როცა მისი ლიკვიდაციისთვის „მხედრიონს“ და კრიმინალურ სამყაროს ფულადი ჯილდო ჰქონდათ დაწესებული

სააკაშვილის რეჟიმისთვის განსხვავებული აზრის მქონე ყველა ადამიანი რომ მტრად აღიქმება, ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი გენერალი თამაზ თამაზაშვილია, რომელსაც „ნაცმოძრაობის“ წინაშე ერთადერთი „დანაშაული“ მიუძღვის, იგი „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტის ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრია. გენერალს ისიც არ აკმარეს, თითიდან გამოწოვილი ბრალდებით (ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი მასალების უკანონო შენახვა-ტარება) ციხეში რომ გამოკეტეს და ახლა ტელევიზიებში ინტენსიურად ტრიალებს ვიდეოკლიპები, რომ თურმე თამაზაშვილი კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსობის დროს კრიმინალურ ავტორიტეტებთან იყო „შეკრული“ და ნარკომოვაჭრეებსა და ადამიანის გამტაცებლებს მფარველობდა. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ ეს ადამიანი ამდენ „დანაშაულში“ იყო შემჩნეული, რა უშლიდა ხელს „ვარდოსნებს“ მისთვის აქამდე მოეთხოვათ პასუხი, რატომ გაახსენდათ ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ? აშკარაა, რომ აქ სულ სხვა რაღაცასთან გვაქვს საქმე.

**თამაზ თამაზაშვილი წლების განმავლობაში მართლაც იყო კახეთის სამხარეო პოლიციის შეფი, მის გამგებლობაში იყო პანკისის ხეობაც. ასე, რომ, გენერალმა ყველაფერი კარგად იცის, რაც იქ ხდებოდა და რა საქმიანობით იყვნენ დაკავებული იმ პერიოდში თუნდაც ეს ჩვენი „ახალგაზრდა რეფორმატორები“.**

არასასურველი მოწმეების მიმართ რომ „ვარდოსნებს“ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ, ყველას კარგად მოეხსენება. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება ყოფილი „მხედრიონელების“ ნავსაყუდელია, თამაზაშვილმა კი თავის დროზე მარტო კახეთში კი არა, ლამის მთელ საქართველოში აღკვეთა მათი თავაშვებული თარეში, გამორიცხული არ არის, რომ ეს მათი მხრიდან შურისძიებაც იყოს.

**ზურაბ გამეზარდაშვილი:** „ამ კლიპებს თუ დავუჯერებთ, თურმე თამაზ თამაზაშვილი ადამიანების გამტაცებლებს და ნარკომოვაჭრეებს მფარველობდა, ასევე „შეკრული“ ყოფილა კანონიერ ქურდებთან. ხმამაღლა ვაცხადებ, ეს არის სრული სიცრუე. ბატონი თამაზის სამხარეო პოლიციის უფროსობის დროს მე ლაგოდეხის კრიმინალური პოლიციის უფროსი გახლდით. მასზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ იყო კარგი ხელმძღვანელი და ძალზე ძლიერი ოპერატიული მუშაკი. მისი ხელმძღვანელობით უამრავი სპეცოპერაცია გვაქვს ჩატარებული არა მარტო კახეთში, არამედ მთელ საქართველოში. არეულობის წლებში კახეთში უამრავი მძიმე დანაშაული იყო მომხდარი – ადამიანების გატაცება, მკვლელობა, ყაჩაღური თავდასხმა და ამ დანაშაულობებში ეჭვმიტანილების დაკავება გვიხდებოდა, როგორც კახეთში, ისე თბილისში, რუსთავში, ჭიათურასა და გურიაშიც. ეს იყო კარგად ორგანიზებული ბანდიტური დაჯგუფება და მისი გაუვნებელყოფა (1996-97 წლებში) თამაზ თამაზაშვილისა და ლაგოდეხის მაშინდელი პროკურორის ზურაბ ზურაბაშვილის ხელმძღვანელობით მოხდა. 186-ეპიზოდიანი საქმე იყო, ამ დაჯგუფების ყველა წევრი შესაბამისი ბრალდებით მიეცა პასუხისგებაში და ობიექტური სასამართლო განაჩენიც დადგა.



ამ დამსახურების ადამიანი კი დღეს პატიმარია და უკანონოდ იხდის სასჯელს, მაგრამ მჯერა, რომ სამართლიანობა იზეიმებს და ბატონი თამაზი ისევ ჩადგება ქართული სამართალდამცავი სტრუქტურების ავანგარდში.

**- ბიძინა ივანიშვილის სწორედ ამ განცხადებამ გაალიზიანა ნაცხელისუფლება და ეს კლიპებიც „გამოაცხვეს“...**

- თამაზ თამაზაშვილი მარტო კარგი პროფესიონალი კი არა, კარგი მეოჯახეცაა, ჰყავს შესანიშნავი მეუღლე, შვილები, შვილიშვილები. როდესაც ასეთ ბრალდებას უყენებენ ადამიანს, ხომ უნდა გაითვალისწინონ, ამისთვის რა მტკიცებულებები აქვთ. ეს მისი ოჯახისთვის დიდი ფსიქოლოგიური დარტყმაა. ამ კლიპების შემქმნელი ერთი დღით არ უნდა ცხოვრობდეს, მისთვის მორალი და ზნეობა უფრო მეტს უნდა ნიშნავდეს, ვიდრე ვინმეს საამებელი განცხადებების კეთება.

**რაც შეეხება მისთვის წაყენებულ ბრალს, რაში სჭირდებოდა გენერალს დაურეგისტრირებელი იარაღი, როცა მას ოფიციალურად აქვს იარაღის ტარების უფლება. მაიორის ზემოთ ჩინის მქონე პირს, რომელიც დათხოვნით არ ტოვებს ძალოვანი სტრუქტურის რიგებს, სიცოცხლის ბოლომდე აქვს იარაღის ტარების უფლება. ბატონი თამაზი კი საკუთარი განცხადების საფუძველზეა შსს-დან გათავისუფლებული.**



ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ რომ გააკეთა გააკეთა განცხადება, თამაზ თამაზაშვილი მალევე დააკავეს ამ აბსურდული ბრალდებით. ვიმეორებ, მისი ხელმძღვანელობით ძალზე ბევრი სპეცოპერაცია გვაქვს ჩატარებული, რა დროსაც უამრავი დამნაშავე იქნა დაკავებული და პასუხისგებაში მიცემული.

**კახეთის პოლიციამ ბატონი თამაზის ხელმძღვანელობით გადატეხა წელში დამნაშავეთა სამყარო და „მხედრიონი“ კახეთში. მის მოკვლაზე „მხედრიონელებს“ ფულადი ჯილდო ჰქონდათ დაწესებული. თავად ვარ ამის შესახებ საქმის კურსში. რანაირად შეიძლება, რომ ადამიანი, რომლის ლიკვიდაციაშიც ფულს იხდიდნენ, რაიმე სახით დაკავშირებული ყოფილიყო კრიმინალურ სამყაროსთან?**

**- რამდენადაც ვიცი, თქვენც გიპირებდნენ დაჭერას.**

- იქიდან გამომდინარე, რომ აქტიურად ვარ ჩართული საარჩევნო კამპანიაში, ჩემს ოჯახზეც იყო ზეწოლები. მე და ჩემს ვაჟს დაჭერას გვპირებდნენ. ამაზე თქვენი გაზეთიც წერდა. მე ლაგოდეხის რაიონიდან ვარ. იქ ერთ პიროვნებას, რომელიც ჩვენი აქტივისტი იყო, კერძოდ, ზვიად ხვედელიძეს დაავალეს, რომ სულ ჩემს გვერდით ყოფილიყო და ინფორმაციები მიეწოდებინა უშიშროების სამსახურისთვის. ის როცა დააკავეს, პირდაპირ მოსთხოვეს, ან „ქათმების“ საკანში წახვალ ან ჩვენი აგენტი გახდებიო. მას თავი რომ დაეხსნა, სანამ საქართველოს დატოვებას მოახერხებდა, ინფორმატორობაზე დათანხმდა. ეს პიროვნება ახლა გაქცეულია და უცხოეთიდან გააკეთა ეს განცხადება. მას დაუსწრებლად მიუსაჯეს ოთხწელიწადნახევარიანი პატიმრობა. დედაჩემი პედაგოგია და ჩემს გამო ისიც გაათავისუფლეს სამსახურიდან.

ვინმეს ჩვენთვის მიკერძოება რომ არ დაებრალებინა, ზურაბ გამეზარდაშვილი დაინტერესებული პირია და ცხადია, თამაზ თამაზაშვილს დაიცავსო, ამიტომ „საერთო გაზეთმა“ ხსენებული საკითხების შეფასება საერთაშორისო ორგანიზაცია „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ თავმჯდომარეს ზაალ კასრელიშვილს სთხოვა, მითუმეტეს, რომ იგი წარმოშობით კახეთიდანაა და ძალზე კარგად იცნობს თავის დროზე იქ განვითარებულ მოვლენებს.

**ზაალ კასრელიშვილი:** „თამაზ თამაზაშვილს მე პიროვნულად არ ვიცნობ, არანაირი შეხება არ მქონია, მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩეჩნეთის ომის შემდეგ ჩრდილოკავკასიიდან ლტოლვილთა დიდი ნაკადი გადმოვიდა კახეთში და ხშირად მოუმართავთ ჩემთვის, როგორც კონფედერაციის ხელმძღვანელისთვის ხელისუფლების წარმომადგენლებს, ოღონდ არა რეგიონალური პოლიციის ხელმძღვანელის დონეზე. მეც ჩემი შესაძლებლობებისა და კავშირების ფარგლებში, ვცდილობდი ამეცილებინა მოსალოდნელი საფრთხეები, როგორც საქართველოსთვის, ისე პატიოსანი ჩრდილოკავკასიელებისთვის. იმიტომ, რომ რამდენიმე ცუდი ადამიანის გამო ბევრ ძალზე კარგ ჩრდილოკავკასიელს შეექმნა პრობლემა, რადგან ისინი ამ ადამიანებთან გააიგივეს. ასე, რომ, მეტნაკლებად საქმის კურსში ვარ, რაც ხდებოდა. თამაზ თამაზაშვილი, ფაქტიურად, ამ კლიპებიდან გავიცანი. აქამდე მეგონა, რომ სარეკლამო კლიპი ამა თუ იმ კომპანიას, პიროვნებასა თუ თუ ბრენდს უწევდა რეკლამას. ახლა კი ვიხილე „უნიკალური“ კლიპი, როდესაც ვიღაცას ლანძღავენ.



**ჩემი აზრით, ხელისუფლებამ ძალზე სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდო თავი. თამაზაშვილი მას შემდეგ დაიჭირეს, რაც ბიძინა ივანიშვილი ქართულ პოლიტიკაში გამოჩნდა და ბატონმა თამაზმა პირადად უმასპინძლა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს ქიზიყში.**

მე მის წარსულს კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ვსვამ კითხვას, თუ ეს კაცი კახეთში მაფიის ბოსი იყო, 2003 წლიდან ხომ თვითონ არიან ხელისუფლებაში და 2012 წლამდე რატომ არ დაიჭირეს, ახლა გაახსენდათ მისი „დანაშაულობები“? მაშინ რატომ არ გაასამართლეს ადამიანის გამტაცებლებისა და კრიმინალურ ავტორიტეტების მფარველობისთვის, ან ნარკოტრანზიტის კონტროლისთვის? კლიპში ამ დანაშაულებზე საუბრობენ, მაგრამ მისთვის ეს ბრალდებები არ წაუყენებიათ. თუ მართლა დამნაშავეა ეს კაცი და მის მიმართ პიროვნულ ანგარიშსწორებას არ აქვს ადგილი, მაშინ გაესამართლებინათ ამ ბრალდებებით და საჯარო განხილვის საგანი გამხდარიყო სასამართლო პროცესი, რომ გაგვერკვია მტყუანმართალი. ამას არ აკეთებენ და გენერალს იარაღის უკანონო ტარებისთვის ასამართლებენ. მინდა გითხრათ, რომ ყველა მაღალი ჩინის ოფიცერს და ყველა ყოფილ დეპუტატს, 1992 წლიდან მოყოლებული, იარაღის შენახვისა და ტარების უფლება აქვს. ამის პარალელურად ის ფეთქებადი მასალების შენახვის ბრალდებაც წაუყენეს. ფეთქებად მასალად ითვლება გლიცერინი, „მარგანცოვკა“ და აცეტონიც, რომელიც საყოფაცხოვრებო პირობებში ჩვეულებრივ მოიხმარება. ჩვენ არც ის ვიცით, ამ კაცს რა ფეთქებადი მასალა „აღმოუჩინეს“.

**ისე, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მარტო ეს სამარცხვინო კლიპი არ ყოფილა, სხვა კლიპიც იყო, სადაც დაღუპული გმირის დედის ემოციური და უარყოფითი განწყობა გამოიყენეს. ლექსო ნატროშვილი მართლაც გმირულად დაიღუპა, მაგრამ, საუბედუროდ, დედამისმა დღემდე არ იცის, რომ მისი შვილი ბრძოლაში მიატოვეს.**

მან არც ის იცის, რომ ამ ნატროშვილის დანაყოფის ბრძოლის დროს იმ მიმართულებით გაშვება, რა მიმართულებითაც გაუშვა მისმა ხელმძღვანელობამ, იყო დანაშაულებრივი ქმედება. დაზვერვის გარეშე კონკრეტული მიმართულებით შეტევის დაწყების ბრძანების გაცემა, დანაშაულია. ამ მამაცმა ბიჭმა უთანასწორო ბრძოლაში, თანაც წაგებულ ომში გმირული შეტევა მიიტანა და რამდენადაც ვიცი, დაჭრილი და ცეცხლწაკიდებული ბოლომდე იბრძოდა. ეს მაშინ, როცა მისი ბატალიონის მეთაური ვინმე კიკაბიძე უგზო-უკვლოდ იყო გამქრალი. კაციშვილმა არ იცის კიკაბიძისნაირი მეთაურები როდის და სად გაქრნენ. თუ უკანდახევის ბრძანება ჰქონდათ მიღებული, მაშინ საველე მეთაურები რატომ გაწირეს?

მოდით, ისევ თამაზაშვილის თემას დავუბრუნდეთ. ხელისუფლებას თუ იმის თქმა უნდა, რომ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვა ცუდია, მაშინ ბოლომდე გვითხრას სიმართლე.

**ვსარგებლობ შემთხვევით და მე ზაალ კასრელიშვილი „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ თავმჯდომარე ამ და არა მარტო ამ საკითხებზე ტელედებატებში ვიწვევ, როგორც ამ კლიპების ავტორებს, ისე „ნაცმოძრაობის“ ლიდერებსაც, მათ შორის პეტრე ცისკარიშვილს, რომელსაც ამ კლიპების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კარგად უნდა სცნობოდა თამაზ თამაზაშვილი. რამდენჯერმე ხმამაღლა დაისვა საკითხი, რომ დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი იყო ე.წ. ამლები, ანუ შუამავალი ნარკომოვაჭრეებსა და ნარკომომხმარებლებს შორის და რომ ის ამის გამო ჰყავდათ გატაცებული პანკისის ხეობაში.**

თავის დროზე ამ ამბავს დიდი სკანდალი მოჰყვა, მაგრამ მერე ყველაფერი მიაჩუმათეს. საპარლამენტო უმრავლესობას, პეტრე ცისკარიშვილის ადვოკატს ან ნაცმოძრაობის აქტივს ამ საკითხზე ერთხელ მაინც თუ გაუკეთებიათ რაიმე განცხადება? ხმას რატომ არ იღებენ? თქვი, რომ ასე იყო, ან არ იყო, რატომ დუმხარ?“

მაშინდელ „ახალგაზრდა რეფორმატორებს“ 2003 წლიდან უკვე ხელისუფლებას არასდროს უთქვამს თუ რისთვის გაიტაცეს პეტრე ცისკარიშვილი. მაშინ ოფიციალურად მხოლოდ ის ითქვა, რომ ბატონი პეტრე თავის საცოლესთან ერთად სეირნობდა კუს ტბაზე, რა დროსაც მოხდა გატაცება. ალბათ, ბევრს ახსოვს გატაცებულების გამოხსნის შემდეგ ზურაბ ჟვანიასა და მაშინდელი შს მინისტრ კახა თარგამაძის ერთობლივი ბრიფინგი. თარგამაძის ორაზროვანი სიცილიც გემახსოვრებათ, როცა ის პარლამენტის თავმჯდომარის მაღალფარდოვან განცხადებებს ისმენდა. საზოგადოებისთვის მაშინვე ნათელი გახდა, რომ სინამდვილეში არც ისე იყო საქმე, როგორც მოქკავშირმა შემოგვასაღა. სხვათა შორის, იმ პერიოდში და შემდგომაც აქტიურად ვრცელდებოდა ხმები, რომ ცისკარიშვილი და მისი მეგობარი გოგონა სინამდვილეში პანკისის ხეობაში დაიჭირეს, როდესაც „ბოევიკი-რეფორმატორი-“ის ნარკოტიკის „ასაღებად“ იყო იქ ჩასული. პროფესიონალ პოლიციელთა თქმით, ნარკოტიკებთან დაკავშირებული პირები ხშირად იყენებდნენ ქალბატონებს შირმად, პოლიციას ეჭვი რომ არ გასჩენოდა. ისე, მხოლოდ გულუბრყვილო თუ იფიქრებს, ასეთ საქმეზე ქალთან ერთად ვინ წავაო. როგორც ამბობდნენ, ცისკარიშვილს ერთი იქაური ნარკომოვაჭრე „გადაგდებული“ ჰყავდა, ანუ საქონელი „პოსლეზე“ წამოიღო და მერე ფული აღარ გადაუხადა. მართალია, მან მეორე „ბარიგას“ ფული გადაუხადა, მაგრამ ამ უკანასკნელმა იგი „გადაგდებულთან“ „ჩაუშვა“ კლიენტი აქ არის და იმოქმედეო, თუმცა ზაალ კასრელიშვილი ამ ვერსიას არ ეთანხმება.



**ზაალ კასრელიშვილი:** „მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს ორგანიზაციას არც მაშინ და არც ახლა კრიმინალებთან და ტერორისტებთან საქმე არ ჰქონია, მაგრამ უამრავ ინფორმაციას ვფლობდით. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, პეტრე ცისკარიშვილი და მისი საცოლე მართლაც თბილისიდან გაიტაცეს. მათ პანკისში იმ მარტივი მიზეზით არ აიყვანდნენ, რომ ამის გამო ადგილობრივ მოსახლეობას და მაშინდელ ლტოლვილებს, რომელთა შორის მებრძოლებიც იყვნენ, მდგომარეობა გაურთულდებოდათ. მათ ერჩიათ ეს ხეობის გარეთ მომხდარიყო. რამდენადაც ვიცი, ერთ-ერთ ნარკომოვაჭრეს, რომელიც შემდეგ ტუალეტში ააფეთქეს, ადგილობრივები და ლტოლვილები იმიტომ დაუპირისპირდნენ, რომ მან რამდენჯერმე თავისი კრიმინალური აქცია-ოპერაცია პანკისის ტერიტორიაზე ჩაატარა. ის თურმე გააფრთხილეს, შენი საქციელით ქართველების პრობლემებს აქ მოგვიტან, ჩვენ დაგვბრალდება და მეორედ აღარ გააკეთოო. მან ისევ რომ გაიმეორა, უთქვამთ: ტუალეტის ვირთხასავით იქცევი და ცხოვრებასაც ასე დაამთავრებო. მეეჭვება ვეფხია მარგოშვილი ჩეჩენ მებრძოლებს აეფეთქებინათ, რადგან როგორც გითხარით, ისინი იქ პრობლემას არ შეიქმნიდნენ (როგორც სანდო და კარგად ინფორმირებულმა წყარომ „საერთო გაზეთს“ უთხრა, მარგოშვილი „რეფორმატორებთან“ დაახლოებული პერსონა გახლდათ და სავარაუდოდ სწორედ მათ მოიშორეს, რადგან ბევრ მათთვის არასასურველ ინფორმაციას ფლობდა – მ.ს.).

ჩვენ მაშინაც და დღესაც აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას ვეწევით. მით უმეტეს, რომ მაშინ ჩვენ ვითვლებოდით შევარდნაძის №1, რეალური ძალის მქონე ოპოზიციად და შესაბამისად, კანონიერი ხელისუფლების სისხლიანი გადატრიალების ავტორების ოპოზიციადაც. მე რიგით მეომრებს კი არა, მათ პატრონებს ვგულისხმობ. რამდენჯერმე სცადეს კიდეც ჩვენთან დაპირისპირება, მაგრამ ძვირი დაუჯდათ და თავი დაგვანებეს, მით უმეტეს მას მერე, რაც ზოგიერთი მათგანი ძალზე გამდიდრდა და საზღვარგარეთ „ვოიაჟები“ დაიწყო.



ასე, რომ, **ყველაფერი კარგად მახსოვს. თუნდაც ის, რომ „მხედრიონის“ ყველაზე ძლიერი ქვედანაყოფი კახეთში იყო. ისიც მახსოვს, რომ საქართველოში ორი გამოკვეთილად მებრძოლო ხასიათის, თან ჭკვიანი მაღალჩინოსანი პოლიციელი ებრძოდა არა მარტო „მხედრიონს“, არამედ მთლიანად კრიმინალურ სამყაროს. ესენი იყვნენ თამაზ თამაზაშვილი და ვიქტორ გობრონიძე (გურიის სამხარეო პოლიციის უფროსი – მ.ს.). „ვარდოსნებმა“ ორივე გაყარეს სამსახურიდან.**

როდესაც სამხარეო პოლიციის უფროსი ხარ და გაქვს უფლება და შინაგანი მოწოდებაც, რომ ებრძოლო სახელმწიფოებრივ დონეზე აყვანილ, გასამხედროებულ კრიმინალურ დაჯგუფებას, ცხადია, გაქვს ინფორმაცია არამარტო რიგით კრიმინალებზე, არამედ მათ მფარველებზეც.

აქედან გამომდინარე, **თამაზ თამაზაშვილმა და ვიქტორ გობრონიძემ ყველაფერი იციან „ვარდოსნების“ საქმიანობაზე 2003 წლამდეც და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც.**

თუ ვინმეს ჰგონია, რომ 2003 წლის შემდეგ კახეთის რეგიონის გამგებლები, გუბერნატორები და დეპუტატები მხოლოდ ხელფასით ცხოვრობენ, მათ ტელედებადებატებში დავუმტკიცებ, რომ ძალზე სერიოზული კორუფციის ბუდეა არა მარტო ღვინის და კონიაკის სპირტის წარმოების სფეროში, არამედ ხეტყესა და საწვავ-საპოხ მასალებშიც, რომელიც აზერბაიჯანიდან კონტრაბანდული გზით შემოედინებოდა.

**სანამ თამაზ თამაზაშვილი პოლიტიკაში გაერეოდა, ნაცელიტას ხელს არ უშლიდა და იმიტომაც არ ეხებოდნენ. ახლა მისი ალაპარაკების შეეშინდათ. სანამ ჩუმად ხარ, ნაციონალები ფიქრობენ, რომ ან დებილი ხარ და არაფერი იცი, ანდა იცი, მაგრამ ხმის ამოღების გეშინია. მათ ორივე ვარიანტი აწყობთ.**

როგორც ამ ქვეყნის ერთი რიგითი მოქალაქე, შევწუხდი ამდენი უნიჭო კლიპების ყურებით. ბატონო მიხეილ სააკაშვილო, შს მინისტრო, უშიშროების საბჭოს მდივანო, აღიარეთ რომ მოდით, თამაზ თამაზაშვილი იყო და არის ის ძალა, რომელსაც თქვენს წინააღმდეგ კახეთში რეალურად შეეძლო პრობლემების შექმნა და ამიტომაც მოიშორეთ“.

**მანანა სუხიშვილი**




# xa l xis az r iT

პოლიტიკურ ოპონენტს, თუნდაც კონკურენტს მოსისხლე მტრად რომ აღიქვამ, მათ და მათ მომხრეებს უწმინდურს რომ უწოდებ, საკონსტიტუციო ვადების დაცვა რომ არ გინდა და ა.შ. და ა.შ. ვინა ხარ ამის შემდეგ? ვინა ხარ და ნამდვილი პრორუსი მმართველი, რადგან პრო-რუსულია ის, რაც რუსეთს გვამსგავსებს, მის პოლიტიკურ სისტემას იმეორებს. თორემ მე, პირადად, ევროპისკენ მიმიწევს გული, იქითკენ, სადაც ხელსუფლებათა დემოკრატიული ცვლა სრულიად ბუნებრივი რამაა და პოლიტიკური ოპონენტი, უბრალოდ, ოპონენტია და არა მოსისხლე მტერი. არ შემიძლია ამ ბარბაროსობის და ჩამორჩენილობის ატანა

ეგრე იყო თუ არა? ნინო ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარე რომ არ ყოფილიყო, მიშა გახდებოდა პრეზიდენტი? ბურჯანაძეს რომ არ გაეპრავებინა მიშას რევოლუცია, ახლა ვინ იქნებოდა ქვეყნის პირველი პირი? კაცოოო, მაშინ თუ კაი ქალი და დიდი პატრიოტი იყო, ახლა რადაა რუსეთის აგენტი? ასე 3-4 წელიწადში ხდებიან ადამიანები სუპერ-მოღალატეები?

როდესაც ტყვეების გაცვლა გაგანია ომის დროს აფხაზეთში მე და პაატა ზაქარეიშვილმა დავასრულეთ... ნაბიჭვარმა გიორგი აივენგოს ძე ბარამიძემ ინტერვიუ მისცა ტელევიზიასა და პრესას, როგორ რისკავდა თავისი დამპალი გვამით ამ გაცვლებისას....მოგვიანებით მოვიდა და გვთხოვა კარიერისთვის მჭირდებაო!!!!!

დღეს ბათუმში ორი ტყვეთამფარველი გამოიკვეთა ..... თურმე აივენგოვიჩთან ერთად მიხო ნიკალაევიჩიც ცვლიდა ტყვეებს!!!!

ყველა ვარიანტში კარგად ვიქნებით, ან კიბოს მოვიცილებთ, ან შევეწირებით თავისუფლებას, რითაც სამოთხეს გავინაღდებთ, მადლობა მიშას, რომ ქრისტიანული სათნოებით თავგანწირვის შანსი მოგვცა.

ნაცებო, რით ვერ გაიგეთ, რომ ვერანაირი ციფრი ვერ გიშველით... ნორმალური და ღირსეული ქართველი 5-ს სამუდამოდ ამოიღებს ხმარებიდან. თქვენ ვერც ჩერგოლეიშვილის "ტაბულა" და ვეღარც ხარატიშვილის გამრავლების ტაბულა გიშველით

ხომ გითხარით, მიშა დინოზავრია-თქო? 150 წელი აპირებს ცხოვრებას ... ეს დასაწყისისთვის, თორემ დანარჩენს მერე გადაწყვეტს.

მიშაააააააააააააა!!! კენედის მკვლელობას, როდის დააბრალებ „ქართულ ოცნებას", ჰა? აპა, სხვა აღარ დარჩა არაფერი, და ტყუპების აფეთქებას!:) დარჩენილი კიდევ ბევრია. მაშ პიზის კოშკი ვინ დახარა? და საერთოდაც ეჭვია, რომ კახეთის დასეტყვაც მისი იდეაა, რომ მერე დახმარებოდა ხალხს და მოესყიდა. ამბობენ თავად ზევსთან არის გარიგებაშიო. ობამას ხომ ბიძო აფინანსებდა. მერე გვირაბი გათხარა ბომბეიდან ლონდონამდე და მოტყდა.



# maTe cixesaSvili: `CeCen xalxs xizris bodiSi ar sWirdeba~

**გვესაუბრება ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის მთავრობის ყოფილი წევრი, ამჟამად პოლიტიკურ ემიგრაციაში მყოფი ბატონი მათე ციხესაშვილი**

**— ბატონო მათე, მოგესალმებით და მინდა გკითხოთ, თუ იცნობთ ხიზრი ალდამოვს?**

— ხიზრი ალდამოვს ვიცნობ, ჩვენ დაბადებული ვართ საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში — პანკისის ხეობაში, სადაც ცხოვრობენ საქართველოს ერთგული ქისტები.

დიდი მეგობრობა არ გვქონია, ის ასაკით ჩემზე უფროსია, თანაც სხვადასხვა სოფლებში ვცხოვრობდით.

**— რუსული საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, რომ, როგორც ჩეჩნეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი ხიზრი ალდამოვი ამბობს, საქართველოს ხელისუფლების მიერ დევნილია და მოკვლას ძლივს გადარჩენილა, ახლა ჩეჩნეთშია და თავს შედარებით დაცულად გრძნობს, მან ბოდიში მოუხადა ჩეჩენ ხალხს და საქართველოს ხელისუფლების რეჟიმი ამხილა, რას გვეტყვით ამ განცხადებებზე?**

— იდევნებოდა თუ არა ხიზრი საქართველოს ხელისუფლებისგან, ვერ გეტყვით, მაგრამ ვიცი ის, რომ ჩეჩენ ხალხს მისი საბოდიშო არაფერი სჭირს. ჩეჩნებს მისთვის ნდობის მანდატი არ ჩაუბარებია. ერი ნდობის მანდატს აბარებს, მაგალითად, კანონიერად არჩეულ პრეზიდენტებს, ასეთი მანდატი ჰქონდათ ტრაგიკულად გარდაცვლილ კავკასიის პრეზიდენტებს: ზვიად გამსახურდიას, ჯოხარ დუდაევს, ზელიმხან იანდარბიევს, ასლან მასხადოვს, საქართველოში არსებული რეჟიმი, რუსებმაც და ქართველებმაც ხიზირზე უკეთესად იციან, ასე, რომ, ამით მას დიდი აღმოჩენა არ გაუკეთებია.

თუ ხიზირი იდევნებოდა საქართველოს ხელისუფლების მიერ, მაშინ ქართულ საინფორმაციო საშუალებებში რატომ აქებდა წლების განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლებას და ილაშქრებდა ოპოზიციის წინააღმდეგ?... ან ჩეჩენ ხალხს რაში მოუხადა ბოდიში, კარგად ვემსახურე ხალხს, არ ვუღალატე ერის ღირსებას და ვაჟკაცობასო თუ რა? 2004 წლიდან ის არანაირ თანამდებობაზე არ მუშაობდა, იყო რიგითი მოქალაქე, საქართველოში თავს კარგად გრძნობდა და იყო იმ ოპოზიციის წინააღმდეგი, ვინც სააკაშვილის რეჟიმს ებრძოდა.

**— მან ისიც კი უთხრა რუსულ მედიას, რომ კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერი მეცენატი და ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილის რეჟიმმა შეიძლება ისევე გამოასალმოს სიცოცხლეს, როგორც ეს პატარკაციშვილის შემთხვევაში გააკეთაო.**

— ხიზირს რუსული საინფორმაციო საშუალებებით რომ არ შეეხსენებინა ივანიშვილისთვის, არ იცის ბატონმა ბიძინამ, რა უნდა გააკეთოს და როგორ მოიქცეს? ეს არის ქართულ საინფორმაციო საშუალებებში დაბეჭდილი მასალების გამეორება. მას დამადასტურებელი საბუთები არ დაუდია, რაც ნიშნავს, რომ მისი განცხადებები არასერიოზული იყო, ისე კი, არ მესმის, ვინ მიიჩნევს ხიზირ ალდამოვს პოლიტიკოსად ან დიპლომატად.



**— ჩეჩნები არ მიიჩნევთ ხიზრი ალდამოვს პოლიტიკოსად და დიპლომატად? რის საფუძველზე ენდო მას მასხადოვი. საქართველოში რა მისიით გამოგზავნა? სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ იგი ცუდი ავტორიტეტით არ წასვლა საქართველოდან. ქართველები მას პატივს სცემდნენ.**

— გასაგებია, მაგრამ ხიზირი არ ყოფილა ჯოხარის წარმომადგენელი საქართველოში და ვერც იქნებოდა. ცხონებული ზვიადი მაშინ გროზნოში იყო და შევარდნაძის ხელისუფლებასთან არ ყოფილა არავითარი ურთიერთობა. ზუსტად ვიცი, მას რუსი სპეცსამსახურების ზეწოლით ალაპარაკებენ. კიდევ გიმეორებთ, ის არის საქართველოს მოქალაქე და არ ყოფილა იჩქერიის წარმომადგენელი 2004 წლიდან.

**— ამ დღეებში შესრულდა ცხინვალის ტრაგედიიდან 4 წელი, თქვენ, ვინც წლების განმავლობაში ქართული (და არა მარტო ქართული, ჯოხარ დუდაევის მთავრობაში მოღვაწეობდით) ეროვნული მოძრაობის ლიდერების გვერდით იბრძოდით. გამოიარეთ ჩეჩნეთ-რუსეთის ორი ომი, როგორ შეაფასებთ 2008 წლის 8 აგვისტოს მოვლენებს?**

—ომს და ომის თემას არ მინდა ხოლმე შევეხო, რადგან გამოვიარე 4 ომი — ინგუშეთ-ოსეთის, აფხაზეთის და ჩეჩნეთ-რუსეთის ორი ომი, რომელიც დღესაც არ არის დამთავრებული. ვნახე ათასი უბედურება და გაჭირვება. ის, რაც მოხდა 2004 წლის 8 აგვისტოს, არ უნდა მომხდარიყო. ეს ცალსახაა. ომში გამარჯვებული არავინ გამოდის. ომს ორივე მხარე აგებს. 4 წელი გავიდა მას შემდეგ და რა მოიგომ საქართველომ, ან რა მოიგეს ოსებმა? არაფერი ნგრევისა და უბედურების გარდა, არის ასობით საკუთარი სახლებიდან დევნილი მოსახლეობა, დაინვალიდდა ხალხი, არიან უგზო-უკვლოდ დაკარგულები...

კავკასიაში მაცხოვრებელი ერები მცირერიცხოვანი ვართ, არ შეიძლება ჩვენ შორის ომის ან საომარი პროვოკაციის დაშვება.

რაც შეეხება რუსეთს, პუტინმა განაცხადა, არა მხოლოდ ვემზადებოდით საომარი ოპერაციებისთვის, არამედ ჩვენ ვამზადებთდით და ვაიარაღებდით სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასაცო. რუსეთის გენერალურ შტაბს ჰქონია სხვა გეგმაც, რომ იქნას დაპყრობილი საქართველოს ტერიტორიები, აღნიშნავენ, რუსი ექსპერტები, მოკლედ, მიდის განუწყვეტელი ლაპარაკი ომის შესახებ და მოსკოვში ჩემს მეგობარ ლაშა ლატარიას აქვს ბიზნესი,



ლტოლვილი ცხინვალელი ქალები მიდიან მასთან სამუშაოს სათხოვნელად და იწყებენ კიდევაც მუშაობას. ამით იმის თქმა მინდა, რომ შეუძლებელია ხალხთა შორის ურთიერთობის გაწყვეტა და მოშლა, მეგობრული ურთიერთობა მაინც იმარჯვებს.

ჯარების სარდლის ყურაშვილის განცხადება მსოფლიო საინფორმაციო საშუალებებმა აიტაცეს: „ცხინვალში საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის აღდგენისთვის ვაწარმოებთ ომსო"...

არ შეიძლება სიტუაციის იქამდე მიყვანა, ეს დანაშაულია, ომს პოლიტიკოსები იგებენ, რომლებიც ძალაუფლებაზე არიან შეყვარებულნი, აჩაღებენ სისხლისღვრებს, რათა სისხლით შეინარჩუნონ ადამიანებზე ბატონობა. ომი დღეს არის ხალხისთვის პოლიტიკოსების მიერ ნასროლი ტყვია, სადაც ორივე მხარე აგებს. ასე მოიქცა თავის დროზე შევარდნაძე, ასე მოიქცა სააკაშვილიც. ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის იყო, არის და მომავალშიც იქნება. რაც შეეხება სააკაშვილსა და პუტინს შორის არსებულ ურთიერთობას, კარგია, რომ ქართველ და რუს ხალხებს შორის კონფლიქტი არ არსებობს. პუტინმა არაერთხელ განაცხადა, არავითარი შეხვედრა და მოლაპარაკება არ მექნება სააკაშვილთანო. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს ოონ-ის ის უშიშროების კომიტეტის სხდომაზე, როცა გადიოდა საქართველოს საკითხი, მაშინდელი საქართველოს ე.წ. დიპლომატის ალასანიას კითხვაზე: თქვენმა პრეზიდენტმა ჩვენი პრეზიდენტის ზარზე ყურმილი არც კი აიღოო, რუსეთის წარმომადგენელი ჩურკინი პასუხობს: ვინ დაელაპარაკება თქვენს ბანდიტ და დამნაშავე პრეზიდენტსო. მართალია, პოლიტიკა სიცარიელეს ვერ იტანს და ყოველთვის ივსება დინამიური ძალებით, მაგრამ ქართულ და რუსულ პოლიტიკას შორის გაჩნდა სამედიცინო პრობლემა, სადაც პროფილაქტიკა უფრო იაფია, ვიდრე მკურნალობა.

პოლიტიკოსის მხრიდან ნაბიჯის გადადგმის დროს საჭიროა ხოლმე პოლიტიკის სწორი წარმართვა, რუსეთის პოლიტიკა კავკასიელების მიმართ ყველასთვის ცნობილია. როგორც კი შემოვიდა რუსეთი კავკასიაში და დადგა თავისი რუსული ჩექმა, ერთი დღითაც კი, დღევანდელი დღის ჩათვლით, არ შეწყვეტილა კავკასიელების ბრძოლა დამოუკიდებლობის და თავისუფლებისთვის. ყველას ესმის, რუსეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფოა, მაგრამ ეს არ ნიშნავს პატარა ერების მიმართ, როგორც მოეპრიანება, ისეთი პოლიტიკა აწარმოოს.

რა ჩაიდინა და რას აკეთებს რუსეთი ჩეჩნეთის მიმართ არ იცის დასავლეთმა, ან მსოფლიომ, ან საერთაშორისო ორგანიზაციებმა, შედეგი ნულია. უნდა გავაცნობიეროთ, რომ კავკასიელები არ ებრძვიან რუს ხალხს, ისინი ებრძვიან და იბრძოლებენ რუსიზმის არასწორი პოლიტიკის წინააღმდეგ.

**— ბატონო მათე, დღეს საქართველოში უამრავი პრობლემაა, მაგრამ მთავარ საკითხად შარშანდელი ოქტომბრის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი დგას. არჩევნები ახლოვდება. მის კოალიციას არჩევნებში სხვადასხვანაირ პროცენტებს უწინასწარმეტყველებენ. თქვენი აზრით, ბიძინა ივანიშვილი და მისი ელექტორატი მოახერხებს გამარჯვებას მოძალადე ხელისუფლებასთან, რომელსაც არა და არ სურს ძალაუფლების დათმობა?**

— საქართველოში საარჩევნო მარათონი, რომ იტყვიან, კულმინაციისკენ მიდის. ჩვენ, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს არაერთხელ გვაქვს გაცხადებული, რომ ყველაფერი, რაც ხდება დღეს საქართველოში, ამ სახელმწიფო აპარატის არსებობაც კი არის არაკანონიერი და არაკონსტიტუციური ამ სისტემის მიერ დანიშნული არჩევნებიც არის არაკანონიერი. ისმის კითხვა, იცის ეს ყველაფერი ქართველმა ხალხმა? იცის და მაინც მიდის არჩევნებზე?

სანამ საქართველოში არ იქნება პოლიტიკური კონკურენციის სისტემა და არა ის მოდელი, რომელსაც ნაცმოძრაობა სთავაზობს ხალხს, დაწყნარება შეუძლებელი იქნება. ზოგიერთი ლაპარაკობს რუსეთის მოდელზე, ეს მოდელი საქართველოში ვერ გავა და არც უნდა გავიდეს. საქართველოში ან უნდა იყოს ოპოზიცია, ან არა, და არა ისე, როგორც ემერსონი წერდა, პარტიები და სექტები იმისთვისაა მოგონილი, ადამიანებს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი წაართვასო... დღეს საქართველო დგას რეალური პრობლემის წინაშე. პრობლემა არის რეალურიც და მოგონილიც. ვნახოთ, ხალხი რომელ პრობლემაც აირჩევს.

ის ძალაუფლება, რასაც დღეს სააკაშვილი იყენებს თავისი ხალხის წინააღმდეგ, ამდენის უფლებას, საქართველოს ისტორიაში, არც ერთი მეფე არ აძლევდა საკუთარ თავს, ისტორია არავის არაფერს კი არ პატიობს.

**— საქართველოში სააკაშვილს ბევრი ეძახის დიქტატორს, ზოგს ის წმინდაწყლის დიქტატორი არ ჰგონია, მაგრამ დიქტატორუკა კი, თქვენი აზრით, რატომ არ რეაგირებს დასავლეთი საქართველოში აღმოცენებულ ავტორიტარულ რეჟიმზე?**

— მოდით გავარკვიოთ, რისი კრიზისია საქართველოში პოლიტიკური, სოციალური, ხელისუფლების, თუ თვით ხალხშია კრიზისი? ჩვენ არ ვიცით, მივეჩვიეთ, თუ ასე გვგონია, დასავლეთს, ან მსოფლიოს აქვს ჩვენი ვალი, რატომ გვგონია, რომ დასავლეთმა უნდა გვიშველოს? მე ისტორიკოსი ვარ და ისტორიაში ასეთი ვალის შესახებ არაფერი მსმენია. საქმე ისაა, ვართ თუ არა მზად სამართლიანად ვმართოთ ქვეყანა. კანონიერების ჩარჩოებში ვაწარმოოთ ხელისუფლების ცვლა?! დასავლეთისგან რას ვითხოვთ, რა გააკეთა ევროპამ ან ადრე, ან ახლა?! პუტინმა განაცხადა — ევროკავშირი ის ხამია, რომელმაც ახალი წევრების სახით ლუკმები მოაგროვა, მაგრამ მათ გადაყლაპას ვერ ახერხებსო... სწორია ამ შემთხვევაში პუტინი...

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ormagi wyevla




2008 წლის აგვისტოს ხუთდღიან ომზე, რომელსაც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან „სამხრეთ ოსეთში კონსტიტუციის აღდგენა“ ეწოდა თავდაპირველად, ხოლო რუსეთის მხრიდან „რუსეთის მოქალაქეების დაცვა“. ბევრი ითქვა და დაიწერა ამაზე. ამ თემაზე ორივე მხარემ გადაიღო მხატვრული და დოკუმენტური ფილმები.

ამ ორმხრივ კინემატოგრაფიულ ომში დაიბადა 50-წუთიანი დოკუმენტური ფილმიც, რომლის სათაური იყო „ომი 08. 08. 2008 მუხანათობის ხელოვნება“ და გავრცელდა მთელ მსოფლიოში ინგლისურ, ესპანურ და გერმანულ ენებზე თარგმნილი. მილიონობით მაყურებელმა ნახა ეს ფილმი და როგორც საქართველოს პრეზიდენტის დანაშაულის ვიდეომოწმემ მიიღო სათაური „ფილმი-წყევლა სააკაშვილისა.“

„სამეული: სააკაშვილი, იუშჩენკო და ბუში უნდა ჩამოახრჩონ!

დაწყევლილი იყოს ის ქვეყნები, რომელთაც შეაიარაღეს საქართველო ჩვენი მრავალტანჯული ნაციის გასანადგურებლად!

წყეული იყოს მიხეილ სააკაშვილი!!!“ — ისმის ოჯახის ხუთი მშვიდობიანი წევრის დამკარგავი, ასევე მშვიდობიანი მცხოვრების წყევლა-გოდება.

შეიძლება, ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე არ ეთანხმებოდეს თავისი ქვეყნის პრეზიდენტის პოლიტიკურ კურსს, მაგრამ როდესაც მის პრეზიდენტს შეურაცხყოფენ, თავმოყვარეობა ელახება და რაღაცას მაინც იტყვის საპასუხოდ, მაგრამ რა ქნას იმავე მოქალაქემ, როცა მისი ქვეყნის პრეზიდენტს წყევლიან შინაც და გარეთაც? როცა მკვლელად თვლიან შინაც და გარეთაც?

როგორც ამბობენ, ომი საშინელებაა, არავის ინდობს, შესაბამისად, არც მსხვერპლია უცხო, მაგრამ...

არის ერთი ისეთი „მაგრამ“, რასაც არანაირი გამართლება არ აქვს...

შემთხვევით, მაჟორიტარობის ერთ-ერთი კანდიდატის ამომრჩეველთან შეხვედრას შევესწარი და ასევე შემთხვევით აღმოვჩნდი მუხროვანის სამხედრო ნაწილში მომხდარი ამბოხისთვის ძებნილი და თიანეთის გზატკეცილზე ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლული პოლკოვნიკ გია კრიალაშვილის დედის, ქალბატონი ლენა ნაზარიშვილის გვერდზე. იქვე პატრულის მიერ ზანდუკელის ქუჩაზე მოკლული გიორგი გამცემლიძის მამა, ჯამბულ გამცემლიძე შევნიშნე მეუღლესთან, გულიკო გამცემლიძესთან ერთად, საქართველოში მრავალთა მსგავსად ცრემლშეუმშრალი დედები. ოდნავ მოშორებით, ირინე ენუქიძის ძმა გოგი შევნიშნე, კიდევ ერთი გამწარებული ძმა და სანდრო გირგვლიანის ბიძა...

**ლენა ნაზარიშვილი**: — „მე ვარ 85 წლის ყოველმხრივ გამწარებული და განადგურებული დედა. ბიჭი ხომ მომიკლეს, ქალიშვილს უსინათლო შვილი ჰყავს და ახლა ბანკმა ბინა გაუყიდა. ქმარი არ მუშაობს, შვილი არ მუშაობს, მამამთილი 83 წლისაა, რაღა უნდა იმუშაოს და აი, ასე არიან ქუჩაში, აი, ასე ვართ. ივანიშვილის გვერდზე რატომ ხარ, რატომ დაგეხმარაო და პენსია დამიყადაღეს — რა ვქნა, რა გავაკეთო! რა დიდ პენსიას მე ვიღებდი, 120 ლარი მქონდა, მაგრამ შვილის სასაფლაოს ვაკეთებდი, კრედიტი ავიღე და 66 ლარსღა ვიღებდი — ისიც დამიყადაღეს. მთელი დღეებია ვტირი, ჩემი სიცოცხლე სიცოცხლეა? მე მიყიდა შვილმა ის ადგილი სასაფლაოზე, მე უნდა ვიყო იქ და თვითონ წავიდა მიწაში... რა უნდოდათ ჩემი შვილისგან! აფხაზეთი მოიარა, ცხინვალი მოიარა, 2008 წლის აგვისტოში სახლში რომ უნდა ჩამოსულიყო, ცხინვალიდან დაჭრილები და



მიცვალებულები გამოჰყავდა. სააკაშვილი, თვითონ მიწაზე მიხოხავდა, სიკვდილის ეშინოდა და აი, ასეთი მებრძოლი ხალხი კი ზოგი ხომ დახოცა, ციხეში კიდევ რამდენია, ვინ მოთვლის. რატომ მომიკლა შვილი, იმიტომ, რომ ყველაფერი იცოდა, რაც ხდებოდა და მოხდა? — მოღალატედ გამოიყვანა. გასვენებაში ხალხი მითანაგრძნობდა, მეუბნებოდნენ, ნუ ტირიხარ, შენი შვილი გმირი იყოო. გმირობა არ მეხარებოდა, ჩემი შვილი ცოცხალი მინდა!





სააკაშვილი პრეზიდენტი კი არა, გიჟია, გიჟი!

მაგას მოუკვდეს ის ორი შვილი, ღმერთო!“

რაგინდ „მაგარი იყოს მიშა“, ღმერთო, ნეტავ, ერთ კაცს ორმაგი წყევლის ზიდვის ძალა შესწევს?

**გულიკო გამცემლიძე**: — „ვინ ესროლა ჩემს შვილს კონკრეტულად, ამაზე არ მაქვს საუბარი, ვთვლი, რომ სააკაშვილმა მომიკლა, რადგან ეს მისმა მოწოდებამ „ნულოვანი ტოლერანტობა!“ — გამოიწვია...“



არცთუ დიდი ხნის წინ გავრცელდა ვიდეოჩანაწერი — როზა წყაბელია, რომელიც პრეზიდენტთან პირად პრობლემებზე სასაუბროდ შეხვედრას ცდილობდა, ნაცმოძრაობის აქტივისტებმა ძალის გამოყენებით წაიყვანეს და სარდაფში ჩაამწყვდიეს. როდესაც ეს ამბავი გახმაურდა, მასთან „მოსაფერებლად“ სააკაშვილი მივიდა: — „ვინც ჩადგება ჩემსა და გაჭირვებულ ადამიანს შორის, რომელიც მოსულია იმისათვის, რომ მითხრას თავისი გაჭირვება და იმ თქვენმა თანასოფლელებმა, ერთმა-ორმა, რომლებმაც მოგაყენეს შეურაცხყოფა, დიდი ხანია პასუხი ვაგებინე — ეს იქნება გაკვეთილი ყველასათვის“, — დაამშვიდა დიდმა ნაციონალმა ,ნაციონალების ტყვედყოფილი მისთვის ჩვეული დაულაგებელი ფრაზებით.

საინტერესოა, რა ნიშნით არჩევს ბატონი პრეზიდენტი გაჭირვებულებს? — ფაქტია, გაჭირვებულად არ მიაჩნია ყველა გაჭირვებული.

ისიც ფაქტია, რომ სრულებით არ ანაღვლებს ბატონ პრეზიდენტს, ვის უჭირს და რატომ, მით უმეტეს, თუ იმ „გაჭირვებულს“ სამადლოდ გადაგდებული მაკარონი და ზეთი კი არ უნდა, სამართალს ეძებს...

გებელსის ცნობილი ფრაზაა — „სიტყვა „კულტურა“ რომ მესმის, ხელი იარაღისკენ“ გამირბის“. ფაქტობრივად, იგივე ემართება ბატონ სააკაშვილს სიტყვა „სიმართლის“ (სამართლიანობის, კანონის) გაგონებაზე...

პრეზიდენტს ეშინია სიმართლის!

პრეზიდენტს ეშინია შვილმოკლული დედების, შვილმოკლული მამების!

პრეზიდენტს ეშინია 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ვაჟკაცების დედების!

დიახ, ეშინია იმ მამაშვილის (ასათიანი) სულების, შვილი რომ 2008 წლის აგვისტოს სასაკლაოსთვის გაიმეტა და მამა 2011 წლის 26 მაისის სასაკლაოსთვის...

დიახ, ყველაფრის ეშინია პრეზიდენტს და განსაკუთრებით იმ ცოცხლების, რომელთაც სიმართლე იციან!

დიახ, ეშინია და ამიტომ დაემალა ფოთში, ღვთისმშობლის შობის ტაძარში მისული აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ძაძებით შემოსილ დედებს და მათთან ერთად იქ მყოფ ხალხს, ისე გაიძურწა „მეუფის რეზიდენციისკენ“, დაცვამ არათუ მასთან ვინმეს მიახლოება, გადაღების უფლება არ მისცა „გარეულ ჟურნალისტებს“ და ტერიტორიის დატოვება მოითხოვა...

დიახ, ეშინია და სწორედ ამიტომ, 19 ივლისს, სანამ სტიქიით დაზარალებულ თელავში იმყოფებოდა პრეზიდენტი სააკაშვილი, გამგეობის შენობაში დაამწყვდიეს შვილკვდარი დედა, **მერი მარგალიტაშვილი** და სანამ პრეზიდენტი არ წავიდა, არ გამოუშვეს. 20 ივლისს ისევ სცადა ქალბატონმა მერიმ პრეზიდენტთან შეხვედრა, მაგრამ ამაოდ, სოდ-ის კახეთის სამმართველოს უფროსის მოადგილის დავით ლეგაშვილის დავალებით იგი ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში და გაიტაცეს — რამდენადაც ვიცით, გომბორიდან უკან არ მიბრუნებულა პრეზიდენტი და არც არავინ დაუსჯია, რატომ ჩადექით ჩემსა და გაჭირვებულ ადამიანს შორისო...



რამდენიმე დღის წინ თბილისში ფეხით ჩამოსულ შვილმკვდარ დედას (ოჯახის მტკიცებით, ბადრი ტაბიძე პოლიციელის ცემის შედეგად გარდაიცვალა) ქეთევან გადელიას და მის ქალიშვილს პრეზიდენტის რეზიდენციის მისადგომები ძალის გამოყენებით დაატოვებინეს. ფეხით ექვსდღიანი მსვლელობისა და ოთხდღიანი მჯდომარე აქციის შემდეგ სამეგრელოში იძულებით დააბრუნეს.

**ქეთევან გადელია**: — „დამესიენ 25-30 პატრული თავის კამერით, მითხრეს, აქ უკანონოდ ზიხარ პრეზიდენტის წინო, უნდა აგიყვანოთ და წაგიყვანოთ სახლშიო. უარი ვუთხარი, მაგრამ მომკიდეს ხელი, ჩემი ბავშვის სურათი გამიტეხეს“...



არც ამ შემთხვევაში გამოუღია ხელი „გაჭირვებულის“ გასაჭირის გამო ბატონ პრეზიდენტს, არ დასწევია რიკოთზე...

მართალია, ეს შვილმკვდარი დედების დაცინვისა და მასხრად აგდების პირველი და სავარაუდოდ (თუ ხელისუფლება არ შეიცვალა), უკანასკნელი შემთხვევა არ არის, მაგრამ მაინც არავინ კითხულობს, ჰყავს თუ არა „ყლინჯილეჭია“ სააკაშვილს დედა ან დედისმაგვარი ვინმე მაინც გულშემატკივრის სახით და საქართველოს, ღვთისმშობლის გარდა, გულშემატკივარი თვით ქართველების სახით...

**მაია ჭელიძე**

# samegrelos Tavisufleba eocnebeba

ცხენისწყალს გავცდი. მოვლილი ეზო-კარები აბრუნდნენ და, როგორც მუდამ, გულში სიხარული ვიგრძენი. სვანეთიდან მოვდივარ, აჭარიდან მოვდივარ თუ იმერეთიდან, სამეგრელოს დანახვაზე სული მეხსნება და ვფიქრობ, უფრო კი ვვარაუდობ — კოლხური სისხლი ჩქეფს-მეთქი ჩემში! საიდან სადაო, — კითხვაცაა, მაგრამ ჩვენი წარსულის შემხედვარეს, განა რაიმე უნდა გაგიკვირდეს?

სადაც მეგობარი პოეტი, ჯარჯი ფხოველი მეუბნება ერთხელ: ვეჟო, ჩემო დავლო, იქ, ჩვენში, ერთი ხევია, ზაფხულში წყალმცირე, ავდარში ბობოქარი — ჭიჭე ხევად იხსენიებენ ფხოველნი... შენი ნანო მეგრელია და აბა, ჰკითხე „ჭიჭე“ ხომ პატარას ნიშნავს!



ვეთანხმები და ვეუბნები ძმობილს, რომ ადამიანების დიდი გადაადგილების შემდგომ ვინ სად გაჩერდა, ვინ რომელ ადგილს მიეყინა, ადგილობრივ კომლად, მოსახლედ იქცა, ეს საიდუმლოება მხოლოდ ღმერთმა უწყის! ჩემი შვილი რატი — ბავშვობაში, დედულეთში, სენაკის რაიონის სოფელ ხორშში, ზაფხულში მხოლოდ ორიოდ კვირით ავიდა და დაბრუნებულმა უკვე მთლიანად, ენის ბორძიკის გარეშე იცოდა მეგრული...

ტიალ ფიქრს რა გააჩერებს... ახლა იმ მიდამოებში ვიმყოფებით, სადაც 90-იან წლებში ზვიად გამსახურდიას მომხრეებს დასდევდნენ, სადაც დაწყევლილი შევარდნაძე ყაჩაღებად ქცეულ ე.წ. ჯარს აგზავნიდა და მოძმეთ სისხლს აქცევდა. გაოცებული იყო ჩემი ცოლის ბიძა, სენაკში მობინადრე კაცი — რა ხალხი გვესხმოდა თავს, არ მგონია ქართველები ყოფილიყვნენ... საშინელებაა, მაგრამ აუცილებლად გასახსენებელია — მოთარეშეებმა სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში როგორ დაადეს შუბლზე იარაღი ოჯახის უფროსს, მამას და უბრძანეს საკუთარი გოგო გაეუპატიურებინა! ამგვარი ულვთო რამ თვით საქართველოს ისტორიაში არ სახელდება... არ ყოფილა მტერი, ვისაც ამგვარი რამ მოეფიქრებინოს!.. შემდგომ, ამ მეოცე საუკუნის ჯალათებმა შევარდნაძის ჯარისკაცებმა, ამ უბედური კაცის, თვალწინ გააუპატიურეს ცოლიც, ქალიშვილიც და როცა სულგამწარებულმა სთხოვა — ბარემ მეც მომკალითო, — ჯიბრიანი ზეიმით წაუსისინეს, შენ უნდა იცოცხლო და დაიტანჯოო!

კიდევ გითხრათ? რაო? ვილაცა მეუბნება — ამგვარი საშინელებები რა გასახსენებელიაო! არა და არა, მეგობარო და თან შეწუხებულო უნდა გითხრათ! უნდა ჩაგილურსმოთ ტვინში, რადგან ის ცხოველი, ის აფთარი, ის ლეშიჭამია ვინც ტვინში ჩაუჯინა მაშინდელ მოლაშქრე მაროდიორებს, დღეს წყნარად განისვენებს კრწანისის რეზიდენციაში და კვლავ ცდილობს, თავისი სისხლის ბელტებით სავსე, ხორცის ნაგლეჯებით ამოყორილი გვამსტომაქი, მაგიდაზე დაგვიდოს! კიდევ ცდილობს ჭკუა დაგვარიგოს, ტელევიზიის ეკრანიდან თუ გაზეთებიდან (რომელთაგანაც რამდენიმე მისი საკუთრებაა!) ნადირის ქშენით იჩურჩულოს...სწორედაც მან მოაწყო ყოველი უბედურება საქართველოში, რის გამოც, ამჟამად, დაღუპვის პირად ვიმყოფებით! სწორედ მისი გამოზრდილი მტაცებლები ილოკავენ სახე-ტუჩებს მოძმეთა სისხლით გაწითლებული ენებით! სწორედ ისინი არიან — ამჟამად რომ გვემუქრებიან — ჩვენ ვერავითარი არჩევნებით ვერ გადაგვაყენებთ, ჩვენს აშენებულში სხვას არავის შევადგმევინებთ ფეხსო!

სააკაშვილმა არასგზით არ დააპატიმრა შევარდნაძე, რადგან იგი მისი მოძღვარია! ქართველი ხალხი როგორც ჩანს ვერასოდეს ნახავს სამსჯავროზე წაყენებულ შევარდნაძეს, რაც დიდად სამწუხაროა!

აბა ნახეთ ბატონებო, შემომხედეთ, მომისმინეთ კიდევ რა ჰქნეს შევარდნაძე-იოსელიან-კიტოვანის პირსისხლიანმა ყაჩაღებმა: სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში მიადგნენ სახლს, სადაც დამბეზღებლის თქმით ზვიადის მომხრე ცხოვრობდა. გაესაუბრნენ:

— შენ ზვიადისტი ხარ!

— რა არის ზვიადისტი არ ვიცი, მაგრამ ზვიად გამსახურდიას პატივს ვცემ, მიყვარს ეგ კაცი... თქვენც უნდა მხარში დაუდგეთ და საქართველო გადავარჩინოთო...

— საქონელი გყავს?

— მყავს...

— გვიჩვენე!

— შევარდნაძის მარბიელებმა მოზვერი იქვე ახლოს მდელოზე დაკლეს, შემდგომ ამ საწყალ კაცს მუხლებში თითო ტყვია ჩაუჯინეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და თითქმის ნახევარ მეტრზე ჩათხრილ სამარეში ჩააწვინეს. ცოცხალ კაცს მიწა მიაყარეს, ზედ საფლავზე ცეცხლი გააჩაღეს, შამფურები გათალეს, მწვადი ააშიშხინეს და მიყრილ მიწის თითეულ განძრევაზე — ვაშაო, ალმუვლდნენ!

ცოცხალი კაცი საფლავში იხრჩობოდა და უკანასკნელად ებრძოდა მზაკვარ წუთისოფელს!

ვინ იყვნენო, — შემეკითხებით.

— ვინ იყვნენ და ზოგიერთი მათგანი დღესაც ომის ვეტერანის წიგნაკით დადის და სინამდვილეში ხელის თითებზე მოძმეთ პირიდან ამოგლეჯილი ოქროს კბილებისგან გადამდნარი ბეჭედი უკეთიათ.

მეტი რაღა გინდათ, მეგობრებო! სააკაშვილის ტელევიზიამ, ამას წინათ „პროფილში“, ასათიანის ქალი რომ უძღვება ხომ ნახეთ დოდო გუგეშაშვილი, ხომ დატკბით მისი საუბრით, ხომ ისიამოვნეთ მისი სიმღერებით და „ბლატნოი“ ლაპარაკის მანერით, ხომ იანგელოზა, ხომ იკეკლუცა?

განა საზოგადოებამ მძაფრად გამოხატა პროტესტი? რა თქმა უნდა არა!

მხოლოდ სოფელი დარჩელი, სამეგრელოს მხოლოდ ეს ულამაზესი სოფელი შეძრწუნდა და კიდევ ერთხელ შეეცადა ეთქვა ჩვენთვის ამ დედაკაცის მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაულის შესახებ.

იქნებ გოჩა ჯიქიას ამბავიც გავიხსენოთ?

დედის წის ახალგაზრდა კაცი გამოასალმა წუთისოფელს!

„შვილი არ მომიკლა — დედაშვილობასო“, — ასე ემუდარებოდა საბრალო დედა ყაჩაღ ოფიცერს, მაგრამ სად იყო მაშინ სმენა და გაგონება? ანდა სად იყო გონება?

აბა ნახეთ, როგორაა აყირავებული ჩვენი ცხოვრება — მაშინდელი სარდალი ყარყარაშვილი ძალიან ხშირადაა ტელევიზიის ეკრანზე და ამჟამად რომელიღაც პარტიასთან მისულა ახლოს — „ეროვნულები“ ჰქვია თურმე!

ხომ არის შეშლილი ეს ჩვენი სამყარო? გოჩა ჯიქიას ლოგინში ჩააწვინეს შეპყრობილი ყარყარაშვილი ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა...



ვინმეს უშველა ამგვარმა სამაგიეროს გადახდამ?

სანდრო კავსაძე ტრაბახობდა — სამეგრელოს ტყვეობაში ძლივს ვპოვე სიმშვიდეო!

ასეთია დღევანდელი სურათი და უფრო უარესი ის გახლავთ, რომ პოლიტიკურ სცენაზე მრავლად ირევა, მრავლად მოჩანს საქართელოს დამაქცევართა, არმიაში მომსახურე პერსონალი! უსირცხვილოდ მიიწევენ კარიერის კიბეებზე. აქ ვიღას არ ნახავთ — მხედრიონელებს, გვარდიელებს, იარაღით მორბენალ ბიჭ-ბუჭებს, რომლებმაც 1991-1992 წლებში მოახდინეს კანონიერი ხელისუფლების დამხობა და დღეს მხოლოდ რუსეთს აბრალებენ!

სააკაშვილის პოლიტიკურმა ფანდმა — რომ რუსეთი გახლდათ ერთადერთი მტერი ჩვენი ქვეყნისა, ყოელივე ჩაფარცხა და ჩრდილში მოასვენა. ჩვენი, ქართველი ბანდიტები, ძმათამკვლელები, თურმე არასოდეს არსებობდნენ. ყველაფერი სხვებმა ჰქნეს!

არადა, სახადი ჯერაც მოსახდელია!

თავის დროზე, ჯერ კიდევ 1980 წელს, ზვიად გამსახურდიამ კარგად შეისწავლა და შემდგომ გამოაქვეყნა „საუბრები სამურზაყანოში 1980 წელს“. საერთო დასათაურება ამ თემისა გახლდათ „სამეგრელოს საკითხი“. ზვიადს ჰქონდა მთელი ციკლი ამ საჭირობოროტო საკითხების შესახებ. მათ ერქვა: „ოსთა საკითხი“, „აფხაზეთის საკითხი“...

ამჟამად ვიმყოფები ავტობუსში, მივემგზავრები ზუგდიდისკენ, რა თქმა უნდა, ვფიქრობ „სამეგრელოს საკითხზე“, რადგან 2012 წელს, ოქტომბერში არჩევნებია!

ყველამ იცის, როგორ იბრძვის სააკაშვილი — რამენაირად შეირგოს არჩევნები. ისეთი სურათია, რომ ამ დღევანდელ პრეზიდენტს ძალზედ აძლევს ხელს მტრის შემოჭრაც! რათა? იმიტომ, რომ... დიდ იმპერიას ხომ ვერ მოერევა? უნდა გაიქცეს! ბიჭოს, ეს ლტოლვილად ქცეული, მუშტებს აწევს და მთელ მსოფლიოში იმოგზაურებს როგორც დევნილი! ამათ მას შერჩება ყოველივე დანაშაული, რაც კი ჩაიდინა!

არჩევნები თუ ისე გააყალბა, რომ უმრავლესობაში დარჩა, ეს უკვე მისი უმაღლესი სასჯელია!

თუ წააგო — ხალხმა საკუთარი ხმა რომ დაიცვას, ხომ უნდა გამოვიდეს ქუჩაში?

იტყვის სააკაშვილი — შეიარაღებული აჯანყებააო და ძალას გამოიყენებს!

ამიტომ, აშკარად ჩანს, რომ ამჟამად სამეგრელოს, ოსეთის და აფხაზეთის საკითხები ერთად უნდა შეიკრას და დადგეს — საქართველოს გადარჩენის საკითხი!

ასეცაა — ბატონი ბიძინა ივანიშვილი სწორედაც ამ საკითხის გადაწყვეტას ლამობს. სწორედაც, ჩინებულად მოიქცა ბატონი ირაკლი ალასანია, რომ ზუგდიდში იყრის კენჭს.

რისკი არის?

— კი, ბატონო, დიდია რისკი, მაგრამ, განა სხვა გზა და სხვა ხსნა არსებობს?

რა ხდება ამჟამად სამეგრელოში?

შეშინებულია თუ არა ხალხი?

სააკაშვილს კვლავ წალენჯიხიდან სურს აზვავდეს და ჩამოგრიალდეს თბილისში თუ სხვა რამ ჩაიფიქრა?

იქნებ სულაც კახეთი აირჩია, სადაც სეტყვამ და ღვარცოფმა ყველაფერი დააქცია?

მიზეზი ჰქონდათ მუშაობისა! ეხმარებიან და ჩასჩიჩინებენ — მხოლოდ ჩვენ გადაგარჩენთო!

სამეგრელოში პოლიტიკური პროცესები სულ სხვაგვარად ვითარდება — ნაციონალები ხალხს აშინებენ — სულ ერთია მაინც გაგაკონტროლებთ — ვის მისცემთ ხმას, ამისი ხერხები ვიცით. საარჩევნო ურნასთან ყველაფერს ჩავიწერთ, გადაგიღებთ, დაგაფიქსირებთო!

ბევრმა დაიჯერა, რადგან იფიქრა: ესენი ისეთი მამაძაღლები არიან, ამასაც შეძლებენო!

ამას რა ეშველება, ძე-ხორციელმა არ იცის!

როგორც ჩანს, სამეგრელოს საკითხი უნდა დაისვას მთლიანად საქართველოს საკითხის კონტექსტში!

ავტობუსი შეჩერდა აბაშაში. აქ, მარჯვნივ, სულ რამდენიმე კილომეტრში, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმია...

აქ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აწყობს შეკრებას და მხარს დაუჭერს „ქართულ ოცნებას“: ეს დიდი ძალა და იმედია!

მაგრამ...

ეს ამბავი იცის სააკაშვილმაც!

არავინ იცის, რა ნაბიჯით უპასუხებს იგი!

ავტობუსი დაიძრა. მწვანით შემოსილ ეზოში, ჭასთან ერთი სანდომიანი მოხუცი დავინახე და მივამსგავსე თვალისჩინდაკარგულ აჩიკო ანთიას, რომელიც მხედრიონელებმა ზვიადის მომხრეობის გამო საშინლად აწამეს... არადა, დევნილი ზვიად გამსახურდია, როცა აჩიკო ანთიას ესტუმრა, როცა ხელი გაუწოდა მისასალმებლად, ბრმა მოხუცმა ჯერ ერთი ხელი ჩამოართვა, მერე ორივე დაუჭირა და დავსილი თვალთუპეები ზემოთ ააბრუნა: ხომ ვარ უჩინო და არასოდეს არაფერი დამინახავს! ახლა, მხოლოდ ერთხელ განათდა და გხედავ, შენ ზვიად გამსახურდია ხარ!

ამის გაგონებაზე ყველა გაშშრალა! რამდენიმე კაცს ცრემლმაც დაუსველა თვალი... გაოცებული ზვიადი, შუბლზე ეამბორა მოხუცს და ისე გამოსულა ჭიშკრიდან!

სხვაც მომაგონდა: ჯიხაშკარში, ზარანდიას ეზოში დაკრძალული ზვიადის ნეშტის გამო, ოჯახის უფროსი დაჰკითხეს და ბრალი წაუყენეს — რატომ დათანხმდი შენს კარმიდამოში დაეკრძალათ ზვიადიო... პასუხად ასე უთქვამს ზარანდიას: თქვე დალოცვილებო — შევარდნაძისთვის ყელი რომ გამოეჭრათ და ჩემს სახლში მოეტანათ, განა უარს ვეტყოდი დამარხვაზეო?

უმოწყალოდ უცემიათ ზარანდია ამის გამო!

მოგონებებით დახუნძლული ვუახლოვდები ზუგდიდს.

საარჩევნო კამპანია უმაღლეს ფაზაშია!

მდგომარეობა დაძაბულია!

სამეგრელოს თავისუფლება ეოცნებება!

ღმერთო, ხელი მოუმართე საქართველოს.

**ჯემალ დავლიანიძე**

# `sad (w)aiyvan sadau r sa...~

სააკაშვილის ნაბოდვარის განხილვა დღეს ისეთივე უაზრობაა, როგორც თავად მისი “პერსონის” ირგვლივ საუბარიც. ეს საზოგადოების ყურადღების გადატანის და გულის ფხანის ტექნოლოგიური მეთოდია. ილიამ გვითხრა: “ფხანა ქეცმა იცისო”. ჩვენ კი ამ ჭკუიდან გადამდგარი კაცის წამოროშილის გარჩევით “ქეცით გამოწვეულ ფხანას” უფრო ვეწევით, ვიდრე “ქეცის გამომწვევი მიზეზის” პოვნას და რაც ყველაფერ ამის უკან შეიძლება იდგეს. სააკაშვილისგან “ვეფხისტყაოსნის” ციტირებისადმი ასეთი ლტოლვაც სწორედ მისი ჩარევით ხდება, “რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა”. ადამიანს თმის ღერიც არ ჩამოუვარდება უფლის ნების გარეშე. სააკაშვილს კი ახლა უკვე შეუღებავ თმას კი არა, ულმერთობის გამო, მალე ბლუჯა-ბლუჯა დააპუტინებს თმას უფალი. უკვე ისე “გააპუტინა”, “გამოპუტინდა” და გამოპრუტუნდა, რომ რუსეთის შიშით ბაგრატის ტაძრის დანგრევაც რუსულ არტილერიას მიაწერა. თურმე გორში ტერტერა ძმის პატრონი ბაბუამისის სანუკვარი ოცნებაც “ბაგრატის საკათედრო ტაძრის” აღდგენა და მასზე ჯვრის აღმართვა ყოფილა?! “სამაგალითო შვილიშვილმა” კი ეს ოცნება აუსრულა. ყოველგვარი გარჩევების გარეშე, ყველაფერს მარტივ ახსნას მოვუნახავთ, თუ მიმდინარე პროცესებსა და სააკაშვილის “გაპუტინება-გამოპრუტუნებას” ისევ ბიბლიური და იგივე “ვეფხისტყაოსნის” კუთხით განვიხილავთ. შოთას ხელთუქმნელი პოემის (რომელიც სააკაშვილს ლექსი ჰგონია, რადგან მელექსე, მისი მოკლე ჭკუით, მხოლოდ ლექსებსა წერს) “ვეფხისტყაოსნის” შინაარსიც ხომ სწორედ ბიბლიის ასლი და კალკია, სადაც გარკვევით წერია, რომ ფარისეველ-თალმუდისტებისა და ქრისტეს ფეხისმკვნეტელების ბოლო ახლოა! საქართველოზე კი პირდაპირაა ნათქვამი, რომ: “ 8. ვიცი საქმენი შენნი: აჰა, მოგეცი შენს წინაშე გახსნილი კარი, და ვერავინ შესძლებს მის დახშვას. შენ მცირედი ძალა გაქვს, მაგრამ დაიმარხე სიტყვა ჩემი და არ უარყავ სახელი ჩემი. 9. აჰა, მე ვიქმ იმას, რომ სატანის საკრებულოდან, მათგან, რომელნიც ამბობენ იუდეველნი ვართო, და არ კი არიან, არამედ ცრუობენ; აჰა, მე ვიქმ იმას, რომ მოვიდნენ და თაყვანი გცენ შენს ფერხთა წინაშე, და სცნონ, რომ მე შეგიყვარე შენ. 10. რაკიღა დაიმარხე სიტყვა ჩემი მოთმინებისა, მეც დაგიცავ განსაცდელის ჟამს, რომელი მოიწევა მთელ ქვყანაზე მიწის მკვიდრთა გამოსაცდელად. 11. აჰა, მოვალ მალე. მტკიცედ იპყარ, რაცა გაქვს, რათა არავინ წარგტაცოს შენი გვირგვინი. 12. მძლეველს ვყოფ ბურჯად მამის ჩემის ტაძარში, და აღარასდროს გავა გარეთ, და დავაწერ მას სახელს ჩემი ღმერთისას და სახელს ჩემი ღმერთის ქალაქის- ახალი იერუსალიმისას, რომელიც ზეცით ჩამოდის ჩემი ღმერთისგან, და ჩემს ახალ სახელს.” ( გამოცხ. იოანესი თ. 3-4 ) ახლა იმაზეა საუბარი საჭირო, რომ “მტკიცედ გვეპყრას რაცა გვაქვს, რათა არავინ წარგვტაცოს ჩვენი გვირგვინი”- სარწმუნოება, ენა და მიწა-წყალი. ის, რასაც სააკაშვილის ხელისუფლება მოსვლის დღიდან ცდილობს და არა ის, რამდენ სისულელეს წამოროშავს განკითხვის შიშით ჭკუიდან გადამდგარი სააკაშვილი. სხვა პროცესები მიმდინარეობს, ჩვენი ყურადღება კი სულ ხვა თემებზე გადაჰყავთ. უწმინდური სიწმინდეებისკენ ილტვის. სხვა ახსნაც არ მოეძებნება იმასაც, რომ ეკლესის კარის შემანგრეველი, ეკლესიების დამანგრეველი, ჯვრების მომთხრელი და იუნესკოს კლტურული მემკვიდრეობის ნუსხიდან ბაგრატის ტაძრის განზრახ ამომღებელი სააკაშვილი, ჯვრის აღსამართად, თავისით აპორტყდა “მისგან აღდგენილ ბაგრატის ტაძარზე”. ახლა გორის მე-6 საუკუნის “ტაძრის აღდგენა დაიწყეს”, რათა ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით, ისიც მოსპონ და გაანადგურონ. (მარტოოდენ სიმხდალის გამო “სტრახოვკის” გარეშე ვერ გაბედავდა ტაძრის გუმბათზე ასვლას) “მიშას აღდგენილი ბაგრატის ტაძარი” პატრიარქს უნდა ეკურთხა, ის კი არ მივიდა. “მიშას მამობილი კალისტრატეს” იქ დგომა არაფერს ნიშნავს. მასონთა არაერთი ლოჟის სახელიც უწმინდური სურვილების გამო ინიღბება სხვადასხვა რელიგიური სახელწოდებებით. სააკაშვილის მსგავსად, ისინიც ფარისეველ-მწიგნობართა მემკვიდრეები და მიმდევრები არიან. ქრისტეს უარმყოფელი მღვდელმთავრების მემკვიდრეებსაც აღსარებაში არაერთხელ ულიარებიათ, რომ მესია (ქრისტე) უკვე გამოცხადებულ იყო დედამიწაზე. სიმდიდრის სიყვარულში, კერპთაყვანისმცემლობასა და გარყვნილ ცხოვრებაში მხილების გამო კი მათ არ მიიღეს ის. სააკაშვილიცა და მისი იდეოლოგი “მსოფლიო მამებიც” კარგად გრძნობენ, რომ დღეს “სატანის საკრებულოდან” მოსული იდეოლოგიისთვის ქრისტეს სარწმუნოების თაყვანისცემის დრო დგება! გლობალიზაცია, “სინგაპურიზაცია” და ცრუ კოსმოპოლიტიზმიც ის ბოლო გაფართხალებაა, რის შემდეგაც ნაციონალური მოძრაობისა და სააკაშვილის, (ისევე როგორც მსოფლიოში ამ იდეოლოგიის ბოლოც), ლუციფერთან ერთად კვლავ ქვესკნელში გამომწყვდევა იქნება. ახალციხეში რაბათის ციხის რეკონსტრუქციაში ქართველი ხალხის 19 მილიონის გადაყრას, აზნაურიანცისთვის იქ ვარკვლავის გახსნას და “ვინმე მესხი მელექსის” გახსენებას მხოლოდ ის დატვირთვა ჰქონდა, სააკაშვილს (საქართველოს საბოლოო დაშლის გეგმის მიხედვით) მსოფლიოსთვის დაედასტურებინა, რომ ჯერ ერთი, ჯავახეთი სომხური მხარეა. მეორეც, რომ აქედან წარმოშობილი “ვინმე მესხი მელექსეც”, როგორც “რაბათის ძირში ფეხადგმული მერაბიშვილი” თავასთავად სომეხი გამოდის. მოსაზრება მომძე სამველ არაპეტიანმაც გაუმყარა: “ახალციხის რაბათის ციხის მფლობელები იყვნენ ქალკედონური ალმსარებლობის სომხებიო”. რა დროსაც რუსთველოლოგები და ენათმეცნიერები “სპარსულად ნათარგმანები” ამბის ისტორიულ ადგილმდებარეობაზე იმტვრევენ თავს, სააკაშვილს ეს უკვე “დაუდგენია”— როსტევანს რაბათის ციხეში უცხოვრია. ნესტან-დარეჯანი კი “ამ ციხეში არ მჯდარა, რადგან ეს ქაჯეთის ციხე არ არის” თურმე. იქნებ სწორედაც არის, რადგან ამ მხარიდან წარმოშობილი არიმანები სწორედაც “ქაჯობენ, ეშმაკობენ, ჭინკობენ და სატანისტობენ”, როგორც საქართველოში, ისე მთელს მსოფლიოში?! გორიდან (სომხურად, „არა“) ბაბუამისის წარმოშობისა და იქ ციხე-სიმაგრის აშენების სურვილიც არ დამალა. გორიც სომხური ყოფილა, რადგან სააკაშვილის ბაბუას უცხოვრია იქ. სააკაშვილის “რუსთველოლოგიური წიაღსვლების” განხილვისა და ბიბლიური პარალელებისას რატომღაც არ აღნიშნავენ, რომ ბიბლიაში ნახსენებ ანტიქრისტეს სახელწოდებებიდან — ლუციფერი, სატანა, ბეჰემოთი და არიმანი, (იგივე არმენი) უკანასკნელი პირდაპირ კავშირშია არმენებთან. თავადაც და მსოფლიოც მათ არმენებს უწოდებენ. სომხები კი ინდოევროპელ, ჩვ.წ. აღ-მდე VII საუკუნეში, ურარტუს მახლობლად დასახლებულ ტომებს დაარქვეს ქალდეველი შუმერების მემკვიდრე ქართველებმა. უცხო მიწა-წყალზე დასახლებულ ტომებს კი, (რამდენადაც თავისი არაფერი გააჩნდათ), ხან ქალდეურ შუმერებს (საქართველოს), ხან კაბადოკიას, ხანაც მეზობელ სახელმწიფოებს ტაცებდნენ დროებით ტერიტორიებს, ენასა და კულტურას. ამგვარი მტაცებლური პერიოდი იყო “ტიგრან დიდის” მეფობისას დროებით შექმნილი “დიდი არმენიის” მოკლე ხანა. რის შემდეგა, ყველა სახელმწიფომ დაიბრუნა ჩამოსახლებული არმენებისგან მიტაცებული ისტორიული მიწები. სომხებად წოდებული არმენები კი დღემდე არარსებულ “დიდ არმენიას” მისტირიან და გავლენიანი ლობის მეშვეობით ცდილობენ საქართველოსთვის იმ ისტორიული მიწა-წყლის წართმევას, რაც მათი არასდროს ყოფილა და ვერც ვერასდროს გახდება. თავად არმენებად წოდებული სომხები კი, რომ არა მეზობელი ქრისტიანი სახელმწიფოების მფარველი დავით აღმაშენებელი — საერთოდ გაქრებოდნენ დედამიწიდან. მათ, სამწუხაროდ, საქართველოს საწინააღმდეგოდ არაერთხელ შეუკრავთ პირი ირანთან და სხვა დამპყრობთან, რათა მათი კელგანწყობის მოპოვებით, საქართველოსთვის წართმიათ და სომხეთისთვის მიეერთებინათ ქართული მიწები. ამიერკავკასიიდან საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების გამოყოფამ და საზღვრების დადგენამ, ამ არმენების ამ სურვილს გარკვეული დროით წერტილი დაუსვა. თუმცა არიმანის მემკვიდრე დაშნაკებს “დიდი არმენიის” აღდგენის სანუკვარ ოცნებაზე ფიქრი არასდროს შეუწყვეტიათ. მართლმადიდებლური რუსეთის გავლენის საქართველოზე შესუსტებასა და აშშ-ს გავლენის გავრცელებაზე ყველაზე ხელსაყრელი საშუალება კი სომხური ლობის მეშვეობით (რუსულისაც და ამერიკულისაც) ხელისუფლებაში 90-იანი წლებიდან არაქართველი და არმენული ფესვების ადამიანთა მოყვანა უნდა გამხდარიყო. მაკკეინის ფონდის დაფინანსებულ “ფერადოვანი რევოლუციების” მაისურებზე “კმარა” და “პორას” გარდა, ყირგიზეთს, უკრაინას, საქართველოს, აზერბაიჯანისა და რუსეთის გასწვრივ ეწერა: “ტო ბე დონე” - “უნდა შესრულდეს”. არ ეწერა მხოლოდ არმენია. ანუ არმენიაში ეს რევოლუცია არ იგეგმებოდა. ანტიქრისტეს ტახტის გასამზადებლად განკუთვნილი გლობალიზაციის პროცესიც, ყველა ტრადციული რელიგიის, განსაკუთრებით კი ფარისეველ-მწიგნობართათვის მიუღებელ მართლმადიდებლობასთან ბრძოლას რომ გულისხმობს — დღეს დაფარული აღარაა. ირანთან მოსალოდნელი ესკალაციის პირობებში კი გამორცხული არაა, (დიდი ხნის ოცნების ახდენის გამო), არმენები რუსეთის ზურგით და მათი ინტერესებისთვის ახლაც ძველ მოკავშირეს — ირანს გაურიგდნენ. ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების ინტერესით (მეფის რუსეთის სასარგებლოდ), მოქმედებდა გენერალი ლაზარევი (ლაზარიანი), როდესაც საქართველოს სამეფოს გაუქმებაში აქტიურ მონაწილეობას პირადად ღებულობდა. უკანასკნელი ქართველი დედოფლის გაუპატიურებაც კი სცადა. გმირმა დედოფალმა კი ის ხანჯალზე წამოაგო. სამწუხაროა, რომ საქართველოში დაბადებული და გაზრდილი არმენული წარმოშობის ადამიანები დღემდე ვერ აცნობიერებენ იმას, რომ საქართველო მათი სამშობლოცაა და არარსებულ “დიდ არმენიაზე” ოცნების ახდენის მიზნით საქართველოსთვის ზურგში ლახვარის ჩაცემა ყოველთვის საზიანოდ უბრუნდებათ. უკვე გაცხადებული ბოლო ჟამის არაერთი ნიშნებისას კი ვის, თუ არა “არიმანის მემკვიდრეებს” უნდა წამოეწყოთ ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს წინააღმდეგ მზაკვრობა. მე-11 საუკუნის შემდგომ, ბიზანტიის მიერ გაუქმებულ “არმენიასაც” ეჩმიადინის საპატრიარქო მართავდა. რელიგიის ანტისახელმწიფოებრივი კანონის მიღებით (სააკაშვილისგან ქართული სამოციქულო ეკლესიის გავლენის შესუსტების შემთხვევაში), სწორედ ეჩმიაძინის საპატრიარქო აიღებს სააკაშვილის მიერ დანაწევრებული და სავარაუდოდ, სომხეთისთვის მიერთებული ჯავახეთის მართვასაც თავზე. ამასობაში კი ქუთაისში გადატანილი “მეორე დედაქალაქით”, გზა იმ თბილისისკენაც ეხსნებათ, რომლის აღებაც არმენებმა ჯერ კიდევ წინა საუკუნის დასაწყისში სცადეს. “ვინმე მესხი მელექსის” გახსენებაც და რაბათის ციხის აღდგენაც, სწორედ ეშმაკეულთა მოციქულების, ნაციონალების საბოლოო გაფართხალებას უნდა ნიშნავდეს. რაც ისევე, როგორც ბიბლიაში დაწერილი ყველა სხვა წინასწარმეტყველება, ბიბლიური ქალდეველი ერის საბოლოო გამარჯვებით დასრულდება. “გამოპრუტინებული” და პუტინის ლანდზე შეშინებული სააკაშვილი კი უფალმა უკვე ისეთ დღეში ჩააგდო, რომ ტაძრის თავზე ჯვარიც თავისი ხელით აღამართვინა. “ჯვარი რომაელებმაც აღმართეს” და ზედ ფარისეველ-მწიგნობარ მღდელმთავართა მოთხოვნით ქრისტეც ავნეს. ამ საშინელ ცოდვას კი მათი შთამომავლობები შეეწირა და დღესაც ეწირება. სააკაშვილსა და მის მამობილ მღვდელმთავრებს აწი ვეღარც ტაძრების აღდგენა (ანუ განადგურება) უშველით და ვეღარც მუხლჩოქვით საქართველოს ყველა ტაძრის შემოვლა. ათონის მთიდანაც მახათას მთაზე დასაბრძანებლად და საქართველოს გადასარჩენად “ღვთისმშობლის პორტაიტის (კარიბჭის) ხატს” ელის სრულიად საქართველო. ჩვენი ქვეყანა დღესაც კი იმ “ორ ზღვას შუა საომარი ლელოა”, რომელზეც მალე ბეთლემის (და არა სხვა) ვარსკვლავი გაბრწყინდება, რადგან „დაწერილ არს, რომ ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ეროდიან მას”.

**ბაია ამაშუკელი**




იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# sporti da politika

„ო, სპორტო, შენ მოითხოვ უმაღლეს ზნეობრიობას, სამართლიანობას, მორალურ სიწმინდეს, მოუსყიდველობას“. ეს სიტყვები ფრანგმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ პიერ დე კუბერტენმა, თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღდგენის ინიციატორმა 1912 წელს, ზუსტად 100 წლის წინ დაწერა. იმ დროს იგი უკვე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი იყო. კუბერტენის „წიგნი“ დღესაც სახელმძღვანელოა მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში.

მცირე რიტორიკული ექსკურსი იმისთვის დაგვჭირდა, რომ საუბედუროდ, დღეს საქართველოში ყველაფერი პოლიტიზირებულია, მათ შორის სპორტი და ოლიმპიური მოძრაობა. ამის დასტურად თუნდაც ტებული არშემდგარი ათლეტებით, ვისაც სპორტულ ასპარეზზე თავი ვერაფრით გამოიჩინა. რა მიზეზით უნდა დაუპირისპირდეს ფიზიკურად სხვადასხვა სახეობის სპორტსმენები ერთმანეთს? შური? ალბათ, გამორიცხული არაფერია, მაგრამ სამწუხაროდ, მთავარი მიზეზი პოლიტიკაა. კი, ბატონო, დაუჭირე მხარი ვისაც გსურს, მაგრამ ფიზიკურად გაუსწორდეს ოპონენტს ვფიქრობ, სპორტსმენის მხრიდან საკუთარ ხალხზე ხელის აღმართვა ამორალურია.

კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი. ერთ-ერთი ზონდერის მამა კანონიერი ქურდიაო, გაახმაურეს ლადო ვარძელაშვილმა კი ეს ჩვეულებრივ ფაქტად მიიღო, მერე რა მოხდაო,




თქვა. ეს მაშინ, როდესაც რიგით ქართველებს უბრალოდ, ქურდებთან ნაცნობობის მიზეზით ზოგს იჭერენ, ზოგს კი სამსახურიდან ათავისუფლებენ. გავიხსენოთ თუნდაც ქართველი ფეხბურთელი, ეროვნული ნაკრების წევრი გიორგი დემეტრაძე, განა ნაცნობობისთვის არ იხდის სასჯელს? სპორტის მინისტრი კი კრიმინალების მეშვეობით ცდილობს მიზნების მიღწევას. განა ორმაგი სტანდარტი არ არის, როდესაც კრიმინალებთან მებრძოლი ხელისუფლების მაღალჩინოსანი მათთან არის დაკავშირებული? თუმცა ამას ვინ დაგიდევთ, წინ არჩევნებია!

დრო კი ულმობლად გარბის. სპორტი, ფაქტობრივად, გაეროს როლშია. დღეს ფუჭად გაფანტული დრო ხვალ-ზეგ შეგვახსენებს თავს, როდესაც საერთაშორისო სარბიელზე ის მოკრძალებული შედეგებიც სანატრელი გაგვიხდება. ხომ არ ჯობია სპორტის მესვეურებმა თავიანთ საქმეს მიხედონ, ხოლო საარჩევნო კომპანიაში მონაწილეობის ასპარეზი პოლიტიკოსებს დაუთმონ? ალბათ, გაცილებით უკეთესი იქნება.

კიდევ ერთი პოლიტიკური ტენდენცია, რომელიც დამკვიდრდა ქართულ სპორტში. ბოლო წლებში ერთგვარ მოდად იქცა უცხოელი მწვრთნელების მოწვევა, თვით ნაკრებ გუნდებშიც. გასაკვირი თითქოს არაფერია, რადგან მსოფლიო პრაქტიკაშია ლეგიონერების ყოლა გუნდებში. მთავარია, მათი კვალიფიკაცია. თუმცა სწორედ მათ პროფესიონალიზმშია პრობლემა. საუბედუროდ, ქართველი სპეციალისტებისადმი უნდობლობას კვლავ პოლიტიკურ შეხედულებებთან, ან ფედერაციების ხელმძღვანელებთან დაპირისპირებასთან მივყევართ. სხვას რას უნდა დავაბრალოთ შოთა ხაბარელის განთავისუფლება და მის მაგივრად ავსტრიელის მოწვევა საქართველოს ნაკრებში? შევადაროთ ამ ორი სპეციალისტების შედეგები. დაბოლოს, ალბათ კარგი იქნება, თუ ის ათლეტები, რომლებიც ზონდერბრიგადებში არიან, დაფიქრდნენ თავიანთ საქციელზე და საკუთარი ხალხის სიყვარული სპორტულ სარბიელზე მოიპოვონ. თორემ ხელისუფლება შეიცვლება და მათ ის შავი ლაქა, რომელსაც თავად იცხებენ, საშვილიშვილოდ დარჩებათ.

წლევანდელი ოლიმპიური თამაშებიც გამოდგება. ქვეყნის ნაკრების წევრს ჯერ აგინებენ, ასპარეზობის შემდეგ კი ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც უპირებენ. თანაც იგივე ოლიმპიური დელეგაციის წევრები! საუბედუროდ, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი დიდხანს დუმდა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, გააკეთა კომენტარი, მაგრამ თავად სპორტსმენს დასდო ბრალი შანტაჟში! „იქ არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარაო“, — ესეც თქვა.

როდესაც სპორტსმენი, ოლიმპიური ნაკრების წევრი, თამაშების არალეგალურად, უცხოელი მეგობრის დახმარებით ტოვებს, ფართო განხილვის საგანი უნდა ყოფილიყო, რიგითი მოვლენა ნამდვილად არ არის! ასე იქნებოდა ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ჩვენთან არა!

ქვეყნის პრეზიდენტმაც ახსენა ლონდონში მომხდარი ფაქტი, მაგრამ სპორტსმენი მასხარად აიგდო. სამართლიანია? ვფიქრობთ, ნამდვილად არა. „სპორტის განვითარება და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და ასე იქნება მომავალშიც“. ეს მიხეილ სააკაშვილის სიტყვებია, რომელიც 2008 წელს პეკინის ოლიმპიადის მონაწილეებთან შეხვედრისას გააკეთა საკუთარ რეზიდენციაში. სინამდვილეში რა ხდება საქართველოში. ხელისუფლება საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს სპორტსმენებს. საუბედუროდ არც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოყენებას ერიდება, იმ სპორტსმენებისა, რომლებიც მოსახლეობის კუმირები უნდა ყოფილიყვნენ სპორტულ არენაზე და არა პოლიტიკურ მუშტი-კრივში.



სამტრედიაში, როგორც ცნობილია, დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატად „ქართული ოცნებიდან“ სახელოვანი ქართველი ფეხბურთელი კახი კალაძეა დასახელებული, რომელიც თავის მშობლიურ ქალაქში წინასაარჩევნო შეხვედრებს მართავს. მის წინააღმდეგ თბილისიდან „დესანტი“ გაემგზავრა საქართველოს სპორტის მინისტრის ლადო ვარძელაშვილის მეთაურობით. როგორც შევიტყვეთ, „ზონდერ-დესანტების“ რაზმი ძირითადად სპორტსმენებით არის დაკომპლექ-

**გია ბურდული**

# iZulebiT dasaqmeba _ ucxoelebs samsaxurSi Rebuloben, qarTvelebi sazRvargareT garbian

ხელისუფლებას მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ ქვეყანაში ტოტალური უმუშევრობაა. დასაქმების სამინისტროც კი შეიქმნეს 6 მლნ. ბიუჯეტით, მაგრამ საიდან დაფინანსდება ახალი სამინისტრო — უცნობია. რადგანაც სახელმწიფო ხაზინას ამ მიზნით თანხები გამოყოფილი არ აქვს.

## სამინისტროს მუშაობა იძულებით დაიწყო

დასაქმების სამინისტროს დროულად უნდა ეჩვენებინა შედეგები. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს „ნაცების მიერ“ დაშინებულ მცირე ბიზნესსა და მეწარმეებს მიადგნენ. ინდმეწარმეებს აიძულებენ სამუშაოდ მიიღონ დაუსაქმებლები.

როგორც „თავისუფალ ასოციაციათა კავშირში“ აცხადებენ, გამოკვლევებით ცხადი ხდება, თუ რა მძიმე შრომით და მორალურ პირობებში უხდებათ მუშაობა იძულებით თავსმოხვეულებს. მათ სჯიან უმნიშვნელოლო დარღვევებისათვის (5-წთიანი დაგვიანება, ადრე წასვლა). ამ დარღვევებისათვის ხელფასებიდან აჭრიან თანხებს. მათთვის გაიგივებულია არასაპატიო და საპატიო გაცდენები. ახალმოსულებს სხვა თანამშრომლებისაგან განსხვავებით არ უნაზღაურებენ სამუშაო საათების გადამეტებით ნამუშევარს. იგივე ხდება დასვენების (ალბათ, მომავალში სადღესასწაულო) დღეებში ნამუშევარის ანაზღაურების დროსაც. ახლადდასაქმებულზე თანხის დაზოგვის მიზნით უფროსობა მათ ცივ, ბნელ, ნესტიან ოთახებში ამუშავებს. ძირითად დასაქმებულებთან შედარებით პრობლემებია ხელფასის, ნამუშევრების ანაზღაურებაშიც. ახლადდასაქმებულს ოდნავ პრეტენზიის გამოთქმის შემთხვევაში, პრეტენზიულს პასუხობენ — არ მოგწონს, წადი.




იძულებით თავსმოხვეულ დასაქმებულებს ხელისუფლების შიშით უფროსობა პირდაპირ ვერ უთითებს კარისკენ, მაგრამ ისეთ პირობებს უქმნიან, რომ თვითონ დაწერონ განცხადება გათავისუფლებაზე.

ნაცები დაუსაქმებლობაზე „გულშემოყრილნი“ საუბრობენ. თუმცა არასამთავრობოების შეკითხვას, თუ რა ბედი ელით მათ დასაქმებას, დუმილით უვლიან გვერდს.

მათი დამოკიდებულება კარგად წარმოჩინდა, როდესაც „უმუშევართა კავშირმა“ განცხადება შეიტანა. ცსკო-ში (სარეფერენდუმო) რათა მიეცათ მისთვის უფლება ჩაეტარებინათ რეფერენდუმი უმუშევართათვის შემწეობის გაცემის აუცილებლობის თაობაზე. ვარდ-ეკლოსნებით დაკომპლექტებულმა ცსკომ უარით უპასუხა —„სარეფერენდუმო საკითხი (უმუშევართათვის შემწეობის გაცემა) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს არ წარმოადგენსო.

## უცხოელებს ასაქმებენ ქართველები საზღვარგარეთ ლუკმა-პურის საშოვნელად გარბიან

მაშინ, როდესაც ქვეყანაში მასობრივი უმუშევრობაა, შრომისუნარიანი ახალგაზრდობის, სპეციალისტების დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გარბის. სააკაშვილს საეჭვო გარიგებების საფუძველზე ჩვენში გრანდიოზულ მნიშვნელობებს უცხოურ კომპანიებს აწარმოებინებს. მათაც სამუშაოდ თავისი ხალხი ჩამოჰყავთ. არ არსებობს არავითარი წინაპირობა, შეთანხმება ადგილობრივების დასაქმებისა.

„თბილისის იუსტიციის სახლს“ ჩინური კომპანია „ხუან ჩუანლიმიტედ კომპანი“ აშენებს. ჩამოსულია 150 ჩინელი. ერთ ამდენს კიდევ ელოდებიან. საქართველოს 50 მოქალაქეა დასაქმებული. ჩინელ მუშას 70 ლარს უხდიან. ქართველს 30. რეესტრში არ არსებობს არავითარი ინფორმაცია მშენებლობის შესახებ. მიუღწეველია ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა გზით მოიპოვა ჩინურმა კომპანიამ მშენებლობის უფლება. თბილისის შემოვლითი გზის ტენდერი კომპანია „ინჟმშენმა“ მოპოვა. მან სამუშაოების შესასრულებლად ჩამოიყვანა „ჩინეთის რკინიგზის 23-ე მუდმივმოქმედი ფილიალი“. მას ჩამოჰყვა ჩინელი მუშახელიც. სამუშაოებს მხოლოდ 17 ქართველი (მუშა) ასრულებს. ქართველებს მძიმე სამუშაო პირობები აქვთ. ჩინელის ყოველდღიური ხელფასი 80 ლარია, ჩვენი მოქალაქისა კი 23. არაკვალიფიციურად ნაწარმოები სამუშაოების გამო გვირაბი 2-ჯერ ჩამოინგრა. ჩინური კომპანიის შესახებ „ინჟმშენში“ ინფორმაციას მკაცრად ასაიდუმლოებენ.

ქუთაისში პარლამენტის შენობას, ძირითადად, ესპანელები აშენებდნენ და აშენებენ, მათთან შედარებით მცირერიცხოვან ქართველ მუშებს გაცილებით ნაკლები ხელფასები და მძიმე სამუშაო აქვთ. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაშიც მუშა-ხელში შეინიშნება ინდოელთა სიჭარბე. იქაც ქართველები ნაკლებად ანაზღაურებადი ხალხია.

უმუშევართა კავშირის განმარტებით, ხელისუფლება ყოველივეს საქმის კურსშია. თავის დროზე მას პრობლემაზე რეაგირება არ მოუხდენია. მაგრამ ახლა ხომ არჩევნებია კარს მომდგარი?!

**ზაზა ბილიხოძე**



# gugu l is bude mudam ca r ie l ia...

მას დღემდე ზარავს სამშობიარო სახლის დანახვა. გულმშვიდად ვერც ჩვილებს უყურებს, რადგან ყველაზე მწარე ხვედრი ერგო ამქვეყნად — შვილის უარმყოფელი დედა ჰქვია. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, მისთვის არც არაფერი უკითხავთ, იმის ღირსადაც კი არ ჩაუთვლიათ, რომ არჩევანის უფლება მიეცათ: წყევლა-კრულვით არ იღლებოდა გაკაპასებული დედა, პირგამეხებული იდგა მამა, წარბშეკრული და ამრეზილი იყო ახალგათხოვილი უფროსი დაიკო — არ არსებობდა ადამიანი, რომელიც დალის თანაუგრძნობდა; არა, შეიძლება არსებობდა კიდეც, მაგრამ დახმარებას ვერ მოახერხებდა — ვერ შეცვლიდა განაჩენს, რომელიც შეურაცხყოფილმა ოჯახმა თავის შვილსა და ახლადდაბადებულ შვილიშვილს გამოუტანა, განაჩენი კი ულმობელი იყო: დედას არ ჰქონდა დედობის უფლება, „უკანონო“ ბავშვს კი — სიცოცხლის, მაგრამ ვინაიდან საკმაოდ გვიან შეიტყვეს მისი არსებობის შესახებ და მაინც მოევლინა ქვეყანას, დაბადებისთანავე უნდა მოეკვეთათ.

მოკვეთეს კიდეც — უშვილო წყვილებს რა გამოლევს და ახლაც გამოჩნდა კეთილი ხალხი, რომელმაც ბიჭუნა იშვილა.

იმ დღიდან დამთავრდა დალისთვის სიცოცხლე და დაიწყო არსებობა. როცა მკერდში მოწოლილმა რძემ შეაწუხა და ტკივილი იგრძნო, მიხვდა, როგორ უნდა ეპოვნა გამოსავალი: ტკივილს კი არ უნდა გაქცეოდა, არამედ პირიქით, უნდა ეძებნა; ფიზიკურ ტანჯვას მისი სხეული უნდა ეწამებინა, მორალურს კი — სული, იქნებ ასე მაინც დაესაჯა საკუთარი თავი. თვითმკვლელობა? სასოწარკვეთილმა ამაზეც იფიქრა, მაგრამ, თურმე. სიკვდილი ზედმეტი ფუფუნება იყო მისთვის. ერთხელ, როცა ხმამაღლა წამოსცდა, — მეტი აღარ შემიძლია, თავს მოვიკლავ და დავისვენებო, — დედამ გველივით ჩაუსისინა, — ჯერ ვალი გადაიხადე და მერე როგორც გენებოს, ისე მოიქეციო. — რა ვალზე ლაპარაკობ? — გაოგნდა დალი — ვალი, რომელიც ოჯახისა გმართებს. ჩვენ არაფერი დაგვიკლია შენთვის. მთელმა სოფელმა იცის, რომ პატიოსანი მშობლების პატიოსანი შვილი ხარ. ჰო, ხალხის თვალში პატიოსანი ხარ, ყველანაირად ვეცადეთ, არავის გაეგო შენი უნამუსობის ამბავი და თავი არ მოგვჭროდა. ღმერთმა ხომ იცის, ამას რამდენი ძალისხმევა დასჭირდა, თითქმის მთელი წლით გადავიხვეწეთ აქედან, მუცელგაბერილი რომ არავის დაენახე. მეტი რა გვექნა? კი, შვილის მაგივრად გველის წიწილი გაგზარდეთ, მაგრამ ხალხის თვალში ჯერ ისევ წესიერი ქალი ხარ; ჰოდა, შეიფერე: გათხოვდი, ოჯახი შექმენი, ქმარ-შვილს ემსახურე! სიკვდილის უფლება რომ არა გაქვს, არ იცი? შენ კი დაისვენებ, მაგრამ ჩვენ რა წყალში გადავვარდეთ? სოფელს პირს ვერ აუკრავ, ათას რამეს იტყვიან და ისე გაგვაშავებენ, მტკვარიც ვერ გაგვრეცხავს.

ასე და ამგვარად, დალი, რომელსაც ჯერ სიკვდილის უფლება არ ჰქონდა, ვალის გადახდას შეუდგა: უპირველეს ყოვლისა, აგუზგუზებულ ბუხარში შეუძახა იმ კაცის ფოტოები, რომელიც სიყვარულს ეფიცებოდა და მერე ფეხმძიმე მიატოვა, დაწვა დღიური — 17 წლის გულუბრყვილო გოგოს გულის მესაიდუმლე, არნახული ნებისყოფა გამოიჩინა და სტუდენტიც გახდა...

თბილისს დალის წარსულისთვის არ ეცალა; არც არაფერი უკვირდა და არც არაფერი ედარდებოდა. არც ახლადგამომცხვარ სტუდენტს ჰქონდა იმის ხალისი, რომ თბილისელობა შეერგო, მეგობრები შეეძინა და გალაღებულიყო — ნათესავების მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრობდა, თავაუღებლად მეცადინეობდა და ვერც კი ამჩნევდა, როგორ გარბოდა დრო.

თვალისდახამხამებაში ჩათავდა სტუდენტობა — „ვალი“ ნაწილობრივ გადახდილი იყო, ერთ მშვენიერ დღეს კი მთლიანად გადახდის ჟამიც დადგა — ახლა ოჯახის მძიმე უღელი უნდა დაედგა და ერთგულად ეტარებინა. მშობლების მიერ გამოძებნილ საქმროს ცუდი ნამდვილად არ ეთქმოდა, თუმცა დალი არც ცდილა მის კარგად გაცნობას, ხმაც არ ამოუღია, ისე შეეგუა ბედს — არც ახლა ჰქონდა არჩევანის უფლება...

ახალგაზრდები თბილისში დასახლდნენ და დალი ჩვეულებრივ დიასახლისად, მეუღლედ იქცა, ყოველდღიური საზრუნავით დატვირთულს, თითქოს, არც არაფერი უხაროდა და არც არაფერი სწყინდა. ქმარს თავიდან, ცოტა არ იყოს, უკვირდა მისი ინდიფერენტულობა, მერე კი შეეჩვია, მოსწონდა კიდეც ცოლის უპრეტენზიო ხასიათი.

ქალიშვილის შეძენამ გამოაცოცხლა ქალი, თვალებში სხივი ჩაუდგა და ფანატიკოს დედად იქცა. ხომ დაამტკიცა, რომ სამაგალითო მეუღლე და დიასახლისი იყო, ახლა ისიც უნდა დაემტკიცებინა, რომ სამაგალითო დედობა შეეძლო — შეძლო კიდეც: ეკა ისე იზრდებოდა, დალისაგან დამალული არაფერი ჰქონია. სანუკვარი ოცნება — შვილს მარტო მშობელი კი არა, უფროსი მეგობარი დაენახა მასში — ასრულებული იყო. სწორედ ასე წარმოედგინა დედაშვილობა და ის, რაც ოდესღაც თავად მას არ ეღირსა, ახლა რეალობად იქცა.

ერთ მშვენიერ დღეს დიდის ამბით მიახარა ეკამ, — ხვალ, ჩემს დაბადების დღეზე, „ისიც“ იქნებაო. ღამით მოუსვენრად ეძინა დალის, ერთი სული ჰქონდა, თავისი 16 წლის გოგონას რჩეული გაეცნო. საღამოს, როცა სტუმრები შეიკრიბნენ და ეკა მაღალ, შავგვრემან ბიჭს შემოუძღვა, ქალს ფერმა გადაჰკრა. — გაიცანი, ეს გოჩაა, — უთხრა შვილმა. ბიჭს თვალები უცინოდა. იმდენად ახლობელი იყო ეს ირიბად გაჭრილი ჭრელი თვალები, რომ დალის თავბრუ დაეხვა. — სასიამოვნოა, მობრძანდით. — ჩაიბუტბუტა ნირწამხდარმა, გოჩას ხელი ჩამოართვა, მირთმეული თაიგული გულზე მიიხუტა და ქმარს ისე გადახედა, თითქოს მისგან ელოდა შველას. სტუმრები გვიან დაიშალნენ. დარეტიანებული ალაგებდა სუფრას და თვალწინ გოჩა ედგა — მაღალი, მოხდენილი, მოცინარი თვალებით. მტანჯველ მოლოდინში გაირბინა რამდენიმე დღემ; გრძნობდა, რომ ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა და რეალობის შეგრძნებას ჰკარგავდა. ვერავის გაანდო თავისი გასაჭირი, მხოლოდ ის მოახერხა, რომ შვილს ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა ბიჭის შესახებ. ეკას მონაყოლმა უარესად ააფორიაქა: გოჩა ექვსი წლით უფროსი იყო მის შვილზე, ინსტიტუტი უკვე დაემთავრებინა, არცთუ ახალგაზრდა მშობლები ჰყავდა. — და-ძმა ჰყავს? — ხავსს ეჭიდებოდა დალი. — არა, დედისერთაა, გვიან შეეძინათ და მშობლები ზედ ჰყვებიან, — მიიღო პასუხი. მთავარი კი წინ იყო: ეკას და გოჩას დაქორწინება სურდათ. — აი, ჩავაბარებ წელს უნივერსიტეტში და მაშინვე ხელს მოვაწერთ. დე, რომ იცოდე, როგორ მიყვარს; ნახავ, თქვენც აუცილებლად შეგიყვარდებათ... — ჭიკჭიკებდა სახეგაბრწყინებული გოგო. აქ კი ქალს მოთმინების ძაფი გაუწყდა და საბოლოოდ უმტყუნა ნერვებმა. — შენ ამას არ იზამ, არასოდეს გახდები მისი ცოლი! — დაუკივლა შვილს და თავის ოთახში შეკეტვა დააპირა, მაგრამ ეკამ არ მისცა ამის საშუალება, ფეხდაფეხ მიჰყვა და ახსნა-განმარტება მოსთხოვა.



რა უნდა აეხსნა უბედურ ქალს? როგორ უნდა მოეყოლა ძველი ისტორია, რომლის დაწყებასაც ამაოდ ცდილობდა ამდენი ხანი?

ალბათ, ზედმეტია იმის გადმოცემა, რა სცენები იმართებოდა ოჯახში: ერთი მხრივ, ეკა, რომელსაც ვერ აეხსნა დედის მოულოდნელი გაჯიქების მიზეზი, მეორე მხრივ კი სასოწარკვეთილი, განსჯის უნარდაკარგული ქალი, რომელმაც აღარ იცოდა, შვილისთვის როგორ აერიდებინა ამხელა ცოდვა — საკუთარ ძმაზე დაქორწინება. დალის საქციელი ქმარსაც უკვირდა, არაფერი ჰქონდა გოჩას საწინააღმდეგო, მის მშობლებსაც იცნობდა შორიდან და პატივსაცემ ხალხად მიაჩნდა, ვერ გაეგო, რა არ მოსწონდა დალის...

მსგავსი ტრაგედიების ხილვას ტელესერიალებში მივეჩვიეთ, თორემ ცხოვრებაში ღმერთმა ყველა დაგვიფაროს ამისაგან! აქ ვერც „გადართავ“ და ვერც „გამორთავ“, ერთადერთი არხია და არც „სტოპკადრი“ არსებობს — სიცრუეზე აგებული ცხოვრება ინგრევა და ნანგრევების ქვეშ ჰყვები, ფასადის შელამაზება აღარაფერს შველის... დალიმ, სხვა გამოსავალი რომ ვერ მონახა, გოჩას მშობლებს მიაკითხა — მიდიოდა და ფეხები უკან რჩებოდა; იცოდა, აღსარება უნდა ეთქვა — სხვაგვარად ვერ ახსნიდა თავის უარს. საბედნიეროდ, გოჩა შინ არ დახვდა. ზარი დარეკა. კარი გაუღეს. დალიმ სცადა თავის ხელში აყვანა, მაგრამ ეს მის ძალებს აღემატებოდა და როგორც კი მასპინძლების სათნო სახეებს შეხედა, შეგუბებულმა ცრემლებმა გზა იპოვეს... გაოგნებული ცოლ-ქმარი დიდხანს აწყნარებდა ისტერიკაში ჩავარდნილ ქალს, მერე კი მისი აკანკალებული ხმით მონათხრობი ამბავი მოისმინეს... ახლა უკვე სამი სასოწარკვეთილი ადამიანი იჯდა სასტუმრო ოთახში. ახალგაზრდებისთვის სიმართლის თქმა იყო საჭირო, რა რეაქცია ექნებოდათ მათ? თანაც, გოჩამ არ იცოდა, რომ ნაშვილები იყო, როგორ შეხვდებოდა ამ ამბავს? ვითომ იოლია, დაკარგო შეყვარებული და იმავდროულად გააცნობიერო, რომ ბიოლოგიური მშობლები სხვა გყავს, გამზრდელი კი — სხვა?

ამბობენ, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობსო. არ ვიცი, შეიძლება ასეც იყოს; გააჩნია, ვინ რას მიიჩნევს გამოსავლად და რადგანაც ამდენი აზრია, რამდენი ადამიანიცაა, თქვენი ნებართვით, ამ ისტორიას არ დავასრულებ. ალბათ, თითოეული თქვენგანი საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე წარმოიდგენს ფინალს. მე კი, ჩემდა თავად, ვისურვებდი, რომ არასოდეს აღმოვჩენილიყავით მსგავს სიტუაციაში და წარსულის ნანგრევებში არ ჩავმარხულიყავით. სამწუხაროდ, ბევრი ქალი იზიარებს დალის ბედს — ნურავის განვსჯით! უბრალოდ, გვახსოვდეს, რომ გუგულის ბუდე მუდამ ცარიელია და მისი ბარტყები მუდამ სხვის ბუდეში იჩეკებიან. გუგულისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ადამიანისთვის კი... იქნებ, სანამ უმწეო ჩვილებს „კანონიერად“ და „უკანონოდ“ დავყოფდეთ, იმაზედაც დავფიქრებულიყავით, გვაქვს კი ადამიანების ასე დახარისხების უფლება?

**ნინო სიხარულიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# რატომ ჭირვეულობს მოზარდი

გარდატეხის ასაკში ორგანიზმში მიმდინარე რთული ანატომიურ-ფუნქციური ცვლილებები ადეკვატურად მოზარდის ფსიქოემოციურ სფეროზეც ისახება. ამ ასაკში ისინი ყველაზე მწვავედ განიცდიან იმას, რომ საკუთარი მისწრაფებები ჰარმონიულად ვერ ერწყმის რეალობას. დაუძლეველი წინააღმდეგობანი მათში გარდატეხის ასაკის ნევროზის წინაპირობას ქმნის. ფსიქოემოციური ძვრები განსაკუთრებული სიმწვავით მიმდინარეობს დედისერთა ბავშვებში — მათთვის ლამის ტრაგედიის ტოლფასია იმის აღმოჩენა, რომ ოჯახში ერთადერთნი და განუმეორებელნი, მეგობართა შორის ასეთივე ადგილს ვერ იმკვიდრებენ.

**დამახასიათებელი ნიშნები**

ყველაზე ხშირად ეს ზოგადი სისუსტე, ანუ ასთენიური სინდრომია, რომელიც გონებრივი და ფიზიკური შრომისას მომატებულ დაღლილობაში, ფიზიკური და ფსიქიკური დისკომფორტის მუდმივ შეგრძნებაში გამოიხატება.

**ასთენიური სინდრომი**

მოზარდებს, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, გუნება ხშირად და სწრაფად ეცვლებათ, მტირალა გუნება-განწყობილება უეფლებათ, უქვეითდებათ შრომის უნარი და ყურადღების კონცენტრაცია. ზოგნი მეხსიერების დაქვეითებასაც უჩივიან. შესაბამისად, კლებულობს სკოლაში აკადემიური მოსწრების დონე, რაც თვითდამკვიდრების მოსურნე მოზარდს კიდევ უფრო ურთულებს მდგომარეობას — მასში ბადებს პესიმიზმის, არასრულფასოვნების შეგრძნებას, ურთულებს თანატოლებთან და ახლობლებთან ურთიერთობებს.

**თავის ტკივილი**

ბევრი მოზარდი უჩივის თავის ტკივილს, რომელიც მუდმივ ხასიათს ატარებს და გარემო ფაქტორებზეა დამოკიდებული. იგი განსხვავებული ლოკალიზაციისაა: შუბლი, წარბი, კეფა, მთელი თავი. ტკივილი, ხასიათის მიხედვით, არის წნევითი, მოპულსირე და მქაჩავი.

**მომატებული მგრძნობელობა გარემო გამღიზიანებლების მიმართ**

მოზარდები ძნელად იტანენ ხმაურს, სკოლის ზარი უსიამოვნო შეგრძნებებს იწვევს, ზედმეტ მგრძნობელობას ამჟღავნებენ სინათლის, სუნის, შეხებისადმი. ამ ფაქტორთა გავლენით არამარტო თავის ტკივილი უძლიერდებათ, არამედ ოფლიანდებიან და სისხლძარღვოვანი რეაქციები უვითარდებათ.

**ძილის დარღვევა**

ძილის დრო მოკლდება და იგი მშფოთვარე ხდება. ერთნი სწრაფად იძინებენ, მაგრამ მალევე იღვიძებენ და უძილობა აწუხებთ, მეორენი კი, პირიქით, ძნელად იძინებენ და გამოუძინებლები დგებიან. დღის პირველ ნახევარში მოთენთილები არიან და მხოლოდ მეორე ნახევარში ახერხებენ მობილიზებას. ბევრი მათგანი ძილში ლაპარაკობს, თუმცა გამოღვიძების შემდეგ არ ახსოვთ, რაზე საუბრობდნენ.

ხშირია ძილში სიარული, ზოგი მათგანი დგება, მაგიდაზე ნივთებს ალაგებს, ჩანთაში აწყობს, რთულ მოძრაობებს ასრულებს, ზოგიერთს აღენიშნება ღამით შარდის შეუკავებლობა, რაც განსაკუთრებით ამძიმებს ისედაც არცთუ სახარბიელო მდგომარეობას.



**გულსისხლძარღოვანი მოშლილობანი**

გარდატეხის ასაკში ხშირია გულის არეში ტკივილი, არცთუ იშვიათად, აღმოცენებული ტკივილი მართლაც ემთხვევა ფუნქციურ ცვლილებებს გულის არეში — საყმაწვლო არითმიას, ხშირდება მაჯისცემა, გულში იმატებს ფუნქციური ხმაური, არტერიული წნევა ხშირად იცვლება, ყოველივე იწვევს განგაშის შეგრძნებას და ქმნის იმის ნიადაგს, რომ მოზარდს სიკვდილის ან სხვა სახის ფობია უჩნდება. ამ დროს მშობლები განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ და მოზარდის თანდასწრებით კატეგორიულად არ ისაუბრონ გულის დაავადებებზე და ამ მიზეზით გამოწვეულ სიკვდილზე.

**ცვლილებები საჭმლის მომნელებელ სისტემაში**

ხშირია საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სეკრეტორული და მოტორული ფუნქციის დარღვევები, რაც ვლინდება მუცლის არეში ტკივილით, მადის დაქვეითებით, დეფეკაციის დარღვევით. თავს იჩენს გარდატეხის ასაკის ანორექსია, რომელიც განსაკუთრებით ხშირია გოგონებში — ისინი თავს მსუქან და არასრულფასოვან ადამიანებად მიიჩნევენ და თითქმის უარს ამბობენ საკვებზე. გარკვეული პერიოდის შემდეგ ჭამა საერთოდ აღარ შეუძლიათ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ჭამის სურვილი აქვს — ასეთებს სპეციალური მკურნალობა ესაჭიროებათ.

ხელსაყრელი გარემოს შექმნით მოზარდები სხვების ჩაურევლადთავს აღწევენ ნევროზულ მდგომარეობას, თუმცა გარდატეხის ასაკის დასრულების შემდეგ (18-20 წელი), თუ იგივე ცვლილებები ნარჩუნდება, აუცილებელია კვალიფიციური სამედიცინო ჩარევა.

**ისტერია და აკვიატებული აზრები**

ზოგჯერ, ყურადღების მიქცევის მიზნით, მოზარდებში ხშირია ისტერიული შეტევები: ყვირიან განრისხებულნი, იხევენ ტანზე ტანსაცმელს, იგლეჯენ თმას, ამტვრევენ ჭურჭელს, იკბენენ ხელებს, იფურთხებიან, თავს ესხმიან სრულიად უდანაშაულოთ. შეტევის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მაყურებელთა რაოდენობასა და მათ რეაქციაზე, რაც მეტი მაყურებელია და თანაგრძნობას გრძნობს მათი მხრიდან, მით ხანგრძლივია შეტევა, რომლის შემდეგაც აღარ იძინებენ, იწყებენ ჩივილსა და მოთქმა-გოდებას.

შეტევისას ზოგიერთი განმეორებით მოძრაობებს რიტმულად ასრულებს, ისტერიული მოზარდებისთვის დამახასიათებელია დამბლა, კონტრაქტურები; მაგალითად, მათ შეუძლიათ საწოლში ფეხების მოძრაობა, მაგრამ ვერ დგებიან და ვერც დადიან. უჩნდებათ ვეგეტატიური მოშლილობანი — ბრონქოსპაზმი, რომლის დროსაც არ შეუძლიათ საუბარი, ყლაპვა, აქვთ კრუნჩხვითი ხველა, ღებინება, ჰაერის უკმარისობა, ასთმური შეტევები, სხეულის ტემპერატურის მატება და სხვა.

ირღვევა მეტყველება — ხშირია ენის გამუდმებული ბორძიკი, რომელიც განსხვავდება სხვა ფორმებისგან, ისტერიული მუტიზმი — მეტყველების სრული უქონლობა ან ნაწილობრივი, მოზარდი მუნჯდება ან შერჩევითად საუბრობს.

ხშირია აკვიატებული აზრებით გამოწვეული პრობლემებიც, როდესაც მოზარდი აიკვიატებს არარეალურ და აუსრულებელ სურვილს და მისი შეუსრულებლობა მასში უკვე დიდ ფსიქოემოციურ განცდა იწვევს.

გარდატეხის ასაკის ნევროზი ხშირად არასწორი აღზრდის შედეგია, მისი მასტიმულებლები ზოგჯერ თავად მოზრდილები არიან — მშობლები, მასწავლებლები, ოჯახის სხვა წევრები, რომლებიც უყრუებენ მოზარდის თავისებურებებს და მათ ანგარიშს არ უწევენ. შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი სწორედ ამ ასაკის ფსიქო-ფიზიოლოგიურ თავისებურებათა ცოდნა და მათი გათვალისწინებაა.

# საკურორტო სეზონის შემდეგომ დაავადება

საკურორტო რომანების შემდგომ უროგენიტალური ქლამიდიოზით მოავადე ადამიანთა რიცხვი ერთიათად მატულობს, იგი ხომ სქესობრივი გზით გადამდები ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. მას მიკროორგანიზმი ქლამიდია იწვევს და ძირითადად ახალგაზრდებში გვხვდება. დღეს ქლამიდიოზით სქესობრივ ურთიერთობაში მყოფ ადამიანთა 5-10 პროცენტია დაავადებული.

დაინფიცირება ხდება როგორც ჩვეულებრივი, ისე გაუკუღმართებული (ანალური, ორალური) სქესობრივი ურთიერთობისას. ერთჯერადი კონტაქტისას დაინფიცირების ხარისხი 50 პროცენტს შეადგენს.

დასნებოვნება საყოფაცხოვრებო გზით ნაკლებრეალურია — ქლამიდიები ორგანიზმის გარეშე სწრაფად იღუპებიან, ინფიცირებისთვის მიკრობების საკმაო რაოდენობის საყოფაცხოვრებო გზით მოხვედრა ვერ ხდება, ასე რომ, დაინფიცირება საპირფარეშოში, საცურაო აუზებში, აბანოებში, საერთო ჭურჭლითა და პირსახოცის გამოყენებით არ ხდება.

დაავადების ინკუბაციური პერიოდი 1-იდან 3 კვირამდეა, მისთვის დამახასიათებელი ნიშნები ინფიცირებიდან სწორედ ამ პერიოდის გავლის შემდგომ იჩენს თავს..

**როგორ გამოვიცნოთ დაავადება**

დაავადება საკმაოდ ხშირად მიმდინარეობს უსიმპტომოდ ან მინიმალური გამოვლინებებით. იგი აბსოლუტურად ფარულად მიმდინარეობს მამაკაცთა 46, ხოლო ქალთა 67 პროცენტში.



**ქალებს დაავადებისას აღენიშნებათ:**

— გამონადენი საშოდან ლორწოვანი ან ლორწოვან-ჩირქოვანი, უსიამოვნო სუნით და მოყვითალო ფერით.

— შარდვისას არცთუ ძლიერი ტკივილები გარეთა და შიგნითა სასქესო ორგანოებში, ქავილი და წვა.

— მუცლის ქვედა არეში ტკივილი.

— თეთრადშლის გაძლიერება მენსტრუაციის წინ, მცირე სისხლდენები.

— ზოგადი სისუსტე და ტემპერატურის მატება, რაც ინტოქსიკაციის ნიშნებია.

**მამაკაცებს ახასიათებთ:**

— დასაწყისში ვლინდება, როგორც საშარდე გზების გახანგრძლივებული მსუბუქი ანთება — ურეთრიტი, რომელიც რამდენიმე თვე გრძელდება.

— ლორწოვანი ან ლორწოვნ-ჩირქოვანი გამონადენი.

— შარდვისას ქავილი და წვა.

— არცთუ ძლიერი ტკივილი წელის მიდამოებში, შარდსადენსა და სათესლეში.

— შესაძლებელია ტემპერატურის მატება 37 გრადუსამდე.

— ზოგადი სისუსტე და შარდის ამღვრევა, მათში ჩირქოვანი ძაფების არსებობა, ზოგჯერ სისხლიანი გამონადენი შარდვის ან ეაკულაციის შემდეგ.

ქლამიდიოზს ახასიათებს ე.წ. ხანგრძლივი მტარებლობა, იმუნური სისტემა თრგუნავს მათ და ორგანიზმში ქლამიდიების არსებობაზე არაფერი მიუთითებს, რადგან კლინიკური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევებისას დასაწყისში დაზიანების ნიშნები არ ვლინდება, მხოლოდ სპეციფიკური კვლევებითაა შესაძლებელი ქლამიდიების აღმოჩენა.

**ის შეიძლება გართულდეს**

მამაკაცებში დაავადება შესაძლოა გართულდეს სათესლე დანამატის ანთებით — ეპიდიდიმიტით, ქალებში ყველაზე ხშირი გართულებაა საშვილოსნოს და მისი დანამატების ანთება, რომელიც შემდეგ უშვილობის მთავარი მიზეზი ხდება. იზრდება საშვილოსნოსგარე ორსულობების რისკი. დამახასიათებელი გართულებაა რეიტერის სინდრომი, რომელიც ვლინდება შარდსადენი არხის (ქალებში საშვილოსნოს ყელის), თვალებისა და სახსრების ანთებით. ზოგიერთი სპეციალისტი ქლამიდიოზს პროსტატიტის მიზეზადაც მიიჩნევს.

უშვილობას, როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში, განსაზღვრავს დაავადების ხანგრძლივობა და თანდართული სხვა ინფექციები — ქლამიდიები ორგანიზმს, ჩვეულებრივ, სხვა მიკრობებთან ერთად აზიანებს.

**ქლამიდიოზი და ორსულობა**

ორსულობისას ქლამიდიოზი იწვევს ნაყოფის განუვითარებლობას, ნაადრევ მშობიარობას, ნორმაზე დაბალი წონის ნაყოფის დაბადებას, ჭარბწყლიანობას, პლაცენტისა და მისი გარსის დაზიანებას, მშობიარობისას ცხელებას.

ბავშვის დაინფიცირება დაავადებული დედისგან შესაძლებელია როგორც საშვილოსნოში, ისე მშობიარობის დროს (40 პროცენტი). ბავშვი იბადება თანდაყოლილი ქლამიდიოზით, მას შესაძლოა აღმოაჩნდეს:

— ოფთალმოქლამიდიოზით, კონიუნქტივიტი — 18-20 პროცენტი.

— ახალშობილთა ქლამიდიური პნევმონია, ფილტვების ანთება — 20-25 პროცენტი.

— გენერალიზებული ქლამიდიოზი — ფილტვების, გულის, ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაზიანება.

— ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება — ენცეფალოპათიები, კრუნჩხვა, სუნთქვის დარღვევა.

— სასქესო ორგანოებისა და შარსადენის არხის, ცხვირ-ხახის ანთებითი დაზიანება.

**დაიცავით თავი**

როგორც აღვნიშნეთ, დაავადების დროული დიაგნოსტიკა საკმაოდ რთულია; ამასთან, ქლამიდიებს ადვილად შეუძლიათ „დამალვა", ამიტომ მისგან თავის დასაცავი საუკეთესო გზაა ერთი და მუდმივი სქესობრივი პარტნიორის ყოლა, შემთხვევითი კონტაქტებისას ბარიერული კონტრაცეფციის — პრეზერვატივის გამოყენება.

მკურნალობა ორივე პარტნიორს ერთდროულად უტარდება. ამ პერიოდში აკრძალულია დაუცველი სქესობრივი კონტაქტი. გამოჯანმრთელების შემდეგ, მკურნალობის ხარისხის დასადგენად, მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში საჭიროა საკონტროლო იმუნოლოგიური სინჯების ჩატარება.

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# xe l isu f l eba qa r Tu l opoz i c i as av iw r oebs

ქართულ ოპოზიციას აღარ აქვს ფული საარჩევნო კამპანიისთვის, საჯარო შეხვედრების ორგანიზებისთვის, პლაკატების დასაბეჭდად და სოფლიდან სოფელში სასიარულოდ, წერს **Le Monde**. დახმარების მოწოდება საკმაოდ უცნაურია, რადგან ოპოზიციის ლიდერი არ გაკოტრებულა. ბიძინა ივანიშვილის ქონებას **Forbes** 5 მილიარდ ევროდ აფასებს, რაც საქართველოს წლიურ ბიუჯეტს აჭარბებს, ვკითხულობთ გამოცემაში. თუმცაღა პოლიტიკური საქმიანობისთვის უზარმაზარი თანხების ხარჯვა, როგორც ჩანს, ივანიშვილისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა.

უკანასკნელი ეპიზოდი ფინანსური ომისა, რომელსაც პრეზიდენტი სააკაშვილი თავისი ყველაზე სერიოზული მეტოქის წინააღმდეგ ეწევა, 17 აგვისტოთია დათარიღებული. სამთავრობო სამსახურებმა დაიწყეს იმ პარტიების საბანკო ანგარიშების დაცარიელება, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შედიან.

ივნისიდან მოყოლებული, ოპოზიციის ორ ძირითად ლიდერს – ბიძინა ივანიშვილსა და კახი კალაძეს ათობით მილიონ ევროს ჯარიმას აკისრებენ – ხელისუფლების აზრით, მათ დაარღვიეს კანონი არჩევნების შესახებ, აღნიშნავს ჟურნალისტი ბენუა ვიტკინი. ორი ლიდერისთვის წაყენებული ჯარიმის საერთო მოცულობა 100 მილიონ ევრომდეა. ოპოზიცია ამ თანხის სრულად გადახდაზე უარს აცხადებს. იგი ილაშქრებს „საბჭოური მეთოდების“ წინააღმდეგ და



იმუქრება, რომ 1-ლ ოქტომბერს დაგეგმილი არჩევნების შედეგებს არ აღიარებს. ივლისის დასაწყისში ევროკავშირმა ამ ფაქტის გამო შეშფოთება გამოთქვა – ხელისუფლება კანონს ცალმხრივად იყენებს და თავგადაკლული ცდილობს, ხელი შეუშალოს ივანიშვილის საარჩევნო პროცესში მონაწილეობას.

ამერიკის შეერთებული შტატები არჩევნებისთვის თვალყურის მიდევნებას აპირებს. შემოდგომაზე საქართველო ჩაატარებს ტესტს, თუ რამდენად მომწიფებულია მისი პოლიტიკური სისტემა. „შეძლებს კი ქართული დემოკრატია და ქართული ოპოზიცია 9 წლის წინ, „ვარდების რევოლუციით“ მოსული სააკაშვილის ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლას?“ – კითხულობს ჟურნალისტი. სააკაშვილის მომავალიც გაურკვეველია და შესაბამისად, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემაც არ არის იოლი. პრეზიდენტს არ აქვს უფლება, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მესამედ წარადგინოს საკუთარი კანდიდატურა, პოლიტიკური სცენიდან მისი წასვლა კი ნაკლებსავარაუდოა.

აქამდე ხელისუფლებას სუსტი და დანაწევრებული ოპოზოცია ჰყავდა. 2011 წელს ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ვითარება ძირფესვიანად შეცვალა. ბიზნესმენი, რომელმაც თავისი ქონება 1990-იან წლებში რუსეთში დააგროვა, ქართული პოლიტიკური ცის კაბადონზე მეტეორივით გამოჩნდა. პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოსვლამდე, მისი სახელი დიდი მასშტაბის საქველმოქმედო პროექტებს უკავშირდებოდა. ახლა პოლიტიკური გეგმებით გამოჩნდა და მისი სტრატეგიაა სოფლის მეურნეობის განვითარება, უმუშევრობასთან ბრძოლა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. ხელისუფლება იძულებული გახდა მისთვის მიებაძა და შუა ზაფხულში სოციალური პროგრამების მასშტაბური გეგმები დასახა. „მდგომარეობა სულ უფრო და უფრო იძაბება“, – აღნიშნავს ავტორი.

**Le Monde**

1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ძირითადი კონკურენტები არიან ოპოზიციური ბლოკი „ქართული ოცნება“ და მმართველი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ერთიც და მეორეც ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ნაციონალური უმცირესობების მიმხრობას ცდილობს, აცხადებს სომხეთის სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში სოციალური პრობლემების მოგვარების ძალზედ მომხიბლავ გადაწყვეტილებებს სთავაზობენ ამომრჩევლებს.

მომავალი საპარლამენტო არჩევნები პირველია ისტორიაში, როცა მმართველ პარტიას კონკურენტუნარიანი ძალა უპირისპირდება. ქვეყანაში კრიზისია და პოლიტიკური ძალები ყოველ ღონეს ხმარობენ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ასე რომ, საქართველოს პარლამენტის არჩევნები იქნება მოსამზადებელი კურსები საიმისოდ, რომ ქვეყანა დემოკრატიის გზას დაადგეს.



ინფორმაცია: ახალქალაქის საარჩევნო ოლქში კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარ კანდიდატად დაასახელა სომხური ორგანიზაცია „ჯავახკის“ თავმჯდომარე ნორიკ კარაპეტიანი. კანდიდატთა წარდგენის შემდეგ კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა: ნორიკ კარაპეტიანი კარგად იცნობს სომხური დიასპორის მოთხოვნებს. მან შეარბილა თავისი შეხედულებები და სახელმწიფო აზროვნებით ჩაანაცვლა.

# saqa r Tve l oSi pi r ve l ad ima r Teba a r Cevnebi, sadac xe l isu f l ebas konku r entuna r iani opoz i c ia hyavs

საქართველოს დიპლომატიური აკადემიის რექტორი, პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.

ნაციონალური უმცირესობები რეალური ძალაა და ბუნებრივია, ერთმანეთის კონკურენტი თითოეული პოლიტიკური ძალა მათ შორის საკუთარ ელექტორატს ეძებს. სწორედ ამით უნდა აიხსნას პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და სომხური ორგანიზაცია „ჯავახკის“ თანამშრომლობა – „ქართულმა ოცნებამ“ სწორედ აქედან წარადგინა დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატი. ამ ნაბიჯს კოალიციის ლიდერის ექსტრავაგანტურ ნაბიჯად აფასებენ.

ძირითად მოსახლეობასაც და ნაციონალურ უმცირესობებსაც ერთი და იგივე სოციალური პრობლემები აწუხებთ. ამიტომაც პოლიტიკური ძალები თავიანთ წინასაარჩევნო პროგრამებში სწორედ ამ

უნდა ითქვას ისიც, რომ სახელისუფლებო მედიასაშუალებებმა წამოიწყეს კამპანია ოპოზიციის კანდიდატ კარაპეტიანზე, რომელსაც „სეპარატისტული ორგანიზაციის მეთაური“ უწოდეს. უნდა ვივარაუდოთ მოვლენების ასეთი განვითარება: როცა ქართული ოპოზიცია მხარს უჭერს იმ ორგანიზაციას, რომელიც სომხური მოსახლეობის უფლებების გაზრდას ითხოვს, ეს თავისთავად იმას ნიშნავს, რომ სომხებით დასახლებული რეგიონში ელექტორატი ნაკლებად დაუჭერს მხარს მიხეილ სააკაშვილის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“.

**yerkramas.org**
**NEWS.am**

# qa r Tu l i opoz i c i is te l ea r xs ev r opaSi uyu r eben

ქართული ტელეარხი TV9 უკვე ხელმისაწვდომია ევროპული აუდიტორიისთვის, მათ შორის ევროპული რუსეთისთვის. TV9-ის მფლობელია ეკატერინე ხვედელიძე, მეუღლე ბიძინა ივანიშვილისა, რომლის მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკური კოალიცია საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების მთავარი კონკურენტია შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში.

TV9 მეორე ქართული ტელეარხია, რომელიც ტრადიციული ქართული მაუწყებლობის – თურქული თანამგზავრის Türksat 2A/3A 42 ãð. E გარეთ არის განთავსებული. 2011 წლის იანვრიდან Hotbird 13 ãð. E-იდან მაუწყებლობა დაიწყო საქართველოს საერთაშორისო ტელეარხმა რუსულ ენაზე („პირველი საინფორმაციო კავკასიური – Ï ÈÊ“), რომელიც „საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ უცხოელი აუდიტორიისთვის შექმნა.

TV9, ისევე როგორც Ï ÈÊ, ობიექტური ჟურნალისტიკის დეკლარირებას ახდენს, მაგრამ იგი გათვლილია არა გარე, არამედ შიდა აუდიტორიისთვის – TV9 ქართულ ენაზე მაუწყებლობს.

გარდა საკაბელო არხებისა, ეს ტელეარხი რეგიონებისთვისაც ხელმისწვდომია. გარდა Hotbird 13 ãð. E-ისა, ამ არხის ყურება შესაძლებელია ქართული თანამგზავრული პლატფორმიდან Black Sea Sat í à Türksat 2A/3A 42 ãð. E.

**rosinvest.com**

**მიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**

მოგზაურობა სამშობლოში

# samsars viyav, momenatreT...

## ტყე-ჯავახეთი



წესითა და რიგით, **სამსარის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი** აქამდეც უნდა გვენახა, მაგრამ ვერანა სამსარის გამო გზა გავიმრუდეთ და სოფელ **დიდ სამსარში** აღმოჩნდით. ერთმა სომხურმა ოჯახმა შესვენება და პაპანაქება სიცხეში სულისმოთქმა შემოგვთავაზა. მასპინძლები – არტიომი და ჟანა ციბრუტივით ტრიალებენ, სუფრაზე ცხვრის ხორცი, მწვანილი, ლვეზელი, ყველი და არაჟანი გამოაქვთ... მერე თაფლი, კონიაკი და ყავა. არტიომი ცდილობს, რამდენიმე ქართული სიტყვა შეაკოწიწოს და გვასიამოვნოს. წუხს არტიომი – ბავშვებს სკოლაში უცხო ენას ასწავლიან, ქართულს კი არაო... მის ნათქვამზე ჯავახეთის კიდევ ერთ სოფელში – მოლითში გაცნობილი სომხური ოჯახი მახსენდება, რომელმაც ასევე გულთბილად გვიმასპინძლა. არასდროს დამავიწყდება ერევნიდან დაბრუნებული ის ქალიშვილი, რომელმაც გოგებაშვილის „დედაენა“ გვიჩვენა წიგნების თაროზე და გვითხრა: ასეთი მშვენიერი დამწერლობა დედამიწის ზურგზე არსად მეგულება და თავს მოვალედ ვთვლი ქართული ვისწავლოო. ჯავახეთში მოგზაურობისას საკმაოდ ბევრი კეთილშობილი სომეხი გავიცანი. არიან, რა თქმა უნდა ისეთებიც, რომლებიც ჯიბრში უდგანან ქართველებს და სოფელს წამლავენ სეპარატისტული ბაცილით, მაგრამ კარგსა და ცუდს სად, რომელ ერში არ ნახავ.

**...პატარა სამსარისკენ** გავბრუნდით და შუა გზაზე მარჯვნივ, **სამსარისწყლის** მეორე ნაპირზე, გადავედით. მზე კარგა ხანია დასავლეთით გადაიხარა და ჩრდილები დაგრძელდა. ხასხასა ბალახს ნიავმა გადაუქროლა და კელაპტრებივით ამოწვერილი ყვითელი ყვავილები ააცეკვა. ერთ მონაკვეთში სამსარისწყალს კლდე ესაზღვრება, რომლის ცენტრში რამდენიმე გამოქვაბულია. იქვე მცირე კლდეკარია გაჭრილი.





სამსარის კომპლექსის წარწერიანი ქვები და ხედები



მოვედით!... სწორედ ეს არის სამსარის კლდეში ნაკვეთი ნამონასტრალი.

**ქვაბ-სენაკები სამ სართულადაა კლდეში ნაკვეთი. ზუსტად ამ სამი სართულის სიმაღლე აქვს კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში არსებულ ჯვარ-გუმბათოვან ეკლესიას. გუმბათის ყელი ტრადიციულად საკურთხევლის აბსიდის მხრებს და ორ თავისუფალ სვეტს ეყრდნობა. დარბაზში კიდევ ერთი წყვილი სვეტია, რომელიც დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავებს მიჯნავს. ეს სვეტებიც, გუმბათიც, საკურთხეველიც და მთავარი დარბაზიც კლდის ერთ მონოლითშია გამოჭრილი. გარდა ამისა, მთავარ დარბაზს სამხრეთიდან მიკრული აქვს ასევე კლდეში გამოჭრილი დერეფნები, რომლებიც სადიაკვნოთი და სამკვეთლოთი სრულდება. როგორ შეიძლება არ აღგვაფრთოვანოს და გაგვაოცოს ხუროთმოძღვრის ოსტატობამ, რომელიც ქვის მონოლითში კვეთდა კონსტრუქციულ ფორმებს და ჯიუტად ებრძოდა კლდეს.**

კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსები ერთი დიდი და ცალკე თემაა და მასზე საუბარს აქ არ ვაპირებ, მაგრამ მთლად უთქმელობაც არ იქნება. კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ტაძარი, სამსარის გარდა, ვანის ქვაბებშიც გვხვდება (ქვედა, დანგრეული დიდი ტაძარი), მაგრამ ქანების ჩამოშლის გამო იგი შედარების საშუალებას არ იძლევა. მიუხედავად ამისა ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ იგი გეგმარებით რამდენადმე მარტივი უნდა ყოფილიყო სამსართან შედარებით.

სამსარის ტაძარი ქართული სამთო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. მის შემოქმედს მთის ლაღი, გაშლილი ბუნებიდან მოულოდნელად შევყავართ აბსოლუტურად განსხვავებულ კონკრეტულ და იდუმალ სამყაროში. იგი მისტიკას მისცემია და გვეუბნება, რომ მშვენიერი სამყაროს ფშვინვას საფუძვლად უდევს უფლის ის სიტყვა, რომელიც აქ, ამ ქვაბებშია გარინდებული.

**კომპლექსში მთავარი ტაძრის გარდა გვხვდება სხვადასხვა სართულზე კლდეში ნაკვეთი სატრაპეზო, მცირე სამლოცველოები, დედაბოძიანი დარბაზი და სხვა, რომელთაგან ზოგიერთი გვირაბებით იყო დაკავშირებული.**

მთავარ ტაძარს აქვს ორი ძალიან საინტერესო წარწერა. უმთავრესი, ქტიტორული წარწერა მოთავსებულია შესასვლელის თავზე, სამკუთხა ჩამოტეხილ ქვაზე. ქვის მეორე ნაწილი დაკარგულია. სხვათა შორის, დარჩენილი ქვაც მყარად აღარ ზის ბუდეში და შესაძლოა, ისიც ჩამოვარდეს. სანახევროდ შემონახული წარწერა ნოდარ შოშიაშვილს ასე აქვს აღდგენილი: **„ქ. აშენდა წმიდაი ესე ვანი ღმრთისმშობლის სამკვიდრე ოდეს ქართველთა მეფემან კუროპალატმა დავით და ერმან ყოველმან ესე ვანი და კრებული შეგუიბრალა, მაშინ დიდისა ჭირისაგან გუიხსნა, და უფალო, იხსენინ იგიცა დღესა მას განკითხვისასა. სულამ მაშინ დავწერე, ოდეს აგარიანთა მცხეთის ეკლესიაი დაწუეს და ნინოს ხელი წარიტანეს“**. წარწერიდან ირკვევა, რომ X საუკუნეში ეს მონასტერი აშენდა დავით კუროპალატის მეცადინეობით გაჭირვებაში მყოფი იმ მღვდელ-მონაზვნებისთვის, რომლებიც არაბთა მიერ მცხეთიდან წმინდა ნინოს ალმართული ჯვრის გატაცებას მოსწრებიან. ადვილი შესაძლებელია, წარწერის ამომკვეთი სულა ხუროთმოძღვარიც კი იყოს.

მთავარი ტაძრის ზოგიერთი კონსტრუქციული ნაწილი, მეტადრე კი ნალისებრთან მიახლოებული ფორმის თაღები თითქოს ადრე შუასაუკუნეებზე მიგვანიშნებს და იმას გვიკარნახებს, რომ სიტყვა „აშენება“-ში, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, ძირფესვიანი განახლება და რეკონსტრუქცია უფრო იგულისხმება. რას უნდა ნიშნავდეს სიღრმისეულად ფრაზა – „მაშინ დიდი ჭირისაგან გუიხსნა“? იმას ხომ არა, რომ ცისქვეშ დარჩენილი ბერებისთვის უშველიათ და მონასტერი აღუდგენიათ? ჩნდება მეორე შეკითხვაც: ვინ და რამ დაანგრია მონასტერი, რა მოხდა? მგონი, რომ ამაზე პასუხს იძლევა ის მეორე, ერთი შეხედვით უცნაური წარწერა, რომელიც ტაძრის ფასადიდანაა ჩამოვარდნილი: **„სახელითა ღმრთისათა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაითა ესე წმიდა ეკლესიაი ოდეს აღეშენა, მაშინ ეს ადგილი ტყისაგან არ ჩანდა“.** მეორე წარწერა პირველს ავსებს და მისი თავისებური განმარტებაცაა. ორივე წარწერა ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს: კლდეში ნაკვეთი მონასტერი თავდაპირველად დაბურულ ტყეში მდგარა, მაგრამ შემდეგ ტყეც განადგურებულა და მონასტერიც. მეორე წარწერის ამომკვეთს ეს ამბავი კარგად ხსომებია. მღვდელ-მონაზვნები უსახლკაროდ და უტაძროდ დარჩენილან დიდი ტრაგედიის შემდეგ, მაგრამ ამ გაჭირვებიდან ისინი უხსნია დავით კუროპალატს, რომელსაც ტაძარი აღუდგენია, და, ალბათ, გაუფართოებია კიდეც. ეს ამბავი მას შემდეგ მომხდარა, რაც აგარიანებს (არაბებს) მცხეთიდან ნინოს „ხელი“ გაუტაციათ.

ჩვენი რუბრიკის ერთგულ მკითხველს აუცილებლად ემახსოვრება ბარალეთში ჩაწერილი ლეგენდა იქაური ტყის გადაწვისა და ოქროს ჯვარ-გუმბათის წაღების შესახებ. ლეგენდის ეს სიუჟეტი ძალიან ჰგავს წმ. ნინოს ჯვრის გატაცების ამბავს და სამსარის წარწერით დადასტურებულ ძველი ტყის არსებობას. ისინი ერთმანეთთან კავშირში უნდა იყვნენ და ერთსა და იმავე ისტორიულ ამბავს ირეკლავდნენ. ეს ტრაგედია ძალიან ახლოსაა 914 წელს არაბი ამირის აბულ-კასიმის მიერ ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მოწყობილ დამანგრეველ ლაშქრობასთან. როცა აბულ-კასიმმა თმოგვის მრისხანე ციხეს ვერაფერი დააკლო, გამწარებულმა ქვა ქვაზე არ დატოვა ჯავახეთში – ტყეები გადაწვა და ეკლესია-მონასტრები დააქცია. **თუ ასეთი ვერსია მისაღებია, მაშინ წარწერაში ნახსენები მეფე-კუროპალატი დავითი ქართველთა (ტაოკლარჯეთის) მეფე დავით მეორეა (923-937 წ). ერთი სიტყვით, სამსარის კლდის კომპლექსი X საუკუნეში აღდგენილი ადრინდელი მონასტერია და გამოთქმა „ტყე-ჯავახეთის“ ისტორიულ საბუთსაც გვაძლევს.**





ნამონასტრალის დათვალიერებასა და გადაღებას რომ ვასრულებთ, გარეთ გამოსულები ჩასასვლელად გამზადებული მზის ხილვით ვტკბებით. ჩვენს გვერდით მხნე ფუტკარი ისევ დაეძებს თიბათვის ყვავილთა ტკბილსურნელებას. გამეფებულ იდუმალებას ამ ობლად დარჩენილი ფუტკრის ბზუილი და სამსარიწყლის შორეული ჩხრიალი არღვევს. ვუყურებ, ვუსმენ და წინაპართა აჩრდილების გამოცხადებას ველი.

... სამსარს ვიყავ, მომენატრეთ.

**გელა ქოქიაშვილი**

ავტორის ფოტოები

# aris Tu ara legaluri TurqeTSi dasaqmeba, rogori ofisebi aqvT Turqul firmebs da ra safrTxeebs vawydebiT ucxo qveynis teritoriaze

მიგრაციის მაჩვენებელი საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება. არ არსებობს ზუსტი მაჩვენებლი იმისა, თუ რამდენი ადამიანი იმყოფება საზღვარგარეთ. მით უმეტეს, შეუძლებელია იმის დათვლა, რამდენ ადამიანს სურს საზღვარგარეთ გახიზვნა, მაგრამ ვერ ახერხებს გამგზავრებას. 2010 წელს საქართველო პირველად შევიდა იმ ქვეყნების ათეულში, რომლის მოქალაქეებიც ყველაზე ხშირად ითხოვენ საზღვარგარეთ თავშესაფარს. ათეულში საქართველოს გარდა შედიან: ავღანეთი, ერაყი, სომალი, სერბია, ნიგერია, ირანი, პაკისტანი, ჩინეთი და რუსეთი. ამ ათეულში საქართველო ბოლო ადგილზე "გავიდა", მაგრამ სამაგიეროდ, პირველ ადგილზე აღმოვჩნდით, საზღვარგარეთ სამუდამოდ წავსლის მსურველთა ზრდის ტემპებით. არადა, პრეზიდენტი თითქმის ყოველი გამოსვლისას იმით გვახარებს, თუ რამდენით გაიზარდა ბოლო პერიოდში სამშობლოში დაბრუნებულ ქართველთა რაოდენობა, თუმცა უცნობია, საიდან აქვს სააკაშვილს ეს მონაცემები.



ბოლო წლებში განსაკუთრებით მეგობრულად "გვეხმარება" თურქეთის რესპუბლიკა. ყველასთვის ცნობილია, რომ ყველაზე მარტივად იქ შეუძლიათ ქართველებს დასაქმება. მადლმოსხმული თურქებს, სამაგიეროდ, ჩვენს სამშობლოში ვასახლებთ, ბიზნესის წამოწყებაში ხელს ვუწყობთ, მიწებს ლამის ვჩუქნით, ყველა პირობას ვუქმნით საიმისოდ, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩვენს საკუთარ მოსახლეობაზე უფრო დაცულად და ამაყად იგრძნონ თავი.

რა კატეგორიის ხალხი მიდის მაინც თურქეთში "ქვეშეფსია" ბავშვების და ინვალიდი მოხუცების მოსავლელად? – ყველანაირი, გაჭირვებული სოფლელი, რომელსაც კაპიკებად გაყიდული ყურძნის მოსავლიდან აღებული თანხა წლიდან წლამდე არ ჰყოფნის, ადამიანები, რომლებმაც ჩვენს შადრავნებით და შეღებილი ფასადებით გალამაზებულ ქალაქებში სამუშაო ადგილი ვერა და ვერ გამოძებნეს, ინტელიგენციის ის ნაწილი, რომლებიც მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლეს სამსახურებიდან, რომ ჩვენს ახალგაზრდა მინისტრებს ბიძებად და დეიდებად შეეფერებიან, და რომლებიც პრეზიდენტმა ჩარეცხა და აღარ მოიკითხა.

ჩემი რესპოდენტი 55 წლის ქალბატონია, რომელსაც არ სურს სახელისა და გვარის გამხელა. ქალბატონმა კონსერვატორია დაამთავრა და წლების განმავლობაში ფორტეპიანოს პედაგოგად მუშაობდა ქალაქის ცნობილ სამუსიკო სკოლებში. ამა წლისგგაზაფხულზე ქალბატონს შესთავაზეს თურქეთში სამუშაოდ წასვლა. შუამავალი თურქ დამსაქმებელსა და ქართველ ქალბატონს შორის თურქეთში მცხოვრები ქართველი ქალი გახლდათ:

- ქალბატონი მეუბნებოდა, რომ დამასაქმებდა, მაძლევდა გარანტიებს. ამბობდა, თუ ვერ დაგასაქმებ დროულად, მე თავად გიპატრონებო. თურქი დამსაქმებელი, ვისთანაც ქართველ ქალბატონი დიდი ხანია უკვე თანამშრომლობდა, იყო ვინმე ერკან არბაჩი, რომელსაც მერსინში, მეზიტლი სტარ პეტ-ში ჰქონდა ოფისი, თუმცა ოფისსაც ვერ დავარქმევდით, ეს იყო სარდაფი, რომელსაც არც აბრა ეკიდა და არც ინტერიერით ჰგავდა ოფისს. შეთანხმებულნი ვიყავით რომ ერკანს პირველი ხელფასის ნახევარს მივცემდი.

**- ქართველ შუამავალსაც გადაუხადეთ ფული, თუ მას ერკანი უხდიდა თავისი წილიდან?**

- მე არ გადამიხდია ქართველი შუამავლისათვის. სავარაუდოდ, ერკანი, ალბათ, უხდიდა, რადგან ამ ქალბატონს ბევრი ჰყავდა ერკანთან მიყვანილი და დასაქმებული. ის საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში თანამშრომლობდა ერკანთან. თუმცა ჩემს წამოსავლამდე ცოტა ხნით ადრე ერკანმა და ქართველმა შუამავალმა თანამშრომლობა შეწყვიტეს, ერკანთან ბათუმიდან სამუშაოდ ჩამოვდინენ რძალ-მული. ორივენი დაასაქმე. რამდენიმე კვირაში მული წამოიყვანა სამსახურიდან, ოფისში მოიყვანა და საყვარლად დაისვა. მერკანის ბათუმელი საყვარელი, თურქ "დამსაქმებელს" ქართველ შუამავალთან ურთიერთობას უშლიდა, ამის გამო ერკანსა და ქართველ ქალბატონს ურთიერთობა დაეძაბათ და საბოლოოდ თანამშრომლობაც შეწყვიტეს.

**- ეს ქართველი ქალბატონი, რამდენადაც ვიცი, თურქეთში გათხოვილია და თურქი მეუღლე ჰყავს. რატომ ეჭვიანობდა ერკანის საყვარელი ქართველ შუამავალზე?**

- არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი წააჩხუბა და თანამშრომლობა შეაწყვეტინა.

**- მალე დაგასაქმეს თუ არა და რამდენად შეესაბამებოდა არსებული პირობები დაპირებულს?**

- პირველად რამდენიმე დღეში დამასაქმეს. ოორ ინვალიდ ბავშვს ვუვლიდი. წესით უნდა მქონოდა ჩემი ოთახი, სადაც დავისვენებდი სამუშაო დღის შემდეგ, უნდა მქონოდა გამოსასვლელი დღე. მმაგრამ აღმოჩნდა, რომ დღისა და ღამის მორიგე უნდა ვყოფილიყავი. ბავშვების ოთახში მომიჩინეს საწოლი, არც დასვენების დღე გამომიყვეს, არც ოთახი და არც სამუშაო საათები განმესაზღვრა. თანხას კი იგივეს მიხდიდნენ, რასაც ერთი ნორმალუური ბავშვის მოვლაში იხდიან თურქეთში. გაუსაძლისი პირობები იყო, ამიტომ ერკანთან შეთანხმებით მალე წამოვედი ამ სამუშაო ადგილიდან. რაკი მთელი თვე არ მიმუშავია, ერკანს, რომელიც დასაქმების საფასურს თურქი ოჯახებისაგანაც იღებს, ვერ გადავუხადე დაპირებული თანხა. მეორე ოჯახი რამდენიმე დღეში მომიძებნა. ამჯერად მოხუც ინვალიდს ვუვლიდი. იქ საკმაოდ კარგად მექცეოდნენ. პირველივე ხელფასზე ერკანის "ვალი" მთლიანად გავისტუმრე, მაგრამ მეორე თვის დასაწყისშივე მოხუცი გარდაიცვალა და შესაბამისად, უმუშევარი დავრჩი. რასაკვირველია, ისევ ოფისში დავბრუნდი, რადგან, შეთანხმება გვქონდა, რომ ისევ უნდა დავესაქმებინე. 12 დღე და ღამე ოფისში, აუტანელ სიბიძურესა და ანტისანიტარიაში დივანზე მეძინა. დღეში ორჯერ ჰამბურგერს მაჭმევდნენ და იმასაც მამადლიდნენ. ერკანი მეუბნებოდა – მიბრძანდი და შენმა ქართველმა შუამავალმა დაგასაქმოსო, ქართველი ქალი კი ისევ თურქ დამსაქმებელთან მიშვებდა. ბოლოს მითხრეს, გიპოვნეთ სამსახურიო და გამამგზავრეს რომელიღაც ქალაქში. 6 საათი გავატარე გზაში. მივედი ოჯახში, სადაც თურქმენი ქალბატონი მუშაობდა. ქალი მეორე დილით უნდა წასულიყო სამსახურიდან და მე უნდა დავრჩენილიყავი მის ადგილას. ეს ქალიც იმ პირობით წამოიყვანეს, რომ დამსაქმებლისთვის 400 დოლარი უნდა გადაეხადა, მაგრამ ერთმა დამსაქმებელმა მეორეს გადააბარა და მეორემ მესამეს, ეხლა კი სამივე სთხოვდა ფულს, იმაში რომ ეს ქალი, როგორც იქნა ერთ სამსახურში მოაწყვეს. ამიტომაც, თურქმენი ქალბატონი სახლში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ქალს პასპორტი გამოართვეს და მანამ არ მისცემდნენ, სანამ 1200 დოლარს არ გადაიხდიდა. (ანუ სამივე დამსაქმებლისთვის 400-400 დოლარს). თურქმენმა, რომელსაც, რასაკვირველია, არ ჰქონდა ეს თანხა, დარჩენა გადაწყვიტა. თავს იმით იიმედებდა, რომ ამ ვალის გასტუმრების შემდეგ პასსპორტს დაიბრუნებდა და უკვე ხელფასსაც თავად აიღებდა.

**- ანუ თქვენ ისევ უმუშევარი დარჩით?**

- დიახ. ჩამსვეს ავტობუსში და ისვე მერსინში გამომიშვეს. ისევ 6 საათი ვიმგზავრე. გზიდან ერკანს დავურეკე და ვთხოვე სადგურზე დამხვედროდა, მაგრამ არ დამხვდა. ისევ დავურეკე, მითხრა: სადაც გინდა წადი, თუ გინდა ისევ შენს საქართველოში დაბრუნდი, მაგრამ ოფისში არ მოხვიდე, დავკეტეთო. ქართველ შუამავალს დავურეკე, არც ის აპირებდა დამხმარებოდა, მაგრამ ვუთხარი: - აქვე მოვიკლავ თავს და სანამ თავს მოვიკლავ, ყველას გავაგებინებ, რის და ვის გამო ვაკეთებ ამას-თქო. ამის შემდეგ მომაკითხა, ის ღამე მასთან გამათევინა, და გამაფრთხილა, თუ ერკანმა დარეკოს, არ უთხრა ჩემთან რომ ხარო. მეორე დღეს კი საქართველოში გამომისტუმრა.

**- მაინც რატომ აღარ მოგიძებნნათ ერკანმა ახალი სამუშაო ადგილი?**

- არ ვიცი. ფაქტია, მე გადახდილი მქონდა თანხა, რომელსაც დასაქმების საფასურად მთხოვდა.

**- უკაცრავად, ამ კითხვისთვის, მაგრამ სექსუალური ურთიერთობა არ შემოუთავაზებიათ?**

- მხოლოდ ერთხელ. ავტობუსში თურქმა შემომთავაზა, მაგრამ როგორც კი უარი ვუთხარი, მეორედ აღარც გაუმეორებია. თუ უარს ეტყვი, ნამდვილად არავინ გაიძულებს და არავინ გავიწროებს.



მსგავსი ისტორია, ალბათ, თურქეთში ბევრ ქართველ ქალბატონს გადახდომია თავს. უთუმცა, თურქეთში სამუშაოდ წასვლა, საქართველოში უმუშევრობით და უფულობით გატანჯულ ადამიანებში, მაინც სარფიან საქმედ ითვლება. თბილისში უამრავი ოფისია, რომლებიც საქართველოდან თურქეთში დასაქმებას კურირებენ. ერთ-ერთ მათგანს დავუკავშირდი:

**-გამარჯობათ. თურქეთში მინდა დასაქმება, ოჯახში, თუმცა თურქული არ ვიცი.**

-რა უშავს, ეგ დასაქმებაში არ გვიშლის ხელს. თურქული ადვილად გასაგები ენაა და მალე ისწავლით.

**- პირობებს ვერ გამაცნობთ?**

- 200 დოლარს იხდით და ოჯახში სამუშაოდ გიშვებთ.

**- მხოლოდ 200 დოლარს? იქ თურქეთში არაფერს ვიხდი?**

- კი, იქ იქაურ დამსაქმებელთანაც იხდით ხელფასის ნახევარს.

**- თუ ოჯახი არ მომეწონა ან პირობები დამხვდება გაუსაძლისი?**

- ჩვენ აუცილებლად მოგიძებნით ახალ ოჯახს იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება. ეს ჩვენი მოვალეობაა.

**- თუ ლოდინი მომიხდა სამსახური გამოჩენამდე, ღამეს სად გავათევ და ვინ მიპატრონებს?**

- რასაკვირველია, თურქი დამსაქმებელი. ამაზე არ ინერვიულოთ. თანაც ეს მხოლოდ რამდენიმე დღე გაგრძელდება. სამსახურს ადვილად გიპოვნიან.

**- რა საბუთები უნდა მოვიტანო?**

- მხოლოდ პასპორტი და რასაკვირველია, ფული (იცინის).

**- გასაგებია, მაგრამ ან დახასიათება ძველი სამსახურიდან და ან ცნობა ჯანმრთელობის შესახებ არ მჭირდება??**

- რასაკვირველია, არა.

**- რატომ, არალეგალურია ეს სამსახურები თურქეთში?**

- რასაკვირველია, ეს არაოფიციალური სამსახურებია. ამიტომ არანაირი საბუთი, გადა პასპორტისა არ გჭირდებათ.

დავემშვიდობე. ანუ, პასპორტის და 200 დოლარის გარდა არაფერია საჭირო. ახლა ის დამრჩება მოსაფიქრებელი, ვის ვესესხო ეს 200 დოლარი, არც ის მეცოდინება, თურქეთში რომ გამიჭირდეს, ვინ დამეხმარება. არალეგალურად მომუშავე ქართველი მოსამსახურისთვის თურქეთის პოლიცია თავს არ შეიწუხებს. ქართველების დეპორტაცია პროსტიტუციის და ქურდობის ბრალდებით იმდენად ხშირია, ერთით მეტს თუ გამოაბუნძულებენ, არც მაგაზე იდარდებენ, იაფი მუშხელი ხომ მიედინება და მიედინება.

რაც შეეხება პროსტიტუციას, ცოდვა გამხელილი სჯობს, და ქართველები ისე არც მაგაზე ამბობენ უარს თურქეთში. საქართველოში ქმრებს ფული ხომ უნდა გადმოურიცხონ, რომ მერე ქმარმა ამ ფულით "ბირჟაზე" ძმაკაცებს ლუდი და სიგარეტი უყიდოს და საყვარელს სუნამო. თუმცა, ბოლო დროს საქართველოში იმდენად ბევრი თურქი ცხოვრობს, ქართველებს იოლი გზით ფულის გასაკეთებლად თურქეთში სიარული აღარ გვიწევს. საქართველოში, თურქი მამაკაცები ჯერ ინტერნეტით გვიტევდნენ: ვეძებ სამეგობროდ ქართველ ქალს, რომელსაც უზრუნველვყოფ და დავეხმარები მატერიალურად. - მსგავს განცხადებებს ინტერნეტში მრავლად შეხვდებით. ერთ-ერთ მათგანს გამოვეხმაურე:

**-გამარჯობა. მეგობრობაში რას გულისხმობ?**

- სექსს. მე დიდი ხანია საქართველოში ვცხოვრობ და ძალიან მომწონს ქართველი ქალები.

**- ბევრ ქალს ხვდები?**

- ადრე ვხვდებოდი, ახლა არა. მინდა ერთი მყავდეს. ერთი კარგი გოგო გავიცნო და იმასთან ვიყო. დავეხმარები ყველანაირად. (უსწავლია, ქართული "პადხოდი")

თურქები არც ბარებში ან რესტორნებში სხედან გულხელდაკრეფილნი. რამდენიმე დღის წინ "თაღლაურაში" სამმა ქართველმა 5 თურქი სცემა. მიზეზი: თურქები ორ ქართველ გოგოს გადაეკიდნენ, ღამით მათთან ერთად წასვლას სთავაზობდნენ და არ ეშვებოდნენ. როგორც მომიყვნენ, ქართველმა ბიჭებმა ეს შენიშნესო, გარეთ გამოყვანეს ეს შენი თურქები და ისე სცემესო, რომ ქალებისკენ გახედვა მინიმუმ 2 კვირა აღარც მოუნდებოდათ (და აღარც შეეძლებოდათო).

ჯერ კიდევ შეგვრჩენია, ეტყობა, ჯიგარი და მცირედი თავმოყვარეობა.

**თამუნა კეშელავა**

**P.S. მასალაზე მუშაობა უკვე დასრულებული მქონდა, როცა ერთ-ერთ ფორუმზე თურქეთში მომუშავე ქართველებზე დისკუსიას წავაწყდი. ერთნი ამბობდნენ – რა ვქნათ გვიჭირს და გვასაქმებენო, მეორენი – თურქების სამათხოვრო რა გვჭირს, მირჩევნია აქ ვიშიმშილოო და მესამენი – ერთი ყველასი მაგათიო. ერთ მოსაუბრეს ლინკი დაედო ფორუმზე: -ააჰა, ნახეთ და დატკბითო. ნახეთ, ჩაბნელებულ სარდაფში როგორ სხედან ათამდე თურქი და უყურებენ ნარკოტიკით გაბრუებული ქართველი ქალისა და ჯიშიანი თურქული ძაღლის სექსსო. თურქები როგორ დასცინიან ქალს და თან რა სიამოვნებით ამცირებენო. – ვერ გავბედე ვიდეოს ნახვა!**

## თინა ხიდაშელი: აუდიტის სამსახურის მიერ გავრცელებული ცნობა საზოგადოებისთვის თვალის ახვევაა



კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენლის, თინა ხიდაშელის განცხადებით, "ნაციონალური მოძრაობის" შემომწირველების ქონების დაყადაღების შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გავრცელებული ცნობა, საზოგადოებისთვის თვალის ახვევას ემსახურება.

როგორც "მედიანიუსთან" საუბრისას ხიდაშელმა აღნიშნა, ამაზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული უწყების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში არცერთი შემომწირველის გვარი და სახელი არაა დაკონკრეტებული, მაშინ როცა "ქართული ოცნების" შემომწირველებზე აუდიტის სამსახური მუდმივად დეტალურ ინფორმაციას აქვეყნებდა.

"მაშინ როცა კოალიციის შემომწირველების ლამის მობილური ტელეფონის ნომერსაც კი აქვეყნებენ, რატომ არ არის დაკონკრეტებული ამ ხუთი პირის ვინაობა?! საზოგადოებამ ხომ უნდა გაიგოს, ვინ არიან ეს პირები. მხოლოდ ეს ერთი გარემობაც კი ბევრ რამეზე მეტყველებს",–აღნიშნა თინა ხიდაშელმა

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, არასამთავრობო ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველომ" სახელმწიფო აუდიტის სამსახური პოლიტიკური სუბიექტების მიმართ შერჩევით სამართალში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ კონტროლის პალატამ თებერვალში "ნაციონალური მოძრაობის" ხუთი შემომწირველი მხოლოდ მას შემდეგ სცნო სამართალდამრღვევად, როცა მათ აღნიშნულ შემომწირველებზე ინფორმაცია გამოითხოვეს.

ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციის თქმით, სახელისუფლებო პარტიის შემომწირველები აუდიტის სამსახურმა მხოლოდ სამართალდამრღვევად სცნო და არ დააჯარიმა, როცა ამავე პერიოდში, ანალოგიურ საქმეებზე "ქართული ოცნების" წარმომადგენლებს სოლიდური ჯარიმები დააკისრა.

"საერთაშორისო გამჭვირვალობის" მიერ გაკეთებული აღნიშნული განცხადებიდან რამდენიმე დღეში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ინფორმაცია გაავრცელა იმის შესახებ, რომ "ნაციონალური მოძრაობის" ხუთი შემომწირველის ქონებას ყადაღა დაედო, თუმცა მათ ბოლომდე არ გაითვალისწინეს გამჭვირვალობის რეკომენდაციები და განცხადებაში სახელისუფლებო პარტიის შემომწირველების შესახებ მონაცემები არ გამოაქვეყნეს.

„მედიანიუსი“







# თავსატეხი

შვეულად: ალისა, აჯანი, დერბი, ერდი, იმაგო, კატია, ლარსი, შესია, ნისლი, ოფისი, რჭენა, უზარი, ჩვეკა, შოშია.

თარაზულად: აგურა, ათენი, არენა, აჯორი, ბურსე, გოლფი, დრაკე, კაიშე, ლოტოლა, ოურტა, კლანი, ლოკა, მანია, სარეზა, ტენეკ, ფსორი, ჭკიმა, ლინზუ, გალია, შოუნა, ცანგა, ძვალი, წენგო, ჯაური.

# სამიდან ერთი

შვეულად: 1. სენატი, სუნამი, საგანი. 2. ფელეტონ, ჩეზოკა, მოზანა. 3. გობონი, ლუმილი, ზეპური. 4. ფურანი, ლულოლი, ზალიკო. 5. ლოგზატი, მანცალი, სანიგელი. 6. მონჯული, ლეჩინდი, კეზნირი. 11. კინიია, ნიჩანი, ფასადი. 12. ლეკვინა, ლოკანი, ჩოხელი. 13. ლურაკი, ლოკური, ლიკური. 14. სანოს, მანია, ძიძია. 15. რიონი, ზეობა, შხალი. 16. ოფელი, ფლაკი, ამაკი.

თარაზულად: 3. მარაკანა, გაზრდილი, ლეკელი. 7. კამორა, ბუგარა, ლუზილი. 8. ქარავანი ბალაგანი, ფელეტონი. 9. მუღლეტი, საღამო, წიდება. 10. ნოდია, ხაოია, ნოკია. 11. ფოლადი, ბებერი, სარეზა. 14. კოლია, ტებზი, სირია. 17. საკაცე, მონეტა, კაზეთი. 18. კარდალა, შანშალა, გარზონი. 19. გუგანი, ჯანსუნი, დებინი. 20. პრონეზი, პლაკატი, პრომელი.

# შიფროვორდი

| | |
|---|---|
| ა-9 | ს-2 |
| ბ | ტ |
| გ | უ |
| დ- | ფ- |
| ე | ქ-10 |
| ვ | ღ- |
| ზ- | ყ |
| თ-5 | შ- |
| ი | ჩ 1 |
| კ 3 | ც |
| ლ-22 | ძ |
| მ- | წ- |
| ნ- | ჭ- |
| ო- | ხ- |
| პ- | ჯ- |
| ჟ | ჰ |
| რ 4 | |

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა***
***კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ჩემი შვილი არის პატიმარი. მას შეეფარდა გირაოს გადახდა, თანხის გადახდამდე ის პატიმრობაში რჩება. თანხას ვერ ვიხდით. რა მოხდება?**

— სამწუხაროდ, დამაიმედებელს ვერაფერს მოგახსენებთ. ამ ეტაპზე თქვენი შვილი გირაოს გადახდამდე საპატიმრო უზრუნველყოფას ექვემდებარება. თუ გირაოს ვერ გადაიხდით, მას შეეცვლება აღკვეთის ღონისძიება გირაოს შეფარდება აღკვეთის ღონისძიება — პატიმრობით.

* * *

**— რა ითვლება დანაშაულის შეუტყობინებლად და როგორია სანქცია?**

— მუხლი 376, დანაშაულის შეუტყობინებლობა

დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ანდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული — ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

* * *

**— გამომიებამ არ მცნო დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეში, მაგრამ ვთვლი, რომ ვარ დაზარალებული. შემიძლია თუ არა, ეს საკითხი დავაყენო სასამართლოში?**

— არა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 ნაწილის მიხედვით, პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ პროკურორს გამოაქვს დადგენილება.

ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილბის გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას, გააუქმოს ეს დადგენილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირის დაზარალებულად ცნობა-არცნობის საკითხი პროკურორის პრეროგატივაა.

* * *

**— როგორ მოხდება ყრუ-მუნჯის დაკითხვა?**

— ყრუ-მუნჯის დაკითხვა ტარდება შესაბამისი ცოდნის მქონე თარჯიმნის მონაწილეობით. თუ დასაკითხი პირი ყრუა, მისთვის შეკითხვების დასმა შეიძლება წერილობით, ხოლო თუ ის მუნჯია, მას შეუძლია. შეკითხვებზე პასუხი წერილობით გასცეს. (სს საპროცესო კოდექსი ს117-ე მუხლი).

* * *

**— ვართ ორი ძმა და ორი და. დები გათხოვილები არიან. მამაჩვენმა დატოვა ანდერძი. მისი ქონების ოთხ თანაბარ ნაწილად გაყოფის შესახებ. დები უარს ამბობენ ქონების მიღებაზე. როგორ მოხდება მათი კუთვნილი წილების განაწილება?**

— სამოქალაქო კოდექსის 1140-ე მუხლის მიხედვით თუ მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, მაგრამ არ განუცხადებია, თუ ვის სასარგებლოდ ამბობს უარს, მაშინ მისი წილი შეემატება მემკვიდრეებად მოწვეულ კანონით მემკვიდრეთა წილს, ხოლო თუ მთელი სამკვიდრო ანდერძით იყო განაწილებული, მაშინ ანდერძით მემკვიდრეთა წილს და იგი განაწილდება მათ შორის მათი წილის პროპორციულად. თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ თქვენი დები დააკონკრეტებენ, რომელი ძმის სასარგებლოდ ამბობენ თავის წილზე უარს, ამ წილს მიიღებს ეს ძმა. ხოლო თუ თქვენი დები არ განაცხადებენ. ვის სასარგებლოდ ამბობენ სამკვიდროს მიღებაზე უარს, მაშინ



თქვენ — ორივე ძმა თანაბრად გაიყოფთ დების წილს.

* * *

**— ჩემი რძალი ჩემს ვაჟთან რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდა. შეეძინათ ქალიშვილი. რძალმა ბავშვი დაგვიტოვა ჩვენ და გაემგზავრა იტალიაში. ის ბავშვს არ ეხმარება. სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით ეკისრება თუ არა ქალს ასეთ შემთხვევაში ალიმენტის გადახდა?**

— დიახ. ეკისრება.

შვილების წინაშე როგორც დედას. ისე მამას თანაბარი უფლება-მოვალეობები გააჩნიათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ ვაჟს შეუძლია შეიტანოს სარჩელი სასამართლოში და ბავშვის დედისგან მოითხოვოს ალიმენტის გადახდა.

გვესაუბრებიან ასტრო-პარაფსიქოლოგი, ქალბატონი **ანა ლენორმანი** და ნათელმხილველი **მაგული ვაშაკიძე**

**— ქალბატონო ანა, საკმაოდ რთული და პრობლემატური პერიოდია პოლიტიკური ვითარებიდან და ბუნებრივი კატაკლიზმებიდან გამომდინარე. თქვენი პროგნოზით, როგორი შემოდგომა ელოდება საქართველოს?**



**ანა ლენორმანი**: შემოდგომა საკმაოდ რთული და დაძაბული იქნება. აახლა ზაფხულია, დასვენების პერიოდი, ამიტომ დავიწყებ იმით, რომ მზე არის ძალიან აქტიური და საშიში. ბევრ დაავადებას გამოიწვევს წლევანდელი აქტიური მზე. „კიდევ ბევრი კატაკლიზმია მოსალოდნელი, არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ბუნებრივი კატასტროფები იქნება ისეთ ადგილებშიც კი, სადაც არავინ ელოდება. ვის სად წაეწევა ანომალური სიტუაცია, არავინ იცის.

სექტემბერი და ოქტომბერი მძიმე პერიოდი იქნება. გგარდა იმისა, რომ არჩევნებია, დაემატება ისიც, რომ ხალხი გამოვა ქუჩაში. იქნება შუღლი, ოჯახებშიც კი მოსალოდნელია განხეთქილება. პოლიტიკურ სპექტრში დიდი ცვლილებები იქნება, დაიწყება გამოსვლები, ვხედავ სისხლისღვრის საშიშროებას. დაპირისპირებას ვხედავ უბრალო მოქალაქეებშიც.

**— ეს არჩევნებამდე იქნება თუ მის მერე?**

— არჩევნებამდეც და შემდგომაც. ძალიან რთული იქნება ამ წლის მეორე ნახევარი. ყყველა თავისი სკამისთვის იბრძვის და ეს ბევრ ცუდს მოგვიტანს. თუმცა ცხოვრება ასეთია, კიბესავითაა, როცა ერთი ჩადის, მეორე ადის...

# ras winaswarmetyveleben naTelmxilvelebi winasaarCevno periodisa da arCevnebis Sesaxeb

**— ივანიშვილსა და სააკაშვილს გულისხმობთ?**

— მოდით, ამჯერად ნუ დამაკონკრეტებინებთ, ჯობს დასკვნები თავად გამოიტანოთ. წინასწარმეტყველთა სიტყვებს დაფიქრება და ახსნა ესაჭიროება...

მხოლოდ იმას გეტყვით, საარჩევნო პერიოდში დაძაბულობა გაიზრდება და საქმე შეიძლება სისხლისღვრამდე მივიდეს...



**მაგული ვაშაკიძე**: მე ადრეც არაერთხელ ვიწინასწარმეტყველე არეულობების შესახებ. ალბათ, გახსოვთ თქვენს გაზეთში დაიბეჭდა ინტერვიუ, რომელშიც ვსაუბრობდი სისხლისღვრის შესახებ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე. მართლაც ამას მოჰყვა გასული წლის 26 მაისის ამბები, რომელიც მსხვერპლით დასრულდა.

ახლაც ბევრით ვერაფრით გაგახარებთ, რადგან ძალიან არ მომწონს ახლო მომავლის სურათები, რაც უკვე არაერთხელ მეჩვენა. ახლა ჯერ კიდევ ზაფხულია, მკვდარი სეზონი. ვარაუდობდნენ, რომ აქტიური პოლიტიკური ცხოვრება წელს ადრე დაიწყებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. აქტიური პროცესები სექტემბრიდან იწყება. ერთბაშად დაიწყებს დაძაბულობა ზრდას. განსაკუთრებით არ მომწონს სამეგრელოს რეგიონი, კერძოდ, ზუგდიდი. იქ ვხედავ მომავალი დაძაბულობის დასაწყისს. მოვა სექტემბრის შუა რიცხვები და ისევ ვხედავ სისხლისღვრას, დაპირისპირებას, პროვოკაციებს.

**— ეს ხომ არ იმოქმედებს არჩევნების თარიღზე?**

— მეჩვენა ამისი ალბათობაც. შეიძლება ისე დაიძაბოს სიტუაცია, რომ არჩევნების დღეზეც იმოქმედოს. მაგრამ ერთს გეტყვით: გამარჯვება მაინც იმისია, ვინც ცდილობს მოვიდეს. მაგრამ არის კიდევ ერთი მომენტი: დამარცხების შემთხვევაში ვხედავ უარეს სისხლისღვრას და დაპირისპირებას, ვიდრე არჩევნების დღემდე.

**— რა იგულისხმება, რეპრესიები თუ სამოქალაქო დაპირისპირება?**

— ორივე. წმენდა, ასე ვთქვათ და სამოქალაქო სიძულვილი. თავს იჩენს სამოქალაქო დაჯახების მცდელობა. ეს პროცესები ცოტა დროში გაიწელება, მაგრამ უკეთესობა იქნება. ამის იმედი უნდა ვიქონიოთ.

**თამუნა ქადაგიძე**

# patara lukas Tqveni Tanadgoma gadaarCens



7 წლის ლუკა წულეისკირს ორი თვის წინ, სრულიად მოულოდნელად დაუდგინდა დიაგნოზი — **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემია**.

ოჯახის, ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით მოვახერხეთ გარკვეული თანხის მოგროვება და ბავშვის უმოკლეს ვადაში გერმანიაში გაგზავნა. ამჟამად ლუკას უტარდება ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსი გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში.

სამწუხაროდ, როგორც მიმდინარე ანალიზებიდან გამოჩნდა, ინტენსიური ქიმიოთერაპიის სტანდარტულმა კურსმა ვერ გამოიღო სათანადო შედეგი. ამჟამად გამოიკვეთა აუცილებლობა, რომ ბავშვს ჩაუტარდეს ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია, რომლისთვისაც საჭიროა **250 000 ევრო.** ამხელა ოდენობის თანხის შეგროვება სამწუხაროდ აღემატება ჩვენს ყველა საშუალებას და ამიტომაც გადავწყვიტეთ, მოგვემართა თქვენთვის დახმარებისთვის.

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა “ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, ნებისმიერი ოდენობის (მცირეოდენი) შენატანებით, დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

**საბანკო რეკვიზიტები:**

**ბანკის კოდი: KSBGGE22**
**ბანკის დასახელება: კორ-სტანდარტ ბანკი**
**ანგარიში: GE19KS0000000360800511GE**
**მიმღები: ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

**ლუკას ოჯახი**

## „ფორბსმა" წლის ყველაზე გავლენიანი ქალბატონი დაასახელა



„ფორბსის" მიხედვით, წლის გავლენიანი ქალბატონების სიის სათავეში ამჯერადაც გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი დგას.

ეს მისი უკვე მეექვსე „გამარჯვებაა", მხოლოდ ერთხელ, 2010 წელს მას მიშელ ობამამ გაუსწრო. წლეულს კი ამერიკის პირველი ლედი მეშვიდე ადგილზეა.

ჯერჯერობით მყარ მეორე ადგილს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონის იკავებს.

მესამე ადგილზე ბრაზილიის პრეზიდენტი დილმა რუსეფია. შარშან რეიტინგში ის 94-ე ადგილზე იყო.

მეოთხე ადგილი „მაიკროსოფტის" პატრონის ბილ გეიტსის მეუღლეს მელინდას უკავია. იგი აქტიურად არის ჩართული ქველმოქმედებაში. მეხუთე ადგილის მფლობელი „ნიუ-იორკ ტაიმსის" მთავარი რედაქტორი ჯილ აბრამსონია.



შემდეგ მოდის ბიზნეს-ქალბატონები, რომელთა შორის მსხვილი კომპანიების ტოპ-მენეჯერებიც არიან. მაგალითად, ოპრა უინფრი მე-11 პოზიციაზეა, ხოლო 38-ზე მომღერალი ჯენიფერ ლოპესი. მის ეპატაჟურ კოლეგას ლედი გაგას მე-14 ადგილი უჭირავს. თანაც 26 წლის ლედი გაგა ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელია „ფორბსის" ცნობილ ქალბატონებს შორის. ყველაზე ხანდაზმული ამ ჩამონათვალში 86 წლის დედოფალი ელისაბედ მეორეა, ის 26-ე ადგილზეა.

რუსული წარმოშობის არც ერთი ქალბატონი წლეულს ამ სიაში არ მოხვედრილა. თავის დროზე სიაში იულია ტიმოშენკო იყო. ახლა ის „სხვა" სიაშია.

## დიდხანს ძილი საფრთხის შემცველია



ზედმეტი წონისგან რომ თავი დაიცვათ, დღეში 9 საათზე მეტი არ უნდა იძინოთ, – გვირჩევენ ვაშინგტონელი მეცნიერები.

როგორც ცხადი გახდა, ზედმეტი ძილი ზედმეტ წონას წარმოშობს.

ჩაატარეს ცდა, რომლის მიხედვით, ცდისპირთა ნაწილს 7 საათი ეძინა, ნაწილს – 9 საათი და მეტი. აღმოჩნდა, რომ 9 საათზე მეტ ხანს ძილი ორგანიზმში ჭარბ წონას წარმოქმნის.

## მეცნიერები შეაშფოთა კატების საიდუმლო ცხოვრებამ



ჯორჯიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა საოცარი რამ აღმოაჩინეს.

60 კატაზე ცდა ჩაატარეს. მეცნიერები აკვირდებოდნენ ცხოველებს ვიდეოკამერით და სწავლობდნენ მათი ცხოვრების დეტალებს. აღმოჩნდა, რომ კატების 30 პროცენტი ნადირობდა, 49 პროცენტი – ერთობოდა, 21 პროცენტს კი ნანადირევი სახლში მიჰქონდა.

შინაური კატების ძირითადი ნანადირევი წყლის ხვლიკები, გველები და ბაყაყები აღმოჩნდა, შემდეგი 25 პროცენტი მღრღნელებს ეტანებოდნენ, 20 პროცენტი პეპლებს და მატლებს, ჩიტებს – 12 პროცენტი. ეკოლოგები მიიჩნევენ, რომ კატები არიან ზოგიერთი ჯიშის ფრინველის გაქრობის მიზეზი. ამ თეორიას ფრინველთა დაცვის ამერიკული კომიტეტის პრეზიდენტი ჯორჯ ფენვიკი ავრცელებს.

კვლევამ ცხადჰყო, რომ ოჯახის კატების 45 პროცენტი სამანქანო გზას გადაჭრის ხოლმე, 20 პროცენტი ყოველგვარ სისაძაგლეს სვამს და ჭამს. ამასთანავე, კატების ნაწილი „ორ ოჯახში" ცხოვრობს და პატრონის ერთგული სულაც არაა.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – ამ კვირაში ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ცვლილებები გელით. არ არის გამორიცხული გარკვეული წინსვლა გქონდეთ სამსახურში.

**კურო** – კვირის დასაწყისში მოგიწევთ საქმიანი წინადადებების განხილვა, სადაც თქვენ გარდა, ადამიანთა გარკვეული ჯგუფიც მიიღებს მონაწილეობას.

**ტყუპები** – ყურადღების ცენტრში მოექცევით და თქვენ გარშემო მიმდინარე პროცესებშიც აქტიურად მოგიწევთ ჩართვა.

**კირჩხიბი** – საინტერესო კვირა გელით. თუ შეძლებთ და საკუთარ ჩანაფიქრებს კონკრეტულ მიზნამდე დაიყვანთ და ამასთან ქმედით ნაბიჯებსაც გადადგამთ, მაშინ მოახერხებთ სერიოზული და პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას.

**ლომი** – ამ პენრიოდში შესაძლებელია მგზავრობა მოგიწიოთ. ამასთან, საინტერესო წინადადებების განხილვაც მოგიწევთ.

**ქალწული** – შესაძლოა შეიტყოთ ახალი ინფორმაცია, რომელსაც დიდი ხანია ელოდებით. არ არის გამორიცხული ეს დაკავშირებული იყოს სამსახურთან.

**სასწორი** – მიმდინარე კვირაში მოსალოდნელია, გარკვეული გადაფასებების გაკეთება და ახალი საქმეების დაგეგმარება მოგიხდეთ.

**მორიელი** – იყავით აქტიური და უკვე არჩეულ მიზანს მიზანმიმართულად მიჰყევით, თუმცა, გამოიჩინეთ მაქსიმალური სიფრთხილე.

**მშვილდოსანი** – მოსალოდნელია, გაგიუარესდეთ ემოციური მდგომარეობა და ნერვული სისტემაც დაგეძაბოთ. ამის მიზეზი ისევ და ისევ თავად იქნებით.

**თხის რქა** – ეს კვირა ჩვეულებრივ ტემპში წარიმართება და საქმიანი აქტივობა საშუალოზე მაღალი იქნება, რაც, სხვათა შორის, გაზრდის თქვენს პროდუქტიულობას.

**მერწყული** – არ არის გამორიცხული, ძლიერი ემოციური დატვირთვები გქონდეთ, თუმცა ეს უფრო ახლობელთა პრობლემების გამო წარმოიშვება. ნურავის ნურაფერს დაჰპირდებით.

**თევზები** – მოსალოდნელია თქვენი საქმიანობის ან ბიზნესის რეფორმირება მოგიწიოთ და ამაში თქვენი ახლობლები და კომპანიონებიც იქნებიან ჩართული. იქნება იმის ალბათობაც, რომ მოგიწიოთ სახელმწიფო ორგანიზაციებთან და თანამდებობის პირებთან ურთიერთობა.

### ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები: სკანვორდი

1.დოსტოევსკი. 2. კომბალი. 3. კონტინენტი. 4. მეტლახი. 5. ანაპურნა. 6. პანა. 7. კოსმოდრომი,. 8. ვადუცი. 9. დისკრიმინაცია. 10. ცაიტნოტი. 11. ტუბეროზა. 12. ვიკონტი. 13. ბიკინი. 14. სტოკერი. 15. ფესვები. 16. კატო. 17. ნოტი. 18. გორიო. 19. შალკე. 20. ჩითილი. 21. შეთე. 22. რურკი. 23. შამოტი. 24. ნაცია. 25. ტრიპლეტი. 26. სარკოფაგი. 27. მელანი. 28. ჟივილი. 29. ცერცეტი. 30. როსტევან. 31. იდები. 32. ტერფი. 33. ალანია. 34. რაფსოდია. 35. რუქნადინი. 36. ლადა. 37. დიორამა. 38. უაიტი. 39. ლობიო. 40. ოსტატი. 41. ჯერალდი. 42. აბორტმახერი. 43. პასტილა. 44. ტარბი. 45. ლესი. 46. დინი. 47. ბომბორა. 48. დონ. 49. ბონი. 50. ბილიაში. 51. ლომბარდია. 52. ვალერიანა. 53. ანდრეი. 54. ტიტული. 55. მოლოხი. 56. რეი. 57. კინშასა. 58. კაბირია. 59. არისტოტელე. 60. სულგუნი. 61. სოიო. 62. პრერია. 63. პიზა. 64. აზიზა. 65. ტარიგი. 66. განძელი. 67. მარულა.



მეუღლე მედეა მამულაშვილი, შვილები: ანა, ხათუნა, ნათია, ხატია კენჭაძეები, და-ძმა მურად და მზია კენჭაძეები, სიძეები: მიხეილ ფუხაშვილი, მიხეილ წერეთელი, დავით შერმადინი, ცოლისდა ლეილა მამულაშვილი, დისშვილები, ძმისშვილები და ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ტელევიზიის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის უფროსი ინჟინერი

**ავთანდილ კენჭაძე**

**პანაშვიდი:** 28-29 აგვისტოს 5 საათიდან.

**მისამართი:** დ/დიღომი, 3 მ/რ-ნი, 29 კორპ. 2 სადარბაზო, 8 სართული.

**გამოსვენება:** 30 აგვისტოს, დ/დიღმის წმ. ნიკოლოზის ტაძრიდან 3 საათზე.